პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

# კომუნისტი

სა. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ. ) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 12—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ხუთშაბათი, 26 აპრილი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 96 (2139)

## დღიური

— ბულგარეთის პარლამენტმა დაამტკიცა შეთანხმება ერთა ლიგასთან სესხის აღების შესახებ.
— დაიხურა განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის კონგრესი.
— მღელვარება კალკუტაში.—დაჭრილია 21 კაცი.
— სისხლისმღვრელი შეტაკება ლაგორეში (ინდოეთში).
— ჩეხო-სლოვაკიის გარეშე საქმეთა მინისტრი ბენეში ლონდონში გაემგზავრა.
— პოლონეთის სეიმმა მუშაობა შესწყვიტა 15 მაისამდე.
— კონფლიქტი რურის ქვა-ნახშირის მრეწველობაში.

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა
მაისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

# ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

### (საკავშირო ცაკის სესიის შედეგებიდან)

საკავშირო ცაკის მესამე სესიამ მიიღო ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონი. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ეს კანონი წარმოადგენს იმ საერთო გეზის განვითარებას, რომელსაც თავიდანვე ადგა საბჭოთა ხელისუფლება საგადასახადო პოლიტიკის დარგში. ახალ კანონს, ისე, როგორც წინა წლების სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონებს, საფუძვლად უდევს პროგრესიულ-საშემოსავლო პრინციპი. ეს იმას ნიშნავს, რომ გლეხის მეურნეობას გადასახადი შეეწერება მთელი მისი შემოსავლის მიხედვით. რაც უფრო მეტი შემოსავალი ექნება მეურნეობას, მით უფრო იზრდება გადასახადი თვითეულ შემოსავლის მანეთზე. გადასახადის ასეთი სისტემა პირდაპირ გამომდინარეობს საბჭოთა ხელისუფლების კლასიური პოლიტიკიდან. პროგრესიულ-საშემოსავლო გადასახადი ნიშნავს სახელმწიფო ფულადი ბეგარის უმთავრესად მოსახლეობის შეძლებულ ფენებზე გადატანას. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი თავისებურობა, რომელიც ახასიათებს ჩვენს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონს. ის ერთი მხრივ მიზნად ისახავს სოფლის ექსპლოატატორულ ელემენტების ეკონომიური ზრდის შეკვეცას, ხოლო მეორე მხრივ სრულიად ანთავისუფლებს გადასახადისაგან ღარიბ გლეხკაცობას. ახალი კანონი, მიუხედავად იმისა, რომ ის გადასახადის საერთო ჯამს აწესებს 400 მილიონი მანეთის რაოდენობით, რაიც 80 მილიონ მანეთით მეტია 1926-27 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო ჯამზე, კიდევ უფრო ამსუბუქებს სოფლის ღარიბ მოსახლეობის მდგომარეობას და გადასახადის უმთავრეს ნაწილს აკისრებს შეძლებულ მოსახლეობას. ამრიგად, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ გადასახადის საერთო ჯამის ზრდა არ შეეხება გლეხთა მთავარ მასებს.

უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში ჩვენმა სახალხო მეურნეობამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. შეუჩერებლად იზრდება მისი ორივე სექტორი, როგორც მრეწველობა, ისე სოფლის მეურნეობა. ამის თვალსაჩინო გამოხატულებას წარმოადგენს სხვათა შორის, საკავშირო ბიუჯეტის ზრდა, რომელმაც ექვსი წლის განმავლობაში 2 მილიარდ მანეთიდან 6 ნახ. მილიარდ მანეთამდე მიაღწია.

მიუხედავად ამისა, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო ჯამი თითქმის არ იზრდება. ეს ერთხელ კიდევ იმას მოწმობს, რომ საბჭოთა ხელისუფლება დაინტერესებულია სოფლის ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხკაცობის ეკონომიურად წარმატებაში. ადგილობრივ ორგანოებისა და მათთან ერთად მთელ მშრომელი გლეხობის წინაშე ისმება საკითხი იმის შესახებ, რომ ის თანხა, რომელსაც ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონი აწესებს, სრულიად და თავის დროზე იქნეს შეკრებილი.

მთავარი, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება აღნიშნული კანონის პრაქტიკულად გატარების დროს, ესაა დასაბეგრ ობიექტების სწორად აღრიცხვა. წარსული წლების გამოცდილებამ არა ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ სოფლის შეძლებული ელემენტები ყოველგვარ ხერხს მიმართავენ, რათა თავი დააღწიონ გადასახადს ან მნიშვნელოვნად შეიმსუბუქონ ის. აქ სათანადო ორგანოების ფხიზელ და ენერგიული მუშაობის გარდა, — საჭიროა მშრომელი გლეხკაცობის აქტიური დახმარებაც.

ახალი საგადასახადო კანონი, სხვათა შორის, იმითაც განსხვავდება წინა წლების კანონებისაგან, რომ ის აადვილებს ბრძოლას დასაბეგრ ობიექტების დამფარავთა წინააღმდეგ. ამ მიზნით ის ადგილობრივ ხელისუფლებას ნებას აძლევს შემოიღოს ინდივიდუალური დაბეგვრა, რომელიც შეიძლება გავრცელებულ იქნას 2—3 პროცენტამდე.

ამასთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის უკლებლივ აკრეფაში უაღრესად უნდა იყოს დაინტერესებული ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. კანონის თანახმად გადასახადის თითქმის ერთი ნახევარი თემსაბჭოების სასარგებლოდ რჩება. ჩვენ ვიცით, რამდენად დიდ ფინანსიურ ხელმოკლეობას განიცდიან ადგილობრივი ორგანოები, რის გამოც მოუგვარებელი რჩება მთელი რიგი გადაუდებელი საქმეები. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თავის დროზე და უკლებლივ აკრეფით კი, ადგილობრივი ორგანოები, გარდა იმისა, რომ შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას ცენტრალური ხელისუფლების მიმართ, დიდად განამტკიცებენ თავიანთი მუშაობის მატერიალურ ბაზას.

მთელი რიგი საფინანსო ხასიათის კამპანიები, როგორც ქალაქად, ისე სოფლად წარმატებით ჩატარდა. თვითდაბეგვრის საქმეს გლეხთა მასები თანაგრძნობით შეხვდენ და ენერგიულად ანხორციელებენ მას. გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციების გასაღების საქმემაც მოლოდინს გადააჭარბა. სოფლის მშრომელი მასები შეგნებით ხვდება საბჭოთა ხელისუფლების ყველა ფინანსიურ ღონისძიებებს. ის უკვე ერკვევა ამ ღონისძიებათა მნიშვნელობაში. საჭიროა ამ მდგომარეობის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის განხორციელების დროსაც. აქ აუცილებელია არა მარტო საფინანსო აპარატის მოქნილობა და ენერგიული მუშაობა, არამედ გლეხთა ფართე მშრომელი მასების თვითმოქმედებაც. საამისო სამზადისს აქედანვე უნდა შევუდგეთ, რომ ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონი მტკიცეთ და წარმატებით იქნას გატარებული.

# ჩვენი მტრების ზრახვები

ინგლისის მთავრობამ 23 აპრილს დუმილით უპასუხა მუშათა პარტიის წევრის კენვორტის მოკლე გარკვეულ შეკითხვაზე პარლამენტში. შეკითხვა გამოწვეული იყო ბოლდუინის სიცრუით: ინდოეთის საქმეთა მინისტრი ბირკენხედი გერმანიაში გაემგზავრა როგორც „კერძო პირი“ და მთავრობის არავითარი დავალება არ შეუსრულებიაო. კენვორტის შეკითხვაში ნათქვამია: პროპაგანდას ინგლის-საფრანგეთ-გერმანიის კავშირის შესაქმნელად რუსეთის წინააღმდეგ ინდოეთის საბჭოთა მინისტრი ეწეოდა როგორც კერძო პირი, თუ როგორც ოფიციალური პირი? რეიტერის სააგენტო იუწყება: „ამ შეკითხვაზე არავითარი პასუხი არ გასცეს“-ო. ეს დუმილი აშკარად იყო მჭერმეტყველური დადასტურება იმისა, რომ სავსებით სწორია კენვორტის შეკითხვაში წამოყენებული ბრალდება.

მაგრამ ამ საპარლამენტო ინციდენტისაგან სრულიად დამოუკიდებლად, ჩვენ გვაქვს სავსებით საკმაო ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ ინგლისის იმპერიალისტები, რომელთაც ერთგულად ეხმარებიან მუშათა პარტიის და გენსაბჭოს რეფორმისტული ბელადები, მსოფლიოს ყველა ნაწილებში ენერგიულად ეწევიან ინტრიგებს, რათა მოამზადონ და გამოიწვიონ ახალი ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. კიდევ მეტი, ჩემბერლენს და მის მახლობელ კოლეგას ხიკსს შეუძლია დაიკვეხოს, რომ მათმა შეთქმულებამ, ფარულმა ინტრიგებმა ომის მომზადების საქმეში უკანასკნელ დროს ერთგვარ ახალ წარმატებებს მიაღწია არა მარტო თვით ინგლისის ფარგლებში, არამედ მისი ფარგლების გარეთაც.

ანტისაბჭოთა შეთქმულების სული და გული ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროში მრავალი წლის განმავლობაში იყო საკმაოდ ცნობილი ვილიამ ტირელი, რომელიც ეხლა ელჩად იმყოფება საფრანგეთის რესპუბლიკაში. სერ ვილიამს აქვს საფუძველი ჩემბერლენისათვის გაგზავნილ თავის მოხსენებაში დაიტრაბახოს, რომ პუანკარეს სიტყვა საარჩევნო კამპანიის დროს წარმოთქმული იყო მისი, ვილიამსის შთაგონებით, ისევე როგორც ინგლისის კაბინეტის წევრები თავის დროზე სარგებლობდნენ მისი „ბრძნული“ დახმარებით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საზიზღარი ცილის-წამების კამპანიის წარმოების საქმეში. რაც შეეხება ბირკენხედს, რომელიც, როგორც „კერძო პირი“ მგზავრობს გერმანიაში, მის იდეას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინგლის - საფრანგეთ-გერმანიის კავშირის შექმნის შესახებ ალბად გარკვეული თანაგრძნობით შეხვდნენ გერმანიის ზოგიერთ წრეებში.

დღეს ჩვენ ვბეჭდავთ ინგლისის მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთის ორგანოს „სენდეი უორკერ“-ის წერილს („დიპლომატიური ბოროტმოქმედების ჩადენის წინ“). ინგლისის მუშათა გაზეთი დაუნდობლად აშკარავებს შუბლმაგართა საომარ ზრახვებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩვენ, წერილის ავტორს ვაკისრებთ რა პასუხისმგებლობას მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა და საბუთებისათვის, მაინც არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირის გარემოცვის სურათი, რომელსაც ხატავს წერილის ავტორი, სავსებით შეეფერება ახალი ომის ორგანიზატორთა და ინიციატორთა გეგმებს. დამახასიათებელია, რომ ავტორი რეალურად სცნობს ახალი დიპლომატიური ბოროტმოქმედების ჩადენის და საბჭოთა კავშირის ეკონომიური ბლოკადის მოწყობის საფრთხეს, რასაც ინგლისელი იმპერიალისტები ამზადებენ ვითომც ივენისისათვის. ავტორი სავსებით საფუძვლიანად ამტკიცებს, რომ ეკონომიური ბლოკადის ორგანიზატორთა მიზანს წარმოადგენს ომის მომზადება, რომელმაც უნდა გამოიწვიოს საბჭოთა ხელისუფლების დამხობა საბჭოთა კავშირში.

არ შეიძლება ამას არ დაუპირდაპიროთ ცნობები, რომლებიც ლონდონელმა კორესპონდენტმა აცნობა გერმანულ გაზეთ „ბერლინერ ცეიტუნგ ამ მიტტაგ“-ს. მისი მტკიცებით, ინგლისის კონსერვატორები ახალ ზეგავლენას ახდენენ ჩემბერლენზე, რათა გამოიწვიონ მისი გადახრა მარჯვნივ, ვინაიდან ჩემბერლენმა, ინგლისელ შუბლმაგართა თვალსაზრისით, საკმაო სიმტკიცე ვერ გამოიჩინა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში. ინგლისის მინისტრები კორესპონდენტის სიტყვით, უკანასკნელ თვეებში ენერგიულად სცდილობდნენ „დაეთანხმებიათ“ გერმანია იმაზე, რომ იგი მიმხრობოდა ანტისაბჭოთა ფრონტს. ჯერ მოუკლავი „რუსეთის დათვი“ ვითომც უკვე „გაინაწილეს“ ინგლისში: თითქოს უკვე არსებობს კონკრეტული გეგმა, რომლის მიხედვითაც „გერმანიამ, საფრანგეთმა და ინგლისმა ბოიკოტის პერიოდში უნდა დაარსონ აღდგენის სინდიკატი, რომელიც იქნება რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მთავრობის (!) განკარგულებაში, იმ მთავრობის, რომელიც ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგება საბჭოთა მთავრობის დამხობის შემდეგ“ (!) საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და მთელი მშრომელი მასები ფხიზლად ადევნებენ თვალყურს ბირკენხედების და ჩემბერლენების მახინაციებს. ვინ არიან ჩემბერლენები და რა სურთ მათ, ეს იცის ყოველმა მუშამ, ყოველმა გლეხმა. ჩემბერლენები განუწყვეტლივ, ძილშიაც კი ფიქრობენ იმაზე, რომ გაანადგურონ საბჭოთა კავშირის მშრომელთა ხელისუფლება და მშრომელი მასები დაუმონავონ კაპიტალისტურ „სინდიკატებს“. ისინი ძილშიაც კი ფიქრობენ იმაზე, რომ დაამხონ საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც იცავს მუშურ-გლეხური ქვეყნის დამოუკიდებლობას. საბჭოთა მთავრობის ნაცვლად მათ სურთ დასვან „რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მთავრობა“, რომელმაც „რუსეთი“ დაუმონა უცხოეთის კაპიტალისტების ბატონობას.

ეს არ მოხდება. ინგლისის სიტის კაბინეტებში მსხდომნი ვერ შესძლებენ საბჭოთა კავშირის ხალხების ბედ-იღბალი განაგონ ისე, როგორც ეს სურს ბანკირთა, ნავთის მრეწველთა, სისხლისსმელთა და მყვლეფელთა ხროვას. საბჭოთა კავშირის ხალხებს, რომელთაც დაამხეს ცარიზმი და ბურჟუაზია, აქვთ მტკიცე ნებისყოფა, რომლის მოდრეკასაც ვერ შესძლებენ უცხოელი კაპიტალისტები. როგორი აგრესიული ზომებიც არ უნდა მიიღონ მსოფლიო რეაქციონერებმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ეს ზომები გამოიწვევს მხოლოდ იმას, რომ ყველა მშრომელები უფრო მჭიდროდ დარაზმდებიან საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის ირგვლივ და უფრო ფხიზლად იქნებიან, რათა ალაგმონ ზრახვები და მისწრაფებანი იმპერიალისტურ მტაცებლების, რომელთაც სურთ ახალი ომი დაატეხონ თავს მსოფლიოს.

ეხლანდელ პირობებში გადამჭრელი სიტყვა ეკუთვნის აგრეთვე ინგლისის პროლეტარებს, რომელთაც, წინააღმდეგ რეფორმისტული ბელადების სურვილისა, თავის წრიდან გამოჰყვეს ინიციატორთა ჯგუფი პროლეტარული ძალების მობილიზაციისათვის ომის საფრთხის წინააღმდეგ. ასეთ ინიციატორთა ჯგუფი იყო ინგლისის დელეგაცია საბჭოთა კავშირის მეგობართა კონგრესზე ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე.

დელეგატები მაშინ საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ მსოფლიო ყველა კუთხეებიდან, რათა ჩაგრულთა და დამონებულთა სახელით დაედოთ ფიცი, რომ თავის მკერდით დაიცავენ პირველ სოციალისტურ სამშობლოს. ეს დელეგატები მტკიცედ იცავენ თავის დაპირებას. მსოფლიოს ყველა კუთხეებიდან მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის მეგობართა კონგრესის დელეგატები მთელი თავისი ძალღონით ცდილობენ, რათა დარაზმონ მშრომელები იმპერიალისტური სამხედრო შეთქმულების წინააღმდეგ. ამ მოძრაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია საბჭოთა კავშირის მეგობართა ყრილობა ინგლისში, რომელზედაც მონაწილეობა მიიღო 223 დელეგატმა.

ყრილობამ მიიღო სამი რეზოლიუცია. პირველი რეზოლიუცია აშკარავებს „საზიზღარ მუშაობას შეთქმულებისათვის მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური რესპუბლიკის წინააღმდეგ“ და მოუწოდებს მშრომელთ, რათა იბრძოლონ იმპერიალისტების განზრახვის წინააღმდეგ, რომელთაც სურთ მოახვიონ ომი საბჭოთა კავშირს. მეორე რეზოლიუცია შეიცავს მკაცრ პროტესტს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტის წინააღმდეგ. ეს რეზოლიუცია ურთიერთობის შეწყვეტას აფასებს როგორც „ინგლისის იმპერიალისტების პროგრამის ერთ-ერთ მუხლს, რომლის მიზანია პირველი მუშური რესპუბლიკის იზოლიაცია და ომის მომზადება მის წინააღმდეგ“. დაბოლოს, მესამე რეზოლიუცია აუცილებლად სცნობს მუშათა მოძრაობის მთლიანობას და აყენებს წინადადებას, რომ ეს მთლიანობა განხორციელებულ იქნას ქვევიდან,— მოეწყოს ინგლისის პროფკავშირთა და კოოპერატიული ორგანიზაციების საერთო კომიტეტები.

ამ ყრილობის ძალა და მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ნამდვილად გამოხატავს მრავალი ასეული ათასი ინგლისელი პროლეტარის სულისკვეთებას. ყრილობას წინ უსწრებდა მრავალი მიტინგები, დემონსტრაციები და კრებები, რომლებზედაც საბჭოთა კავშირის მეგობართა კონგრესის დელეგატები აკეთებდნენ მოხსენებებს კონგრესის მუშაობისა და იმ შთაბეჭდილებათა შესახებ, რომლებიც მათ უშუალოდ მიიღეს სოციალისტური მშენებლობის საქმის გაცნობით. უმთავრეს სამრეწველო ცენტრებში ჩატარებულ იქნა სარაიონო კონფერენციები და დაარსდა საბჭოთა კავშირის დამცველთა ადგილობრივი ორგანიზაციები.

ამიტომ ეს ყრილობა შეფასებულ უნდა იქნას არა მარტო როგორც სოლიდარობის დემონსტრაცია, არამედ როგორც გარკვეული მუშაობა იმ მიმართულებით, რომ აქტიური წინააღმდეგობა გაუწიონ იმპერიალისტების მტაცებლურ ზრახვების განხორციელებას. ყრილობა წარმოადგენს სერიოზულ გაფრთხილებას ჩემბერლენისა და ტირელისათვის, რომ ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამავე დროს იქნება ომი კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის, პირველ რიგში თვით ინგლისის მუშათა კლასის წინააღმდეგ.

ზედმეტი არ იქნება, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ახალი ომის ორგანიზატორებმა დაიმახსოვრონ კიდევ ერთი ურყევი ფაქტი და ამ ფაქტიდან გამოიყვანონ სათანადო დასკვნები; ეს ფაქტი მდგომარეობს იმაში, რომ ინგლისის მთავრობა შედარებით ხშირად იცვლება, ხოლო საბჭოთა ხელისუფლება რჩება და დარჩება უცვლელად.

„პრავდა“, 25 აპრილი.

# წითელ ფრონტელთა კავშირის დაშლის საფრთხე ძლიერდება

## რეიხსტაგის კომისიამ უარყო წინადადება კეიდელის განკარგულების გაუქმების შესახებ

## ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის აღდგენის საკითხი შოტლანდიის პროფკავშირთა ყრილობაზე

## კეიდელის წინადადება რეიხსტაგის კომისიაში

**ბერლინი**, 24 აპრილი. ვოლფის სააგენტო იუწყება: 24 აპრილს შესდგა სახალხო წარმომადგენლობის უფლებათა დაცვის რეიხსტაგის კომისიის სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა შინაგან საქმეთა მინისტრის კეიდელის წინადადება წითელფრონტელთა კავშირის დაშლის შესახებ.

ამ. ტელმანი
გერმანიის წითელ ფრონტელთა კავშირის თავმჯდომარე

ბავარიის და გერმანიის სახალხო პარტიის და ნაციონალისტების ორატორები იცავდენ იმ თვალსაზრისს, რომ კომისიას არ აქვს უფლება მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება კეიდელის განკარგულების გარშემო. ცენტრის პარტიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის კეიდელის განკარგულებაში არ ხედავს რეიხსტაგის უფლებებში ჩარევას, მაგრამ ფიქრობს, რომ კომისიას, რესპუბლიკის დაცვის კანონის საფუძველზე, უფლება აქვს გააკრიტიკოს მინისტრის მიერ მიღებული ზომები. სოციალ-დემოკრატები და დემოკრატები ამტკიცებდენ, რომ კომისიას აქვს უფლება გააუქმოს კეიდელის განკარგულება. შემდეგ დემოკრატებმა და ცენტრის პარტიის წევრებმა შეიტანეს კომპრომისული წინადადება: კეიდელის მიერ გაცემულ განკარგულების იურიდიულ და ფაქტიურ წინასწარ პირობების განხილვის გარეშე, ეს ზომა არსებულ მომენტში მიზანშეუწონლად იქნას ცნობილი.

კამათის შემდეგ ყველა წინადადებები უარყოფილ იქნა და, ამგვარად, საკითხი ამოიწურა.



კეიდელი
გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი.

**ბერლინი**, 24 აპრილი. რეიხსტაგის კომისიის მიერ კეიდელის განკარგულების განხილვის შესახებ იუწყებიან შემდეგ დაწვრილებით ცნობებს. **კომუნისტების წინადადება განკარგულების დაუყოვნებლივ გაუქმების შესახებ უარყოფილ იქნა უმრავლესობის მიერ კომუნისტების და სოციალ-დემოკრატების ხმების წინააღმდეგ.** უარყოფილ იქნა აგრეთვე სოციალ-დემოკრატების წინადადება იმის შესახებ, რომ რეიხსკანცლერს გაეუქმებია კეიდელის წინადადება. წინადადება განკარგულების შესრულების გადადების შესახებ უზენაეს სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტამდე უარყოფილ იქნა ხმის უმრავლესობით ბავარიის სახალხო პარტიის და ნაციონალისტების ხმების წინააღმდეგ. ცენტრის პარტიის წინადადება ღონისძიების ამ ჟამად მიზანშეუწონლად ცნობის შესახებ უარყოფილ იქნა ცენტრის, დემოკრატების და სოციალ-დემოკრატების ხმების წინააღმდეგ. კომუნისტებმა ხმა მისცეს ამ წინადადების წინააღმდეგ, ვინაიდან ეს ნიშნავდა წითელფრონტელთა კავშირის აკრძალვას არჩევნების დამთავრებისთანავე. **კამათიდან გამოირკვა, რომ ბურჟუაზიული ბლოკის პარტიები ფაქტიურად მხარს უჭერენ კეიდელს**, ხოლო მემარცხენე, ბურჟუაზიული პარტიების და სოციალ-დემოკრატების მანევრები ეს იგივე საარჩევნო პროპაგანდაა.

**კომისიას არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია, ამიტომ კავშირის აკრძალვის საფრთხე მეტად სერიოზულ ხასიათს ღებულობს.**

## შოტლანდიის პროფკავშირების ყრილობა

**ლონდონი**, 24 აპრილი. შოტლანდიის პროფკავშირების ყრილობამ, რომელიც პერტში გაიმართა, უარყო ინგლისის პროფკავშირების გენერალურ საბჭოსადმი მიმართვის პროექტი, წარდგენილი რიდის მიერ. რიდმა შეიტანა წინადადება მიემართა ყრილობას გენსაბჭოსათვის, რათა ამ უკანასკნელს საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად მოეწვია პროფორგანიზაციების საერთაშორისო კონგრესი იმ მიზნით, რომ შეიქმნას პროფკავშირების ინტერნაციონალი, რომელშიაც სხვადასხვა ქვეყნის ყველა პროფორგანიზაციები შევლენ.

**რიდმა განაცხადა: „ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის ჩაშლა ხელსაყრელია ინგლისის კაპიტალისტებისათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომს ამზადებენ“.** მეორე ორატორმა, რომელიც მხარს უჭერდა რეზოლიუციას, განაცხადა: **„ინგლისის მთავრობა მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს უცდის, რომ ომი გამოუცხადოს მსოფლიოში პირველ მუშურ რესპუბლიკას.** მდგომარეობა მოითხოვს, რომ ინგლისისა და საბჭოთა პროფკავშირების ხელმძღვანელებმა თავი გაანებონ პრესტიჟის დაცვით გამოწვეულ მოსაზრებებით ხელმძღვანელობას და შეხვდენ ერთმანეთს სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის“.

ალმასკომის სახელით საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა გელლიმ, რის შემდეგ რეზოლიუცია უარყოფილ იქნა 73 ხმის უმრავლესობით 22 ხმის წინააღმდეგ (ადს).

## არჩევნები საფრანგეთში

### არჩევნების შედეგები კორსიკაზე და კოლონიებში

**პარიზი**, 24 აპრილი. გამოქვეყნებულია არჩევნების შედეგები კუნძულ კორსიკაზე და კოლონიებში. არჩევნების შედეგები პირველ ტურში ასეთია: კუნძულ კორსიკაზე არჩეულ იქნა ერთი მემარცხენე რესპუბლიკანელი; გვადელუპში (ანტილის კუნძულები), საფრანგეთის ინდოეთში (საფრანგეთის 13 პატარა სამფლობელო, რომლებიც ინდოეთის სხვადასხვა ნაწილებში იმყოფება), შეერთების კუნძულებზე (ინდოეთის ოკეანე) და კონსტანტინეში (ალჟირი) არჩეულია 5 რადიკალი, სენეგალში (დასავლეთ აფრიკა)—ერთი რესპუბლიკანელი სოციალისტი.

### არჩევნების გავლენა ბირჟაზე

**პარიზი**, 24 აპრილი. გაზეთები აღნიშნავენ, რომ პირველი კენჭის ყრის შედეგებს ბირჟამ უპასუხა ფასიან ქაღალდების კურსის ერთბაშ აწევით. საფრანგეთის ბანკის აქციების ღირებულებამ აიწია 10 პროცენტით (ადს).

### მემარჯვენე პრესა არჩევნების შესახებ

**პარიზი**, 24 აპრილი. მემარჯვენე პრესა კომენტარიებს უკეთებს და პირველი კენჭის ყრის შედეგებს, მოუწოდებს მემარჯვენე პარტიებს ფხიზლად იყვნენ, რომ ხელმეორე კენჭის ყრის დროს ძალა არ მოიკრიბონ მემარცხენეებმა.

რეაქციონური „გოლუა“ მოწინავეში სწერს:

„თუმცა კომუნისტებმა ვერ გაიყვანეს ვერც ერთი დეპუტატი, მაგრამ **სამაგიეროთ მათ გამოიჩინეს მტკიცე დისციპლინა და ორგანიზაციული უნარი. მათ კანდიდატები წამოაყენეს ყველგან, თვით სოფლებშიაც. პარიზში რევოლიუციონურ არმიას ჰყავს 115,000 წევრი.** ბევრია აგრეთვე აქტიური მუშაკები, რომლებიც ყველაფრისთვის მზად არიან, თუ ანგარიშს გაუწევთ ფაქტებს, უნდა ვაღიაროთ, რომ ოპტიმიზმი ნაადრევია. მუშურ-გლეხური ბლოკის შეტევა სოციალისტების წინააღმდეგ წარმოადგენს მათი ერთ პარტიაში გაერთიანების პირველ ცდას. კომუნისტების ხმებით არჩეული სოციალისტი ფაქტიურად კომუნისტი იქნება. სოციალისტების ხმების დახმარებით არჩეული რადიკალი აუცილებლად უნდა გახდეს რევოლიუციის მოსამსახურე“.

„მატენ“ სწერს:

„პირველი შთაბეჭდილება არჩევნებისაგან—ეს არის კომუნიზმის დამარცხება. პარტიებს რომ შეეკრათ ბლოკი, მაშინ ვერც ერთი კომუნისტი ვერ გავიდოდა პალატაში“.

„ფიგარო“ სწერს:

„მოსკოვის პროპაგანდამ ვერ შესძლო თავისი კანდიდატების გაყვანა. მაგრამ მან შესძლო მომხრეების რიცხვის გადიდება. კომუნისტები მუშაობენ იმ მიზნით, რომ გადაიქცენ სერიოზულ ძალათ. **დღევანდელი დღიდან კომუნიზმი ხდება ერთ-ერთ უსაშიშრეს ელემენტათ კომბინაციებში მეორე კენჭის ყრის დროს**“.

გაზეთი მოუწოდებს რადიკალებს, ამ საკითხის გამო, გაერთიანდენ მთელ ბურჟუაზიასთან.

„აქსიონ ფრანსეზ“ აღნიშნავს, რომ **პარიზში კომუნისტების ხმები მნიშვნელოვნად გაიზარდა სოციალისტების და რადიკალ-სოციალისტების ხარჯზე.** გაზეთი აღნიშნავს აგრეთვე ავტონომისტების და კომუნისტების გამარჯვებას ელზასში (ადს).

## ბელორუსთა გრომადის პროცესი

### პროვოკატორი—მთავრობის მოწმე

**ვარშავა**, 24 აპრილი. ვარშავაში წარმოებს სახაზინო ნიშნების სტამბის კედლის გათხრის საქმის გარჩევა. ამ საქმის გარჩევის დროს გამოირკვა სენსაციური ამბავი, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს ბელორუსთა გრომადის პროცესთან. ბრალდების მოწმეთა სიაში (გრომადის პროცესზე) შეტანილია ვიღაც ვიშინსკი—ზაკშევსკი. ირკვევა, რომ ვიშინსკი—ზაკშევსკი არის მთავარი ბრალდებული სტამბის კედლის გათხრის საქმეში, რაიც მტკიცდება საბრალმდებლო აქტის ასლით, რომელიც სასამართლოს წარუდგინა დამცველმა გოლდშტეინმა. (1927 წ. ივლისში, როცა აღმოაჩინეს სტამბის კედლის გათხრა, პრესაში აღნიშნავდნენ, რომ ეს გათხრა არის პროვოკაციის შედეგი. ამ საქმეზე პასუხისგებაში მიცემულმა პირებმა განაცხადეს, რომ კედლის გათხრის ინიციატორი იყო ზაკშევსკი და რომ იგი მხოლოდ ერთი საათით ადრე—ყველა დანარჩენ ბრალდებულთა დაპატიმრებამდე—გამოვიდა გარაჟიდან, სადაც სწარმოებდა მუშაობა კედლის გასათხრელად. საგამომძიებლო ორგანოების განცხადებით, ზაკშევსკი „უგზო-უკვლოდ მიიმალა“). დამცველთა მხილებამ, რომელიც ამტკიცებს გათხრის საქმის პროვოკაციულ ხასიათს, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სასამართლოში. (ადს).

## განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის კონგრესი

### უკანასკნელი სხდომა

**ბერლინი**, 24 აპრილი. განათლების მუშაკთა ინტერნაციონალის კონგრესის (ლეიპციგში) უკანასკნელ დღეს შესდგა სექციების სხდომები. საბჭოთა სასკოლო სისტემის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საბჭოთა კავშირის დელეგატი **პინკევიჩი**, რომელსაც, როგორც საბჭოთა კავშირის განათლების მუშაკთა ერთად ერთ წარმომადგენელს, კონგრესი ოვაციებით შეხვდა. პინკევიჩმა განაცხადა, რომ მან იცის, რომ ის აღფრთოვანებული შეხვედრა, რომელიც მას გაუმართა კონგრესმა, ეკუთვნის საბჭოთა კავშირის ყველა განათლების მუშაკებს და საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ პროლეტარიატს.

კონგრესის უკანასკნელ სხდომაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა ინტერნაციონალის მდივანი, ბელგიის დელეგატი **მორტელი**, რომელმაც კონგრესის სახელით დაავალა პინკევიჩს გადასცეს სალამი საბჭოთა განათლების მუშაკებს. უკანასკნელ სხდომაზე თავმჯდომარემ გერმანიის დელეგატმა **გარტვიგმა** თავის საბოლოო სიტყვაში აღნიშნა, რომ განათლების მუშაკნი მათთვის დაკისრებულ ამოცანებს შეასრულებენ მხოლოდ მარქსიზმის და ლენინიზმის დახმარებით, რევოლიუციონურ პროლეტარიატთან ერთად. (ადს).

## ინგლისის შუბლმაგრების ანტი-საბჭოთა მანევრები

**ნიუ-იორკი**, 24 აპრილი. „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება: ბერლინში ბირკენხედმა წარადგინა ინგლის-საფრანგეთ-გერმანიის ომის გეგმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მაგრამ შტრეზემანი წინაალუდგა ამ გეგმას. გაზეთი აღნიშნავს, რომ რამდენიმე წლის წინათ ასეთი გეგმა წამოაყენა ერთ-ერთი სინდიკატის მეთაურმა, გერმანელმა მრეწველმა რეხბერგმა. ბირკენხედის ბერლინში გამგზავრების წინ რეხბერგმა მასთან ითათბირა.

კორესპონდენტებთან საუბრის დროს რეხბერგი ქადაგებდა ევროპის სამხედრო გალაშქრებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ; მან განაცხადა, რომ ინგლისს ეკონომიური გაკოტრების საფრთხე აიძულებს ეძიოს ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ (ადს).

### უარყოფენ

**ბერლინი**, 24 აპრილი. შტრეზემანის ორგანო „ტეგლიხე რუნდშაუ“ უარჰყოფს ცნობას იმის შესახებ, რომ ბირკენხედი ბერლინში ანტი-საბჭოთა მოლაპარაკებას აწარმოებდა.

## მდგომარეობა ჩინეთში

### ლუ-ი-ნინის დასჯა სიკვდილით

**შანხაი**, 24 აპრილი. გაზეთ „შუნ-ბაო“-ს ცნობით, შანხაიში სიკვდილით დასაჯეს ლუ-ი-ნინი, რომელიც გაზეთის სიტყვით, ცზიანსუს კომუნისტური ორგანიზაციის ბელადი იყო. ინგლისის პოლიციის აგენტებმა ლუ-ი-ნინის დაპატიმრებისათვის ჩინეთის ხელისუფლებისაგან მიიღეს 1.000 დოლარი. (ადს).

### ინგლისის აეროპლანები კანტონის ფორტებს ათვალიერებენ

**შანხაი**, 24 აპრილი. გაზეთი „შუნ-ბაო“ იუწყება, რომ კანტონის მთავრობამ პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ ინგლისის სამხედრო აეროპლანები დაფრინავენ კანტონის მახლობლად ხანამეში აგებულ ფორტებზე. (ადს).

### წითლები ხუბეიში

**შანხაი**, 24 აპრილი. გაზეთ „ისტერნ-ტაიმს“-ის ცნობით, **კუნგანის მახლობლად** (ხუბეის პროვინციის სამხრეთ ნაწილი) **აჯანყებულთა რაზმებს, რომლებსაც კომუნისტები ხელმძღვანელობენ, შეუერთდენ გლეხური ორგანიზაციის—„დიდი მახვილის“ რაზმები. აჯანყებულებმა გაილაშქრეს ქალაქ ჩაკოუზე.** ჩანშადან იუწყებიან, რომ ჯარები, რომლებსაც კომუნისტი ხო-ლინი ხელმძღვანელობდა, დამარცხდა და უკან იხევს იოფანის მიმართულებით. (ადს).

### პეკინ-ხანკოუს რკ.-გზის რაიონში

**პეკინი**, 24 აპრილი. „ნიპონ დემპოს“ დეპეშათა სააგენტოს ცნობით, პეკინ-ხანკოუს რკ.-გზის რაიონში სამხედრო ოპერაციები ჩრდილოეთის ჯარებისათვის ხელსაყრელ პირობებში ვითარდება. ფინ-იუ-სიანის 7 დივიზიის წინააღმდეგ აქ იბრძვის მუკდენელების 11 დივიზია 70 ზარბაზნით, მაშინ, როცა ფინ-იუ-სიანს ამ ხაზზე მხოლოდ 30 ზარბაზანი აქვს. (ადს).

### ფინპიაოს სტაბილიზაცია

**პეკინი**, 24 აპრილი. გოვენის სააგენტოს ცნობით, პეკინის მთავრობამ გადაწყვიტა ფინპიაოს (მუკდენის საკრედიტო ბილეთი) სტაბილიზაციისათვის მიიღოს შემდეგი ზომები: მოაწყოს ხაშხაშის მონოპოლია, ხაშხაშით ვაჭრობაზე გადასახადის დაწესებით, გამოუშვას სალატარიო ბილეთები და შემოიღოს გადასახადი ფუფუნების საგნებზე (ადს).

## სესხი ბულგარეთს

**ვენა**, 24 აპრილი. როგორც სოფიიდან იუწყებიან, ბულგარეთის პარლამენტმა კამათის შემდეგ, რომელიც ხუთი დღე გაგრძელდა, დაამტკიცა ბულგარეთის მთავრობასა და ერთა ლიგის საფინანსო კომიტეტებს შორის დადებული შეთანხმება სესხის შესახებ. (ადს).

## ბენეში ლონდონში

**ბერლინი**, 24 აპრილი. გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროსთან დაახლოებული „დეიჩე პოლიტიშე კორესპონდენს“ ეხება ბენეშის გამგზავრებას ლონდონში და აღნიშნავს, რომ გამგზავრება გამოწვეულია მუსოლინის აქტივობის გაძლიერებით საგარეო პოლიტიკის დარგში.

## პილსუდსკის რესპუბლიკაში

### სეიმმა უარჰყო

**ვარშავა**, 24 აპრილი. სეიმმა უარჰყო წინადადება იმის შესახებ, რომ მოხსნილიყო საქმე ბელორუსთა გრომადის ფრაქციის დეპუტატების სტანოვიჩისა და გრეცკის წინააღმდეგ (ადს).

### სეიმის სხდომები შესწყდა

**ვარშავა**, 24 აპრილი. სეიმის სხდომები შეწყვეტილია 15 მაისამდე. საბიუჯეტო კომისია მუშაობას განაგრძობს. სამშაბათს ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა კვიატკოვსკიმ კომისიაში განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად მოსამზადებელი მუშაობა სწარმოებს.

დეპუტატმა რაზმარინმა (ებრაელთა ფრაქცია) განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების დადება დიდად სასარგებლო იქნება, ვინაიდან პოლონეთს გაუჩნდება გამსაღებელი ბაზარი. (ადს).

### მასალების დაგროვება

**ვარშავა**, 24 აპრილი. ვილნოს ვოევოდამ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს მისწერა, რომ დააგროვონ მასალები „იმ ზარალის შესახებ, რომელიც ვილენშჩინის მცხოვრებლებს მიაყენა ლიტვის ჯარების მოქმედებამ ვილენშჩინაში 1919 წელს“.

ეს მასალები საფუძვლად უნდა დაედოს პოლონეთის კონტრ-მოთხოვნილებას იმ მოთხოვნილების პასუხად, რომელიც ლიტვამ კენიგსბერგში წარუდგინა პოლონეთს ვილენშჩინის დაჭერის დროს მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად (ადს).

## კომუნისტების დევნა

**ვარშავა**, 24 აპრილი. სამოსამართლო ხელისუფლებამ სეიმს მოსთხოვა, რომ შეუვალობის უფლება წაართვას კომუნისტ დეპუტატებს **სოხაცკის და ბაჩინსკის**. სხვათა შორის, სოხაცკის ის ჰბრალდება, რომ საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს საბჭოთა პრესას, ვითომდა, პოლონეთის სახელის გამტეხ ცნობებს აწვდიდა. დასამტკიცებლად მოჰყავთ ციტატები სოხაცკის წერილებიდან „ვეჩერნაია მოსკვა“-ში და აგრეთვე პოლონურ ჟურნალში „ნამგალი“. ბაჩინსკის ის ჰბრალდება, რომ მოსკოვში ყოფნის დროს მან ვოროშილოვისაგან მიიღო წითელი დროშის ორდენი დაპატიმრებულ ლანცუცკისათვის გადასაცემად, რაც „ადასტურებს, რომ ბაჩინსკი ეკუთვნის პოლონეთის კომპარტიას“ (ადს).

## კონფლიქტი რურის ქვა-ნახშირის მრეწველობაში

**ბერლინი**, 24 აპრილი. გერმანიის შრომის მინისტრმა სავალდებულოდ გამოაცხადა სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება რურის ქვა-ნახშირის მრეწველობის მუშებსა და მწარმოებლებს შორის მომხდარი კონფლიქტის შესახებ. ეს გადაწყვეტილება თავის დროზე უარჰყვეს როგორც მწარმოებლებმა, ისე მემაღაროეთა პროფკავშირებმა.

## სისხლისმღვრელი შეტაკება

**ლონდონი**, 24 აპრილი. რეიტერის ცნობით, ლაგორეში (ინდოეთი) დაპატიმრებულია 200 ადგილობრივი მცხოვრები იმის გამო, რომ მათ უარი განაცხადეს საადგილ-მამულო გადასახადების მიცემაზე. ამასთან დაკავშირებით, ქალაქ კოტგალაში მომხდარი მღელვარება ჯარმა ჩააქრო. მოკლულია დემონსტრაციის 7 მონაწილე, დაჭრილია — 14 (ადს).

# მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

### ჩვენი საშინაო და საგარეო ვაჭრობის მდგომარეობა

**მოსკოვი**, 25 აპრილი. საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის კონიუნქტურის შესახებ.

მოხსენებაში მოყვანილ ცნობების თანახმად, მიმდინარე წლის მარტისათვის განმავლობაში საშინაო ვაჭრობის დარგში ადგილი ჰქონდა შემდეგ დამახასიათებელ მოვლენებს. მოთხოვნილება მრეწველობის ნაწარმოებზე სასეზონო პირობების გამო (გაზაფხული) მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამასთან ერთად გაიზარდა საქონლის მიწოდებაც, რის გამოც საქონლის საერთო ნაკლებობისაგან გამოწვეული შეფერხებანი, რასაც ადგილი აქვს უკანასკნელი თვეების განმავლობაში, არ გართულებულა. ამნაირად, წარსული მარტის განმავლობაში ადგილი ჰქონდა საქონლის ტრიალის საგრძნობ ზრდას და ამასთან ერთად საქონლის საერთო მარაგის რამდენიმედ შემცირებას იმასთან შედარებით, რაც იყო მიმდინარე წლის წინა თვეებში.

საშინაო ვაჭრობის დარგში აღსანიშნავია აგრეთვე, როგორც უდიდესი მიღწევა, ფასების ერთ დონეზე შენარჩუნება. ამ მხრივ წარსული მარტის თვის განმავლობაში ცვლილებები არ მომხდარა. საქონლის ნაკლებობის პირობებში ფასების ერთ დონეზე დაცვისაკენ მიმართული ღონისძიებებს მრავალი დაბრკოლებები ელობებოდა წინ, მაგრამ ვაჭრობის კომისარიატისა და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ მიღებულ ზომების საშუალებით ფასების სტაბილიზაცია მტკიცედ იქნა გატარებული.

საშინაო ვაჭრობის დარგში მიმდინარე წლის მარტი აღინიშნა კერძო ვაჭრობის შემდგომი შეკვეცით. კერძო ვაჭრობის შემოკლება განსაკუთრებით შესამჩნევია არა მხოლოდ მარტის, არამედ წინა თვეების განმავლობაში. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფო და კოოპერატიულ ვაჭრობის ორგანოების წინაშე მწვავედ ისმება საკითხი სავაჭრო ქსელის გაფართოების შესახებ. გამოირკვეულია, რომ საქონლის ნაკლებობის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს სავაჭრო ქსელის მოუწესრიგებლობა და გამსაღებელი პუნქტების სიმცირე.

საგარეო ვაჭრობის დარგში წარსულ თვის განმავლობაში ექსპორტი შემცირდა, რაიც გამოწვეული იყო იმ დაბრკოლებებით, რომელთაც ადგილი ჰქონდა პურის დამზადების დარგში. ამის გამო საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა საჭიროდ აღიარა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მეორეხარისხოვან საექსპორტო საქონლის დამზადების გაძლიერებას.

### გაიხსნა ქიმიკოსთა საკავშირო ყრილობა

**მოსკოვი**, 25 აპრილი. დღეს გაიხსნა საბჭოთა კავშირის ქიმიკოსთა სრულიად საკავშირო ყრილობა. უცხოეთის სახელმწიფოებიდან ჯერ-ჯერობით ყრილობაზე ესწრება ნორვეგიისა და დანიის დელეგატები.

ყრილობის პრეზიდიუმის წევრმა ამხ. დუბროვოლსკიმ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ ქიმიკოსთა სრულიად საკავშირო ყრილობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ქიმიურ მრეწველობის განვითარებისათვის. მიმდინარე სამეურნეო ზრდის პროცესის წარმატებით წინსვლა შეუძლებელია ქიმიური მრეწველობის ორგანიზაციისა და მისი გაფართოების გარეშე. ქიმიის მუშაკთა საკავშ. ყრილობამ მტკიცე საძირკველი უნდა ჩაუყაროს საბჭოთა კავშირის ქიმიზაციის საქმეს.

### მოსკოვის მეტროპოლიტენის პირველი ხაზი

**მოსკოვი**, 25 აპრილი. მოსკოვის კომუნალურ მეურნეობის ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია მოსკოვის მეტროპოლიტენის (მიწისქვეშა რკინისგზა) პირველი ხაზის გაყვანა. ამ მიზნით გადადებულია 18 მილიონი მანეთი. მეტროპოლიტენის პირველი ხაზი დააკავშირებს კალანჩევის და ოხოტნის მოედნებს.

### 1 მაისის დღესასწაულების ახალი ფორმები

**მოსკოვი**, 25 აპრილი. მოსკოვის მუშათა ორგანიზაციები გაცხოველებით ემზადებიან პირველი მაისის დღესასწაულების ჩატარებისათვის. განზრახულია მიმდინარე წელს პირველი მაისის უქმობაში შეტანილ იქნას მთელი რიგი ცვლილებანი, რათა დღესასწაულმა ჩვეულებრივზე უფრო მასიური და კულტურული სახე მიიღოს.

ამ მიზნით პირველ მაისს მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნებში მოეწყობა ოჯახური საღამოები და ბავშთა დილები. ქარხანა „ნოვაია ზარია“-ს მუშებს გადაწყვეტილი აქვთ ამ დღეს ჩაატარონ კოლექტიურ მოხსენებების ცდა. ფაბრიკა „კრასნი ტექსტილშჩიკი“ აწყობს მოხუც მუშების მოგონებათა საღამოებს და ექსკურსიებს. მოსკოვის როგოჟსკო-სიმონოვის რაიონში განზრახულია მცირე ეროვნებათა საღამოებს გამართვა, რომელზედაც მოწვეული იქნება ყველა მუშები.

ამასთან ერთად, მთელ რიგ პროფორგანიზაციებს გადაწყვეტილი აქვთ პირველ მაისს მოიწვიონ ქალაქში თავ-თავიანთ საშეფო სოფლების წარმომადგენლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკანასკნელი ცნობები

### წითელ-ფრონტელთა კავშირის დაშლის გარშემო

**ბერლინი**, 25 აპრილი. რეიხსტაგის განსაკუთრებული კომისიის გუშინდელ სხდომაზე ტელმანმა განაცხადა, რომ წითელ-ფრონტელთა კავშირის დაშლა წარმოადგენს მუშების წინააღმდეგ მიმართულ იერიშს, რომელსაც მოჰყვება სხვა იერიშები. კავშირის დაშლის მიზანია— ხელის შეშლა ყოველგვარი პროპაგანდისათვის საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ. ნიადაგი წითელ-ფრონტელთა კავშირის დაშლის მოთხოვნილებისათვის სოციალ-დემოკრატიამ მოამზადა. „ვერავითარი აკრძალვა,—დაასრულა თავისი სიტყვა ტელმანმა,—ვერ მოჰკლავს წითელ ფრონტელთა კავშირს".

საპასუხო სიტყვით გამოსულმა კეიდელმა განაცხადა, რომ წითელ ფრონტელთა კავშირი არის რევოლიუციონური ორგანიზაცია.

როგორც დეპეშები იუწყებიან, კომისიას არ გამოუტანია არავითარი დადგენილება, რის გამო საკითხის გადაწყვეტა მოენდო უზენაეს სასამართლოს, რომელიც სასწრაფო წესით იქნება მოწვეული.

### არჩევნები საფრანგეთში

**პარიზი**, 25 აპრილი. როგორც გამოირკვა, არჩევნების პირველი კენჭის ყრის დროს სოციალისტებმა ყველა ოლქებში მიიღეს 1.638.827 ხმა (ადს).

**ბერლინი**. პოლიტიკურ წრეებს და პრესას საფრანგეთის არჩევნების პირველი კენჭის ყრის შედეგები მიაჩნიათ პუანკარეს კურსის გამაგრებად, რაც, უეჭველია, ხელსაყრელი არაა გერმანიის საგარეო პოლიტიკისათვის.

### სოციალისტური პარტიის ფედერაციის საბჭოთა რეზოლიუცია

**პარიზი**, 25 აპრილი. სენის დეპარტამენტის სოციალისტური პარტიის ფედერაციის საბჭომ გაცხოველებული კამათის შემდეგ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: იქ, სადაც კენჭის ყრის დროს არც სოციალისტებს, არც რადიკალებს შანსები არა აქვთ, რომ თავის კანდიდატი გაიყვანონ, სოციალისტების კანდიდატურა შეიძლება მოიხსნას, ამ ამომრჩევლებს კი არ უნდა მივმართოთ, რომ ხმები კომუნისტებს მისცენ. იქ კი, სადაც სოციალისტები თავის კანდიდატურას ხსნიან რადიკალების სასარგებლოდ ამომრჩევლებს ურჩევენ რომ ხმები რადიკალებს მისცენ (ადს).

### იაპონიის საექსპედიციო ჯარები

**პეკინი**, 25 აპრილი. იაპონიის საექსპედიციო ჯარების პირველი ნაწილი—1.500 ჯარისკაცი—დღეს ცინდაოში მოვიდა, საიდანაც ხვალ გაიგზავნება შანდუნის პროვინციის მთავარ ქალაქ ცზინანში (ადს).

### ნანკინის ინციდენტის მოგვარება

**პეკინი**, 25 აპრილი. იუწყებიან, რომ საფრანგეთის შანხაელ კონსულსა და ნანკინის მთავრობის წარმომადგენელს შორის შეთანხმება მოხდა ეგრეთწოდებული ნანკინის ინციდენტის მოგვარების შესახებ (ადს).

### მღელვარება კალკუტაში

**ლონდონი**, 24 აპრილი. რეიტერის ცნობით, სამშაბათს, კალკუტაში მღელვარება იყო. დაჭრილია 15 ინდუსი და 6 ჩინელი. (ადს).

### მიწისძვრა

**ათინა**, 25 აპრილი. კორინთოში გრძელდება მიწისძვრა. ფალერიდან (ათინის ნავთსადგური) მიღებული ცნობებით, ზღვა გადმოიჭრა ნაპირზე და შემდეგ ისევ უკან დაიხია.

### ამხ. ზასლავსკის დანიშვნა

**თეირანი**, 24 აპრილი. საბჭოთა კავშირის კონსული ასტრაბადში ამხ. ზასლავსკი დაინიშნა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის ერთ-ერთ მდივნად სპარსეთში ამხ. ზასლავსკის ჩამოსვლას თეირანში მოელიან 25 აპრილს (ადს).

### იაპონიის საზღვაო ატაშე ბაქოში

**ბაქო**, 25 აპრილი. ბაქოში ჩამოვიდა იაპონიის საზღვაო ატაშე საბჭ. კავშირში— კიანოგი, რომელიც მოგზაურობს საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობის შესასწავლად. კიანოგი ხვალ მიემგზავრება თეირანში, საიდანაც ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდება.

### ეკლესია — სახალხო სახლად

**ლენინაკანი**, 24 აპრილი. სოფელ აჯინაზარის მცხოვრებთა ერთხმოვანი დადგენილებით სოფლის ეკლესია დაიხურა და შენობა გადაეცა სოფლის საბჭოს სახალხო სახლის გასახსნელად. (ადს).

## ვრანგელის სიკვდილი



**პარიზი**, 25 აპრილი. ბრიუსელიდან იუწყებიან, რომ იქ გარდაიცვალა ბარონი ვრანგელი. (ადს).

## ოფიცრები ჯაშუშები

**ვენა**, 24 აპრილი. ირკვევა, რომ დაპატიმრებული ავსტრიელი ოფიცრები, რომელთაც ჯაშუშობა ბრალდებოდათ, საიდუმლო დოკუმენტებს აწვდიდენ არა მარტო პოლონეთის საელჩოს, არამედ მრავალ სხვა საელჩოებსაც. ამასთან დაკავშირებით, რამდენიმე სამხედრო ატაშე უკვე გაიწვიეს ვენიდან. იუწყებიან, რომ ის დოკუმენტები, რომლებსაც საელჩოებს აწვდიდენ, შედგენილი იყო ძველად, ავსტრო-უნგრეთის მონარქიის დროს, და ამ დოკუმენტების მიმწოდებელი ოფიცრები ასწორებდენ მათ თარიღებს. (ადს).

## სხვადასხვა

### სპარსეთის ხიზილალა

**თეირანი**, 24 აპრილი. ამას წინად ნიუ-იორკიდან თეირანში ჩამოვიდა ხიზილალით მოვაჭრე ერთ-ერთი დიდი ამერიკული კომპანიის დირექტორი და ვაჭრობის სამინისტროს მისცა წინადადება, რომ კომპანია ყოველწლიურად შეიძენს სპარსეთის ხიზილალას სხვა ორგანიზაციებთან შედარებით 25 პროცენტით უფრო ძვირად. ამ წინადადებას განიხილავს მინისტრთა საბჭო (ადს).

## წყალდიდობა ამიერკავკასიაში

(ღამის ცნობები)

### თბილისში

გუშინ, ღამით წყალმა მტკვარში 40 სანტიმეტრით იმატა.

ნაპირებიდან გამოსულმა მტკვარმა მთლიანად დაფარა პეტრიწის მოედანი და ორთაჭალის შესახვევში მდებარე სახლები და ეზოები.

წყალმა დაანგრია პეტრიწის მოედანზე (№ 15-ში) მდებარე ორსართულიანი სახლი. გუშინ დილით სახლში მცხოვრებნი გადაიყვანეს სხვა ბინაზე და ამიტომ სახლის დანგრევას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

ორთაჭალის რაიონში მდინარე გასცილდა ნაპირებს და წყლით დაფარა მახლობლად მდებარე ბოსტნები და ბაღები.

ადიდებულმა მტკვარმა ნავთლუღში წალეკა და გაანადგურა სამი ბაღი.

ზარალი რამოდენიმე ათას მანეთს უდრის.

ხარფუხის ხიდს ორთაჭალაში წყალი წალეკვით ემუქრება.

მტკვარის დონის არაჩვეულებრივი ადიდების გამო, წყალზე დამხმარე თბილისის საზოგადოებამ გუშინ ღამით გააძლიერა მდინარეზე თვალყურის დევნების საქმე.

რიყისა და ორთაჭალის მცხოვრებთათვის დახმარების აღმოსაჩენად ღამით გამოიწვიეს ცეცხლმქრობელი რაზმის თანამშრომლები, წითელი არმიის ნაწილები და ცხენოსანი მილიცია.

გუშინ, ღამის ორის ნახევარზე მიიღეს ცნობები, რომ ადიდებული მტკვარი წალეკვით ემუქრება წყალსადენის მთავარ არხის სათავეს და იქვე აგებულ ჯებირს.

ჯებირის გასამაგრებლად და წყალსადენის არხის დასაცავად მიღებულ იქნა სასწრაფო ზომები.

დილის 2 ნახ. საათისათვის თბილისში მტკვარში წყლის მაქსიმალური სიღრმე აღწევდა 4,15 მეტრს. მტკვრის დინების სისწრაფე წამში უდრიდა 1.860 სანტიმეტრს.

წყალდიდობასთან მებრძოლი რესპუბლიკანური კომისია იღებს სასწრაფო ზომებს, რომ წყალდიდობას რამე უბედურება არ მოჰყვეს.

დღეს, დილის სამი საათისათვის, მტკვარში წყლის ადიდება გრძელდებოდა.

### აფხაზეთში

**სოხუმი**, 25 აპრილი. მდინარე კოდორის დონემ ხელახლა აიწია, მდინარე გადმოვიდა ნაპირებიდან და შეუერთდა პატარა კოდორს. წყალმა დაფარა სოფელი ვარჩა, სოფ. დრანდის ქვედა ნაწილი, სოფელი კარასი და სოფ. ბაბუშერის ნაწილი. სოფელ ესტოკაში წალეკილია 8 დესეტინამდე კულტურული მამული. რადგან წყლის დონემ სწრაფად დაიწია, წყალდიდობისაგან მიყენებული ზარალი უმნიშვნელოა.

საგანგებო სამეულმა აფხაზეთის შინაგან საქმეთა კომისრის ამხ. ნაჭყეპიას მეთაურობით დაათვალიერა წყალდიდობის ადგილი და დაადგინა: დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნას 3 დამატებითი ჯებირის აგება კოდორის ორივე ნაპირზე. ჯებირების აგებას შეუდგნენ დაკვრით წესით. ჯებირების აგებაში მოსახლეობა აქტიურ მონაწილეობას იღებს (ადს).

### აზერბეიჯანში

**ბაქო**, 25 აპრილი. დღეს აზერბეიჯანის სახ. კომისართა საბჭოს და ცაკის გაერთიანებულმა სხდომამ მოისმინა წყალდიდობასთან მებრძოლი კომისიის თავმჯდომარის ამხ. რზაევის საინფორმაციო მოხსენება. ამხ. რზაევმა აღნიშნა, რომ პირველ წყალდიდობას მოსახლეობა მოუმზადებელი დახვდა. ამჟამად მტკვარი კვლავ დიდდება და მიღებული ზომების მიუხედავად მდგომარეობა ადგილობრივ ჯერ ჯერობით მაინც საშიშია. წყალდიდობისაგან დაზარალებული 10.000 კაცი გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება. გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა: გაიგზავნოს დაზარალებულ რაიონებში წინათ გაგზავნილი 6 ვაგონის გარდა კიდევ 14 ვაგონი ფქვილი, რომელიც უფასოდ დარიგდება. მიწათმოქმედების კომისარიატს დაევალა უზრუნველჰყოს დაზარალებული მოსახლეობა სათესლე მასალით და მოუჩინოს სხვა რაიონები მას დასათესად. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დაევალა, შეიმუშაოს საჭირო ღონისძიებანი მტკვრისა და არეზის ნაპირების გასამაგრებლად (ადს).

# საბჭოთა კავშირში

### ამხ. კუიბიშევი შვებულებაში

**მოსკოვი**, 25 აპრილი. საკავშირო სახკომსაბჭომ თვენახევრის შვებულება მისცა საექიმოდ საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კუიბიშევს (ადს).

### ბინის ქირის ახალი ნორმები

**მოსკოვი**, 25 აპრილი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა შესცვალა პირველი დადგენილება საბინაო პოლიტიკის შესახებ და დაადგინა, რომ ბინის ქირის ახალი ნორმები შემოღებული უნდა იქნეს არა უგვიანეს 1 ივნისისა (ადს).

### მთავრობის საანგარიშო მოხსენება სასოფლო საბჭოს პლენუმზე

**ტვერი**, 25 აპრილი. ხოზოცკოეს რაიონის (ბეჟეცკის მაზრა, კრასნოხოლმსკის თემი) გლეხებმა სასოფლო საბჭოების საანგარიშო კამპანიის დროს გამოსთქვეს სურვილი, რათა უმაღლესი მთავრობის წარმომადგენელმა გაუკეთოს მათ მოხსენება მთავრობის მუშაობის შესახებ. ხოზოცკოეს სასოფლო საბჭომ მიიღო ცნობა საბჭოთა რუსეთის ცაკის მდივნის ამხ. კისელიოვის ხელმოწერით იმის შესახებ, რომ აპრილის ბოლოში მოსკოვიდან მათ სოფელში (ხოზოცკოეში) გაემგზავრება საბჭოთა რუსეთის მთავრობის წევრი, რომელიც გააკეთებს საანგარიშო მოხსენებას სასოფლო საბჭოს პლენუმზე. (ადს).

### შახტის მაღაროების მმართველობის რეორგანიზაცია

**დონის-როსტოვი**, 25 აპრილი. შახტის ოლქის სამთამადნო მუშათა საწარმოო თათბირზე ირჩევა მაღაროების მმართველობის რეორგანიზაციის გეგმა. კამათში მონაწილეობას იღებენ როგორც მუშები, ისე ინჟენერები. მუშების აზრით შახტის მაღაროების მმართველობის რეორგანიზაცია სავსებით დროული და მიზანშეწონილია. აქამდის ყოველგვარ წვრილმანებისათვის საჭირო ხდება „დონუგოლ"-ისათვის მიმართვა.

ახლო მომავალში მოწვეულ იქნება საოლქო საწარმოო კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს 400 კაცი. (ადს).

### გლეხკორის მოკვლა

**მოსკოვი**, 25 აპრილი. სოფელ მოლვინოში (მოსკოვის გუბერნია, ბოგოროდსკის მაზრა) მოჰკლეს ადგილობრივ გაზეთის „გოლოს რაბოჩეგო"-ს აქტიური გლეხკორი და კომკავშირის უჯრედის მდივანი პეტრე ზახაროვი. მკვლელობა, როგორც სჩანს, დაკავშირებულია იმასთან, რომ ზახაროვი აქტიურად იბრძოდა ეკლესიის აშენების წინააღმდეგ, რასაც მოითხოვდენ ადგილობრივი კულაკები. მუშები დიდათ აღაშფოთა მკვლელობამ და მოითხოვენ დამნაშავეთა დასჯას. (ადს).

## შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების დარღვევა

**მოსკოვი**, 25 აპრილი. მთელმა რიგმა ტრესტებმა, რომლებიც ამზადებენ ფანჯრის საჭიროდ თეთრ მინას, სხვადასხვა სავაჭრო ორგანიზაციებთან დასდეს ხელშეკრულებები საქონლის მიწოდებაზე, რომლებითაც დაარღვიეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება ფანჯრის მინის, როგორც სადეფიციტო საქონლის, მასალების წესების შესახებ. შრომის და თავდაცვის საბჭომ დაადგინა გააუქმოს თათრეთის რესპუბლიკის სილიკატტრესტის, ურალის მინის მრეწველობის გაერთიანების, „სმოლსტეკლო"-ს და ვეტლუგის კომბინატის ხელშეკრულებები სხვადასხვა ორგანიზაციებთან და წინადადება მისცა მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებს დაავალონ ხსენებულ ტრესტებს შემდეგში ფანჯრის მინის პროდუქცია გადასცენ პროდსილიკატს. (ადს).

## შემოდგომის ნათესების მდგომარეობა

**მოსკოვი**, 25 აპრილი. უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონებში გაზაფხულზე გამოირკვა შემოდგომის ნათესების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. ადგილ-ადგილ შემოდგომის ნათესები ნაწილობრივ დაიღუპა. უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის მთავრობამ შრომისა და თავდაცვის საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი უკრაინისათვის სათესლე მასალის და პურებით მიწოდების შესახებ თესვის კამპანიის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაავალა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატს შეწყვიტოს 1 მაისამდე სიმინდის გზავნა ჩრდილოეთ კავკასიიდან სპირტის მრეწველობისათვის და მთელი ის სიმინდი, რაც კი შესაძლებელია გაიზიდოს ჩრდილოეთ კავკასიიდან, გადასცეს უკრაინაში გასაგზავნად. უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის მთავრობას მიეცა ნება დამატებით გამოიყენოს ძირითად დამამზადებელთა რესურსებიდან თესვის კამპანიის საჭიროებისათვის 50.000 ფუთი მზესუმზირის თესლი, 200.000 ფუთამდე, ფეტვი და 300.000 ფუთი ქერი, აგრეთვე სათესლედ გამოიყენოს მთელი ის სიმინდი, რომელიც შეიძლება დამზადებულ იქნას უკრაინაში 18 აპრილიდან 10 მაისამდე. (ადს).

## სააქციო საზ.-ბა „კომეტა"-ს წევრთა საქმე

**მოსკოვი**, 25 აპრილი. 3 მაისს საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოში დაიწყება ლითონის ვაჭრობისა და მრეწველობის სააქციო საზოგადოება „კომეტ"-ის გამგეობის წევრების კულიაბკოს, სტუპინის, მანდელშტამის და სხვების საქმის გარჩევა. საქმის შინაარსი ასეთია: კერძო სააქციო საზოგადოება „კომეტ"-მა, იმ მიზნით, რათა გაეფართოვებია თავისი სავაჭრო ოპერაციები და წარმატებით გაეწია კონკურენცია სახელმწიფო წარმოებებისათვის, დაიწყო სახელმწიფო დაწესებულებების თანამდებობის პირთა მოსყიდვა და მათთვის ქრთამის მიცემა „კომეტ"-ის საწარმოო სავაჭრო ოპერაციებში მონაწილეობისათვის. ასეთი მექრთამეები, რომლებმაც სახელმწიფოს ინტერესები მიჰყიდეს კერძო ფირმას, აღმოჩნდენ ტვერის ვაგონების სააღმშენებლო სახელმწ. ქარხნის დირექტ. ფილიპოვი, შაქრის ტრესტის დაზღვევის ქვე-განყოფილების გამგე ტროცკი, ნავთის სინდიკატის სახანძრო დაცვის ინსპექტორი ბორბატოვი და სხვები. მათმა ბოროტმოქმედებამ სახელმწიფოს მიაყენა 200.000 მანეთის ზარალი. სულ ბრალდებულებმა აიღეს ქრთამად 35.000 მანეთი.

## ჩრდილოეთის საჰაერო ექსპედიცია

**მოსკოვი**, 25 აპრილი. საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმი შეუდგა მზადებას ჩრდილოეთის საჰაერო ექსპედიციის გადასაფრენად პეტროპავლოვსკი—(კამჩატკა)—ლენინგრადი. მაისის დამდეგს გადაფრენის მონაწილენი ოდესიდან გემით გაემგზავრებიან ვლადივოსტოკში. ამავე მარშრუტით გაიგზავნება ჰიდროთვითმფრინავი „წითელი ჩრდილოეთი". ვლადივოსტოკში ექსპედიცია ჩავა ივნისის 20-სათვის. აქ ჰიდროთვითმფრინავს გადაიტანენ მეორე გემზე და პეტროპავლოვსკში ჩაიტანენ ივნისის დამდეგს. ამავე დროს მოსკოვიდან ვლადივოსტოკში იგზავნება ტვირთები ექსპედიციის აღმოსავლეთის ბაზებისათვის, აგრეთვე ირკუტსკში—მდ. ლენის შესართავში დასაარსებელ ბაზებისათვის. სათადარიგო მოტორები უკვე გაიგზავნა ვლადივოსტოკში გემ „კოლიმა"-ზე და სატვირთავად. ექსპედიციის ორი დამხმარე რაზმი იაკუტიის ს. ს. რესპუბლიკიდან გავიდა მდ. ხატინგის შესართავის და ტაიმირის ნახევარ კუნძულის მიმართულებით (ადს).

## ამიერკავკასიის ფედერაციაში

### აზერბეიჯანი

### ბოროტმოქმედება „აზერტიფაკ"-ში

**განჯა**, 24 აპრილი. პროკურატურამ დიდი ბოროტმოქმედებები აღმოაჩინა „აზერტიფაკ"-ის განჯის განყოფილებაში. რევიზიის დროს აღმოჩნდა რეგისტრაციაში გაუტარებელი ანგარიში 4.000 მან. რაოდენობით და სალაროს დააკლდა 6.725 მან. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ „აზერტიფაკ"-ის საწყობიდან მოპარულია 1.000 მანეთის საქონელი, მოპარულია 600 მეტრი მანუფაქტურა, მანუფაქტურა იყიდებოდა კერძო პირებზე და სხვ. პასუხისგებაშია მიცემული „აზერტიფაკ"-ის საწყობის გამგე და „აზერტიფაკ"-ის გამგის მოადგილე მიკელ. (ადს).

### სომხეთი

### მევახშე ხუცესი

**ლენინაკანი**, 24 აპრილი. დუზკენდის სახალხო სასამართლომ გაარჩია სოფ. პატარა კიაპანაკის მღვდლის—ანდრონიკ კირიკოსიანის საქმე. კირიკოსიანს ბრალდებოდა მევახშეობა. 1927 წ. გაზაფხულზე თესვის დამთავრების შემდეგ მან თავის მეზობელ ღარიბ გლეხს ასესხა 36 კოდი ხორბალი იმ პირობით, რომ მოსავლის აღების შემდეგ მოვალე დაუბრუნებდა მას გაცემულ ხორბალს და კიდევ, სარგებლის სახით, 18 კოდს. სახალხო სასამართლომ მღვდელს მიუსაჯა 9 თვით დაპატიმრება, ამნისტიის ძალით სასჯელი შეუმცირდა ერთი მესამედით. (ადს).

## თავდაცვა ავიაქიმის თბ. საქალაქო კონფერენცია

გუშინ, საღამოს 7 საათზე პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა საქ. თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საქალაქო კონფერენცია. კონფერენცია გახსნა საქ. თავდაცვა-ავიაქიმის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ლ. აბაშიძემ, რომლის შესავალ სიტყვის შემდეგ არჩეულ იქნა საპატიო და საქმიანი პრეზიდიუმი, სამდივნო და სამანდატო კომისია.

დამტკიცებულ იქნა კონფერენციის შემდეგი დღის წესრიგი: 1) საერთაშორისო მდგომარეობა და თავდაცვა-ავიაქიმის ამოცანები, 2) თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრ. საბჭოს პლენუმის შედეგები, 3) თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საბჭოს ანგარიში, 4) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 5) საქ. თავდაცვა-ავიაქიმის მოხსენება, 6) თბილისის საბჭოს, სარევიზიო კომისიის და თავდაცვა-ავიაქიმის სრულიად საქართველოს ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევნები.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ამხ. ლისოვსკის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობისა და თავდაცვა-ავიაქიმის ამოცანების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიღებული უნდა იქნეს ყოველგვარი ზომები ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განსამტკიცებლად და მოსახლეობის ფართო მასების ჩასაბმელად თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების საქმიანობაში.

ამხ. ლისოვსკის მოხსენების შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ეგიკოვის მოხსენება თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრ. საბჭოს პლენუმის შედეგებზე.

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრ. საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. რიკოვს.

# მუშები და წარმოება

არსებობს სამეურნეო ხაზით სპეციალური დირექტივა, რომ სამეურნეო ორგანოებმა ყველა ის ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომელთა განხორციელებას ეპირებიან, უნდა წინასწარ განიხილონ სათანადო წარმოების მუშებთან.— მთელი პასუხისმგებლობა თქვენ, სამეურნეო ორგანოებს—გაქვთ დაკისრებული და მხოლოდ თქვენ გაქვთ განკარგულების უფლება. მაგრამ თუ თქვენ დაამყარებთ მჭიდრო კავშირს და ურთიერთობას მუშათა მასასთან, დაუახლოვებთ ამ მასას წარმოების ყველა საკითხებს,—ასეთ პირობებში თქვენ შეიძენთ არა მარტო დიდ გამოცდილებას, რომელსაც მიემატება დაზგის მუშათა გამოცდილებაც, არამედ თქვენ მიიღებთ აგრეთვე უდიდეს ძალასაც, ვინაიდან თქვენი განკარგულება არ დარჩება მარტო განკარგულებათ, მას არ ექნება ბიუროკრატიული ბრძანების ხასიათი, არამედ ამ განკარგულებას გამოეხმაურებიან წარმოების ყველა მონაწილენი და საერთო ძალებით შეეცდებიან მათ განხორციელებას—ასეთია დირექტივა.

უამისოდაც თვითეული სამეურნეო მუშაკისათვის უდავო უნდა იყოს ის ელემენტარული დებულება, რომ მუშების ზურგს უკან საბჭოთა რესპუბლიკებში არაფერი არ შეიძლება გაკეთდეს. პრაქტიკულათ მუშების სამეურნეო მშენებლობაში ჩაბმა გამოიხატება უმთავრესათ იმაში, რომ სამეურნეო ორგანო მუშებთან ერთად გაარჩევს იმ სამეურნეო საკითხებს, რომელთა მოწესრიგებას ის აპირებს. ასეთი საკითხებია მაგალითად, ახალი დაზგების და მანქანების შეძენა, წარმოების საერთოდ ან ერთი მისი ნაწილის გაფართოება, ახალ შენობათა აგების პროექტი, საამქროების და დაზგების გადაჯგუფება, მსხვილი შეკეთებები, ხარჯთ-აღრიცხვები, ნაწარმოების თვითღირებულების კალკულიაცია, საფინანსო გეგმები და ბალანსები და სხვ.

ცეკას მიერ ჩატარებულ შემოწმებით გამოირკვა, რომ ბევრგან არ წარმოებდა ცოტათ თუ ბევრათ მნიშვნელოვან სამეურნეო ღონისძიებათა და კაპიტალური მშენებლობის საკითხების მუშებთან წინასწარი განხილვა. თავის გასამართლებლათ სამეურნეო მუშაკები ამბობენ: „არ ვიცოდით, რომ ასეთი საკითხები უნდა იქნეს განხილული მუშებთან"-ო (პასუხი მეტათ გასაკვირალია.) ზოგან, პირიქით, სამეურნეო საკითხების მუშებში დამუშავებას ზედმეტათ თვლიდენ, ან კიდევ იმით კმაყოფილდებოდენ, რომ წელიწადში ერთჯერ, ან ორჯერ საერთო საანგარიშო მოხსენებაში იხსენიებდენ, თუ რა ღონისძიებები ჩაატარეს. ბევრგან ცალკე სამეურნეო ღონისძიებათა შესახებ მუშებისათვის ინფორმაციის მოწოდება ხდებოდა მას შემდეგ, როცა ეს ღონისძიებები განხორციელებული იყო.

რა მნიშვნელობა აქვს მუშებს შორის სამეურნეო ღონისძიებათა წინასწარ განხილვას? ჯერ ერთი, ამ ღონისძიებათა გატარებას მუშები შეგნებით შეხვდებიან (ეცოდინებათ წინდაწინ) და, მეორე, მუშებს შეუძლიათ შესწორებები შეიტანონ სამეურნეო ორგანოს მიერ დასახულ ღონისძიებებში. აი, მაგალითად, ბორჯომის შუშის ქარხანაში აპირებდენ შუშის მხარშველ ახალ ღუმელის აშენებას. ღუმელის პროექტი შედგენილ იქნა „სტეკლოსტროი"-ს მიერ. მის შედგენასა და განხილვაში (მრავალგვარ ინსტანციებში) მონაწილეობა მიიღეს სპეციალისტებმა. შემდეგ ეს პროექტი განხილული იქნა ბორჯომის შუშის ქარხნის მუშების საწარმოო თათბირზე და მუშებმა ამ პროექტში შეიტანეს ისეთი შესწორება, რომელიც შრომის ნაყოფიერებას ადიდებს.

სამწუხაროდ, მუშებთან სამეურნეო ღონისძიებათა პროექტების წინასწარი განხილვა სხვაგან არსად არ ხდებოდა და ბორჯომის შუშის ქარხანა ამ მხრივ მხოლოდ ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს.

მაგალითად, ტყავის ტრესტში შედგენილ იქნა ტყავის პირველი ქარხნის გადახალისების გეგმა, და დაიწყეს ახალი კორპუსის აგება. გეგმა მუშებში არ ყოფილა გარჩეული. გეგმის განხილვაში მიიღეს მონაწილეობა მხოლოდ უჯრედის მდივანმა და საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ. ფეხსაცმელების ქარხნის მექანიზაციის ჩატარების გეგმაც წინასწარ არ გარჩეულა მუშებში,—გაირჩა მხოლოთ საქარხნო კომიტეტის და უჯრედის ბიუროს დასწრებით.

თბილისის ავეჯეულების ქარხანაში ტრესტის სპეციალურმა კომისიამ ჩაატარა მუშაობა სამუშაო პროცესის დაყოფის შესახებ. დასახული ღონისძიებები ჩატარებული იქნა მუშებს შორის გაურჩევლათ. ამავე ქარხანაში ხდება სადურგლო განყოფილების გაფართოება (ახალი შენობის აგებით). გაფართოების პროექტი არ ყოფილა დასმული მუშებში. ისინი საფუძვლიან კრიტიკას უკეთებენ ტრესტის მიერ დაწყებულ გაფართოებას, მაგრამ ეს კრიტიკა ერთი მეორეში ლაპარაკს არ სცილდება, ვინაიდან ადმინისტრაცია არ ცდილობს ეს საფუძვლიანი კრიტიკა გამოიყენოს.

აღსანიშნავია, რომ ამავე ქარხანაში მუშებთან შეუთანხმებლათ ადმინისტრაციამ მოაწყო ღუმელები. მუშები იძლეოდენ წინადადებას სხვა სისტემის ღუმელების მოწყობის შესახებ. მათ არ დაუჯერეს. ადმინისტრაციის მიერ მოწყობილი ღუმელები გამოუსადეგი გახდა.

თბილისის თამბაქოს ქარხნებში გატარებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც მუშებს შორის არ ყოფილა განხილული. (ეს ღონისძიებები გაშუქებული იქნენ ადმინისტრაციის საერთო მოხსენებებში და არა დეტალურად, წინასწარ გატარებამდე).

ქუთაისის თამბაქოს და მაუდის ქარხნებში და არსენალში (თბილისი) გატარებულ იქნა საამქროების გადაჯგუფება. ამ გადაჯგუფების პროექტი არ იყო განხილული მუშებთან. ბორჯომის სატკეჩე ქარხანაშიაც საშრობ განყოფილების გაფართოების პროექტი არ იყო განხილული საშრობი განყოფილების მუშებს შორის. (დასმული იყო მხოლოთ საერთო საკითხი, რომ საჭიროა გაფართოება).

ბათომის ხის დამუშავების ქარხანაში მუშის მიერ შეტანილ იქნა წინადადება ძველი უვარგისი საორთქლეს მაგიერათ სხვა ახალი სისტემის საორთქლეს მოწყობის შესახებ. პირველად ადმინისტ.-ტექნიკური პერსონალი ამის წინააღმდეგი იყო. შემდეგ მუშის წინადადება განახორციელეს (რამაც სამჯერ შეამცირა მორების დაორთქლის პროცესი და გააუმჯობესა ნაწარმოების ხარისხი). თუმცა ეს საკითხი მუშის ინიციატივით იყო დაწყებული, მაგრამ საორთქლის მოწყობის პროექტი არ გაარჩიეს მუშების საწარმოო თათბირზე. ამავე ქარხანაში აწყობენ ფანერის ახალ ცეხს (ძველი შენობის გამოყენებით), მაგრამ არც მისი მოწყობის პროექტი და არც დაზგების გაწესრიგების პროექტი მუშებთან არ გაურჩევიათ.

სხვა წარმოებებშიც ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი. როგორც წესი, დირექტივა გასატარებელ სამეურნეო ღონისძიებათა მუშებში წინასწარ განხილვის შესახებ არ სრულდება. გამონაკლისს შეადგენს ერთი წარმოება და იქაც შემთხვევით მხოლოთ ერთი ღონისძიების განხილვა მოხდა.

ვინ არის დამნაშავე ამ დირექტივების შეუსრულებლობაში?—სამეურნეო ორგანოები და მასთან ერთათ პარტიული უჯრედები და საქარხნო კომიტეტები. როცა სამეურნეო ორგანო თავის ინიციატივით არ ასრულებს ამ ელემენტარულ მოთხოვნილებებს და არ ცდილობს მუშების დაახლოვებას წარმოების საქმიანობასთან, პარტ. უჯრედმა და საქარხნო კომიტეტმა უნდა ამოიღონ ხმა. ნამდვილათ კი, თითქმის არსად არ ყოფილა, შემთხვევა, რომ ამას ადგილი ქონებოდეს. შემდეგისათვის არ უნდა დარჩეს არც ერთი წარმოება, სადაც წარმოების საქმიანობაში მუშები აქტიურად არ იქნებიან ჩაბმული.

**ტომელი.**

# საბინაო კოოპერაციის რწმუნებულთა მეორე ყრილობა

გუშინ გაიხსნა საბინაო კოოპერაციის რწმუნებულთა მეორე ყრილობა. საქმიანი და საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ ყრილობამ დაამტკიცა დღის წესრიგი, რომელშიდაც შედის შემდეგი საკითხები: ბინათკავშირის გამგეობის, საბჭოს, სარევიზიო კომისიის, რესპუბლიკის საბინაო კოოპერაციის დამხმარე კომიტეტის მოხსენებები, 1927—28 წლის სამუშაო გეგმის და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება და სხვ.

## საქ. საბინაო კავშირის გამგეობის საქმიანობა

### მომხსენებელი ამხ. გარიშვილი

### მუშაობის საერთო პირობები

მომხსენებელი, რომელიც მიმოხილვას უკეთებს ბინათკავშირის საქმიანობას 1926 წლის აპრილიდან მიმდინარე წლის იანვრამდე, აღნიშნავს, რომ საბინაო კოოპერაციის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ერთობ რთულ პირობებში: კავშირს არ ჰქონდა საკმაო საბრუნავი თანხა, მოუგვარებელი იყო აგრეთვე სესხის თავის დროზე მიღების და ცეკობანკის სესხის დეცენტრალიზაციის საკითხი; ზოგიერთი საამშენებლო მასალის შოვნაც ძნელ საქმეს წარმოადგენდა და არ იყო საკმაო კვალიფიციური მუშა ხელი. მიუხედავად ამისა, საბინაო კავშირმა საანგარიშო პერიოდში მაინც შესძლო თავისი საქმიანობის გაფართოება და თავისი აპარატის გამაგრება- გაძლიერება.

### საიჯარო -საბინაო ამხანაგობები

პირველ რიგში კავშირის წინაშე იდგა კავშირის გარეშე დარჩენილ კოოპერატივების შემოერთება, და მუნიციპალიზაციაქმნილ 200 სახლის კოოპერატიულად შეკავშირება. ეს საქმე გამგეობამ შეასრულა. შემდეგ კავშირმა გამოიკვლია საიჯარო კოოპერაციის ქსელი: გამოირკვა, რომ საიჯარო ამხანაგობათა მთავარი ამოცანა— საცხოვრებელი სივრცის შენახვა, თანხის უქონლობის გამო, ვერ სრულდებოდა. ამ მოვლენის მოსასპობად საუკეთესო გზას წარმოადგენდა პატარა ამხანაგობის შეკავშირება დიდ სამეურნეო ერთეულებად, რაც ბინათკავშირს გაუადვილებდა ხელმძღვანელობის გაწევას. ამ მიზნით ჩატარებულ იქნა ამხანაგობის წევრთა საერთო კრებები, რომელზედაც წყდებოდა ამხანაგობათა გაერთიანების საკითხები. შეერთების შემდეგ 220 ამხანაგობის მაგივრად, მოეწყო 28 ამხანაგობა.

ამხანაგობათა ფინანსიური ბაზის გასაძლიერებლად გადიდებულ იქნა საპაიო და შესასვლელი თანხების ნორმა და ჩატარებულ იქნა სპეციალური კამპანია მათ შესაგროვებლად. გარდა ამისა, დაარსდა გრძელვადიანი სპეციალური ფონდი საბინაო- საიჯარო კოოპერაციისათვის სესხის მისაცემად, საიდანაც ამხანაგობას ეძლევა სამწლიანი სესხი 6 პროცენტის აღრიცხვით. ყოველდღიურ მიმდინარე მუშაობის პროცესში ამხანაგობებს ეძლეოდა იურიდიული დახმარება. საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია 243 საქმე და დაარსებულია 677 კონსულტაცია.

საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობათა უმეტესი ნაწილი არსებობს თბილისში, სადაც მათი რიცხვი 220 უდრის, ბინების რიცხვი ამ სახლებში შეადგენს 3.124 ოთახები—6.126, ამხანაგობის წევრთა რაოდენობა უდრის 3.281—აქედან მუშები არიან 34,7 პროც., მოსამსახურეები 40,5 პროცენტი. ამხანაგობათა წლიური შემოსავალი უდრის 286.000 მანეთს, გასავალი 160.000 მანეთს, სახლების შეკეთებაზე დახარჯულია 93.500 მანეთი, საშუალოდ თვითეულ სახლზე მოდის 600 მანეთი წლიური შემოსავალი, რაც სრულიად არ არის საკმარისი რემონტისათვის. ამის გამო, რასაკვირველია ამხანაგობებს არ შეეძლოთ, ეწარმოებიათ სახლების შეკეთება, ამიტომ ბინათკავშირმა მიიღო სათანადო ღონისძიებები და შექმნა 55.000 მანეთიანი ფონდი, საიდანაც საბინაო საიჯარო კოოპერაციას ეძლევა სესხი სამი წლის ვადით, კავშირმა მოახერხა აგრეთვე კომუნალური ბანკიდან 89.000 მანეთის მოკლევადიანი სესხის მიღება, 1926 წელს შეკეთებაზე დაიხარჯა 100 ათასი მანეთი, 1927 წელს 140.000 მანეთი.

### საბინაო- საამშენებლო კოოპერაცია

რაც შეეხება ბინათკავშირის საქმიანობას საამშენებლო კოოპერაციის დარგში, პირველ ყოვლისა გამგეობამ ჩაატარა საამშენებლო ამხანაგობათა გამოკვლევა და ამ გამოკვლევის მიხედვით გააუმჯობესა მათი შინაური საქმიანობა და ანგარიშწარმოება. შემდეგ ბინათკავშირმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საამშენებლო კოოპერაციის ფინანსიურ მდგომარეობას. მისი შუამდგომლობით, ამხანაგობებს გაუდიდდათ კრედიტი და ჩატარდა კრედიტების დეცენტრალიზაცია, შემუშავდა საპაიო თანხის მინიმალური ნორმები, განისაზღვრა წინასწარ დასაგროვებელ თანხის რაოდენობა წევრთა ხელფასთან შეფარდებით და სხვა. ამჟამად საამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა რაოდენობა უდრის 48-ს, რომელსაც ყავთ 1.275 წევრი. ამხანაგობათა საპაიო თანხა შეადგენს 208.418 მანეთს, დოტაცია 447.516 მანეთს, სესხი 1.327.646 მანეთს. 1926 წელთან შედარებით საბინაო-საამშენებ. კოოპ. ქსელი გადიდებულია 208 პროცენტით, საპაიო თანხა 189 პროცენტით, სესხი 311 პროცენტით. პროვინციაში არის 14 საამშენებლო ამხანაგობა 319 წევრით, რომელთაც აქვთ 44.083 მანეთის საკუთარი თანხა და 153.679 მანეთის სესხი სესხის უმეტეს ნაწილს შეადგენდა ადგილობრივი ფონდი. ცეკობანკიდან პროვინციას სესხი სრულიად არ მიუღია.

საერთო დირექტივების მიხედვით საანგარიშო პერიოდში ბინათ კავშირმა დაიწყო მრავალბინიანი სახლების აშენება. 1923 წლიდან 1928 წლამდე აშენებულია სულ 93 სახლი 166 ბინით და 386 ოთახით, რაც 862.705 მანეთი დაჯდა. ამჟამად შენდება 22 სახლი 100 ბინით 305 ოთახით, ჯდება 960181 მანეთი. პროვინციის ამხანაგობების მიერ აშენებულია 16 სახლი 35 ბინით და 82 ოთახით. ამჟამად შენდება 9 სახლი 12 ბინით და 38 ოთახით. საანგარიშო ხნის განმავლობაში შედგენილ იქნა მუშათა სახლის ხუთი ტიპიური გეგმარი, რომელიც აკმაყოფილებს ჰიგიენურ-სანიტარულ და კეთილმოწყობის მაქსიმალურ მოთხოვნილებებს და ამავე დროს აიაფებს მშენებლობას. შენობების ძირითად ტიპად მიჩნეულია სამსართულიანი 6 ბინიანი შენობა, რაც საშუალებას იძლევა მიწის ნაკვეთის საუკეთესოდ გამოსაყენებლად და აიაფებს თვით შენობის ღირებულებას.

## საბინაო კავშირის საბჭოს მუშაობა

### მომხსენებელი ამხ. ქელბაქიანი

მომხსენებელი მოკლედ ახასიათებს საბჭოს მიერ შესრულებულ მუშაობას საბინაო კოოპერაციის ყველა დარგებში. პირველ რიგში საბჭომ ყურადღება მიაქცია საბინაო კოოპერაციის ქსელის თანხების გაძლიერებას. საბჭომ დაადგინა მიღებული ყოფილიყო ზომები თანხების სასწრაფო შეგროვებისათვის და სესხის დაუყოვნებლივი დეცენტრალიზაციისათვის. საბჭომ განსაზღვრა საამშენებლო ამხანაგობაში შესასვლელი თანხის რაოდენობა ხუთი მანეთით, ხოლო ერთი პაის ღირებულება 50 მანეთით. 1927 წლის იანვარში საბჭომ განსაზღვრა თითო ამხანაგობაზე შესასვლელი თანხა 50 მანეთით და საპაიო თანხა თითო წევრზე 12 მანეთით და 50 კაპ.

საბრუნავი თანხის გასაძლიერებლად საბჭომ გამოჰყო სპეციალური კომისია აღმასკომის თანხებიდან 100 ათასი მანეთის, ხოლო კომუნალური ბანკიდან 40.000 მანეთის მოკლევადიანი სესხის მისაღებად. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც საბჭომ მიაქცია ყურადღება, იყო ბინათკავშირისა და ამხანაგობების შორის ნორმალური დამოკიდებულების დამყარება. საბჭო აწარმოებდა მუშაობას ამხანაგობებში თვითმოქმედების, პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად, ამხანაგობებსა და ბანკებს შორის ფინანსიური დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად, ანგარიშწარმოების მოსაგვარებლად და სხვა.

ფრიად აქტიური იყო აგრეთვე საბჭოს როლი საბინაო მშენებლობაში; გამომუშავებულ იქნა მუშათა სახლის ტიპები და მშენებლობას მიეცა გეგმიანი ხასიათი. ბევრი დრო მოანდომა საბჭომ სესხის განაწილებას. საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პირველ რიგში სესხი მისცემოდა დაწყებულ შენობების დასამთავრებლად იმ ამხანაგობებს, რომლების წევრთა უმრავლესობა მუშები შეადგენდნენ.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა ბინათკავშირის საფინანსო ანგარიში.

## სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებათა გამგეების თათბირი

გუშინ დილის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში გაიხსნა სამაზრო აღმასკომებთან არსებულ ჯანმრთელობის განყოფილებათა გამგეების რესპუბლიკური თათბირი, რომელიც მოწვეულია ჯანმრთელობის დაცვის 5 წლიანი პერსპექტიული გეგმის დამუშავების და ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენის საკითხების მოსაგვარებლად.

5 წლიანი პერსპექტიული გეგმების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ი. ფრანგულიანი, რომელმაც აღნიშნა, რომ უმაღლეს საკავშირო ორგანოების დადგენილებით წელს შემუშავებული უნდა იქნას რეალური 5 წლიანი პერსპექტიული გეგმა ჯანმრთელობის დაცვის დარგში სამუშაოთ. ჯერ-ჯერობით სახალხო ჯანმრთელობის შესახებ პერსპექტიული გეგმები არ ყოფილა შედგენილი. იყო ცდა მხოლოდ შარშან, მაგრამ მაშინ შედგენილი გეგმა არ აღმოჩნდა რეალური, რადგანაც მასში გათვალისწინებული არ იყო გეგმაში აღნიშნულ საქმეების შესასრულებელი ფინანსიური წყაროები.

გარდა ამისა, მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ჯანმრთელობის დაცვის პერსპექტიული გეგმების შეთანხმებას მრეწველობის დარგში გამომუშავებულ პერსპექტიულ გეგმებთან. მომხსენებელი საჭიროდ სთვლის აგრეთვე უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში აღებული იქნეს კურსი პროფილაქტიური ღონისძიებების გაძლიერებაზე, რადგანაც სახალხო ჯანმრთელობის დაცვის რადიკალურ საშუალებით საყოველთაოდ ცნობილია ავადმყოფობის გავრცელების შესაძლებლობასთან ბრძოლა (პროფილაქტიკა).

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო მრავალმა ორატორმა.

ამხ. ლ. ნაზარეტიანი თავის სიტყვაში აღნიშნავდა, რომ საჭიროა 5 წლიანი გეგმები იმ ანგარიშით იქნეს შედგენილი, რომ უახლოესი წლების განმავლობაში ჩვენ დავეწიოთ ამ დარგში ევროპის განვითარებულ სახელმწიფოებს, სადაც მკურნალობას იმდენი ყურადღება არ ექცევა, როგორც პროფილაქტიკას.

საღამოს სხდომაზე თათბირი შეუდგა ბიუჯეტის საკითხების განხილვას.

## ბრძოლა უმუშევრობასთან

(წერილი მოსკოვიდან)

უმუშევრობასთან ბრძოლის საკითხი ერთ-ერთი უმთავრესი საკითხთაგანია მუშურ-გლეხური ხელისუფლების საქმიანობაში.

უმუშევრობასთან ბრძოლას მეტად აფერხებს ერთი გარემოება, რომელიც ისევე მწვავედ საგრძნობია მოსკოვშიაც, როგორც ჩვენში. საქმე ისაა, რომ უმუშევართა უმთავრესი კადრი არაკვალიფიციური მუშები და მოსამსახურეებისაგან შესდგება. ისინი, ვისაც რაიმე საწარმოო სპეციალობა აქვს, მაგალითად, ზეინკლები, ხარატები, დურგლები და სხვა იშვიათად ირიცხებიან ხოლმე შრომის ბირჟის ანკეტებში ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივ დროს. პირიქით, არის შემთხვევები, როდესაც ბირჟები ფაბრიკა-ქარხნების მოთხოვნილებას სათანადო კვალიფიკაციის მქონე მუშა ხელზე ვერ აკმაყოფილებენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ სიებში ათასობით ირიცხებიან უმუშევრები. ამიტომ არის, რომ უკანასკნელ ხანებში ფრიად სერიოზულად დაისვა საკითხი უმუშევართა კვალიფიკაციურად გადამზადების შესახებ.

საწარმოო კვალიფიკაციის მიღების საკითხი მწვავედ სდგას არა მარტო იმ უმუშევართათვის, რომლებიც გუშინ ჩამოვიდნენ სოფლებიდან, არამედ უმუშევარ მოსამსახურეთა ზოგიერთ კატეგორიებისათვისაც.

ჩვენში, სადაც ენერგიული ბრძოლა სწარმოებს ბიუროკრატიზმთან, „ქაღალდომანიასთან", „კანცელიარშჩინასთან", სადაც კანცელარიების, კანტორების და სამმართველოების შტატების გადათვალიერება საკმაოდ ხშირად სწარმოებს მათი შეკვეცისა და ამ გზით აპარატის რაც შეიძლება მეტად გამარტივების მიზნით, ცხადია, ამ დარგის მუშაკთა შორის უმუშევრობას მუდმივი ხასიათი ექნება. ჩვენ არ შეგვიძლია იმის გამო, რომ უმუშევრად არ დარჩეს კანცელარიების ზოგიერთი მუშაკები, კვლავ გავბეროთ შტატები, ან ახალი კანტორები და კანცელარიები გავხსნათ.

ამიტომ დასმულია საკითხი უმუშევარ მოსამსახურეთა ზოგიერთ კატეგორიების საწარმოო კვალიფიკაციით უზრუნველყოფის შესახებ.

მოსკოვში უმუშევართათვის კვალიფიციურად გადამზადების საკითხს პირველ ხანებში ცდის ხასიათი ქონდა. ამჟამად კი, მას შემდეგ, რაც გამოირკვა მისი გატარების მიზანშეწონილობა, მოსკოვის შრომის ბირჟამ უკვე დღის წესრიგში დააყენა უმუშევრობასთან ბრძოლის ამ საშუალების ფართოთ გამოყენების საკითხი. უმუშევართა გადამზადების საქმეს უკვე გეგმაშეწონილი და მუდმივი ხასიათი ეძლევა. მიმდინარე წლის განმავლობაში განზრახულია 13,534 უმუშევარი მოემზადოს კვალიფიციურად. რა წესით იწარმოებს ეს გადამზადება? პირველ ყოვლისა, უმუშევართა გადამზადებისათვის ფართოდ იქნებიან გამოყენებული თვით წარმოებები. გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ამ გზით საუკეთესო შედეგების მიღება შეიძლება, თუ რა თქმა უნდა, წარმოების ადმინისტრაცია და სათანადო საზოგადოებრივი ორგანოები ერთის მხრივ, ხოლო თვით უმუშევარი მეორეს მხრივ საჭირო დაკვირვებით და სერიოზულობით მოეკიდებიან საქმეს.

13,534 უმუშევრიდან განზრახულია კვალიფიკაცია მიეცეს ათი ათასზე მეტ კაცს. მოწყობილია სხვადასხვა სპეციალური კურსები და სკოლა სახელოსნოები, რომლებშიც ორი ათასზე მეტი უმუშევარი იქნება მიღებული. ამრიგად, უმუშევრების მასიურად საწარმოო კვალიფიკაციით აღჭურვის საკითხი პრაქტიკულ განხორციელების გზაზეა. ეს ღონისძიება ერთის მხრივ შეუწყობს ხელს უმუშევრების შემცირებას, ხოლო მეორე მხრივ მოამზადებს ახალ კვალიფიციურ მუშა-ხელს, რომელიც ასე საჭიროა აღორძინების და სწრაფი ზრდის პროცესში მყოფ ჩვენი მრეწველობისათვის.

**ვლ. გერაძე.**

მოსკოვი.

# პარტიული ცხოვრება

## არს. რაიონის აქტივში

გუშინ, წითელ თეატრში შესდგა მეორე რაიონის პარტ-აქტივის კრება, რომელზედაც ამხ. კახიანის მიერ გაკეთებულ იქნა მოხსენება ცეკასა და ც. საკ. კომისიის გაერთიანებული პლენუმის შედეგებზე.

მომხსენებელმა ფართოდ განმარტა პლენუმის დღის წესრიგში დასმული საკითხები და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პლენუმმა სავსებით მიზანშეწონილად სცნო პურის დამზადების შეფერხებისა და შახტის კონტრრევოლიუციის წინააღმდეგ მიღებული ზომები.

პურის კრიზისი—ამბობს ამხ. კახიანი, აყენებს ჩვენს წინაშე კულაკთან ბრძოლის გაძლიერების ამოცანას. ამ საქმისათვის კი პლენუმმა საჭიროდ აღიარა სოფლის ღარიბებისა და მოჯამაგირეების უფრო შეკავშირება და დარაზმვა.

ჩვენში, სოფლად მომუშავე ამხანაგები ხშირად გაიძახიან, რომ ღარიბთა შორის სპეციალური მუშაობის წარმოება არაა საჭირო, რადგან ქართულ სოფელში ყველა ღარიბები არიან. ასეთი შეხედულება, ცხადია შემცდარია. ჩვენ გვყავს კულაკი და ღარიბიც. ღარიბთა შორის მუშაობას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

პლენუმმა—განაგრძობს მომხსენებელი, დაადგინა გაფართოვდეს სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმე. მაგრამ საინტერესოა როგორ ესმისთ ეს საკითხი ადგილებზე მომუშავე ამხანაგებს. მაზრის მუშაკებიდან ხშირად გაიგონებთ: „გადავსწყვიტეთ დავაარსოთ ამდენი და ამდენი კოლექტიური მეურნეობა".

უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთი მიდგომით სოფლის კოლექტივიზაცია შორს ვერ წავა. კოლექტიური მეურნეობის „დეკრეტის წესით" დაარსების მაგივრად საჭიროა მეტი გასაქანი მივცეთ გლეხური მასების ინიციატივას და უკეთესი ხელმძღვანელობა გაუწიოთ ამ უკანასკნელს.

ეხება რა შახტის კონტრრევოლიუციონერთა საქმეს, ამხ. კახიანი აღნიშნავს, რომ კომუნისტებს ხშირად [illegible] ისინი ან უსაზღვროდ ენდობიან სპეციალისტებს ან და სულ უნდობლობით უყურებენ მათ.

ცხადია, არც ერთი ეს შეხედულება არაა მისაღები. ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საჭიროება მოითხოვს უფრო სწორ მიდგომას სპეცების გამოყენების საკითხში.

გადადის რა თვით კრიტიკის საკითხზე, მომხსენებელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თვითკრიტიკით გამომჟღავნებულ ნაკლოვანებებს ემიგრაცია გამოიყენებს ახალი ჭორებისათვის. მაგრამ ჩვენ ამისი არ გვეშინია, რადგან ვიცით, რომ ამხანაგური კრიტიკა ხელს გვიწყობს ნაკლთა გამოსწორების საქმეში.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ურთთელმა, ნასარიძემ, ფუმიანმა, ჩიხრაძემ, კაციტაძემ და სხვ. და საერთო კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. კახიანის მოხსენება ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის შედეგების შესახებ, არსენალის რაიონის აქტივი მთლიანად და სავსებით უერთდება და იწონებს პლენუმის გადაწყვეტილებებს. აქტივი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს და კანდიდატებს შეისწავლონ გადაწყვეტილებანი და განიხილონ ისინი უჯრედების საერთო კრებებზე, აგრეთვე მიიღონ ყველა ღონისძიებანი ამ გადაწყვეტილებათა მტკიცედ განსახორციელებლად ყოველდღიურ მუშაობაში.

პარტაქტივი ხაზს უსვამს, რომ თვითკრიტიკის გატარებას ჩვენს მუშაობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს დეფექტების, შეცდომებისა და ბოროტმოქმედების, პარტიის დირექტივების დარღვევის და შეუსრულებლობის გამოსამჟღავნებლად და ამ გზით მთელი სოციალისტური აღმშენებლობის საქმის გასაუმჯობესებლად".

## მე-2 ქართ. დივიზიის პარტკონფერენცია

გუშინ, საღამოს 7 საათზე, წითელ არმიის და ფლოტის სახლში გაიხსნა ამხ. ფრუნზეს სახელობის ქართული მსროლელი დივიზიის მესამე პარტკონფერენცია.

კონფერენცია გახსნა დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსმა ამხ. შ. ოკუჯავამ, რომლის შესავალი სიტყვის შემდეგ არჩეულ იქნა: საქმიან პრეზიდიუმში 15 ამხანაგი, სამდივნო და სამანდატო კომისიაში 5 კაცი.

საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. სტალინი, ბუხარინი, ვოროშილოვი, რიკოვი, ორჯონიკიძე, ბუბნოვი, ცხაკაია, კახიანი, მახარაძე, ქართველიშვილი, ლევანდოვსკი, და ვასილიევი.

დღის წესრიგში დამტკიცდა შემდეგი საკითხები: 1) პოლიტიკური მოხსენება, 2) კავკას. წითელდროშოვან არმ. პოლიტსამმართველოს მოხსენება, 3) დივიზიის პოლიტგანყოფილების მოხსენება, 4) დივმეთაურთა მოხსენება, 5) დივ პარტკომისიის ანგარიში, 6) პარტკომისიის არჩევნები, 7) სექციების მუშაობის დამტკიცება, 8) მიმდინარე საკითხები.

რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ მოსმენილ იქნა კავ. წით. დრ. არ. პოლიტ-სამმართველოს მოხსენება—მოხსენება გააკეთა კ. წ. დ. ა. პოლიტ-სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. ნემერზელმა.

## ქალაქის რაიონის პარტუჯრ. მდივნების თათბირი

გუშინ, საღამოს 6 საათზე აღმასკომის დარბაზში შესდგა მეოთხე რაიონის პარტუჯრედთა მდივნების თათბირი, კომკავშირის უჯრედის მდივნების მონაწილეობით. თათბირმა განიხილა შემდეგი საკითხები:

1. 1 მაისის დღესასწაულის გეგმის დამტკიცება,
2. მე-4 რაიონის თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. შ. პაპავამ, რომელმაც თათბირს დაწვრილებით გააცნო 1 მაისის დღესასწაულის ჩატარების გეგმა, გეგმა მიღებულ იქნა მთლიანად.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. იაგნეტინსკიმ. მომხსენებელმა დაახასიათა თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობა მე-4 რაიონში და აღნიშნა, რომ ამ ორგანიზაციის ირგვლივ ერთიანდება საბჭოთა საზოგადოებრივი ყურადღება რომელიმე განსაკუთრებული მომენტის დროს, როგორიცაა მაგ. თავდაცვის კვირეულის ჩატარება და სხვა. ასეთ მომენტებში საზოგადოების მუშაობას დიდი გაცხოველება ეტყობა. მაგრამ საკმარისია ჩვენი პარტიის რომელიმე ავტორიტეტულმა პირმა განაცხადოს: „აღარ არის ომის საფრთხე" რომ ეს მუშაობა მაშინვე მოდუნდეს.

ასეთი მდგომარეობა არაა დასაშვები. საჭიროა გაფართოვდეს აგიტაცია-პროპაგანდა თავდაცვა-ავიაქიმის იდეათა პოპულიარიზაციისათვის მშრომელთა ფართო მასებში. ჩვენი ორგანიზაცია მუდამ მზად უნდა იყვეს, რომ ომის პირობებში, ყოველგვარ დაბრკოლებათა გარეშე უმტკივნეულოდ გადავიდეს საომარ მდგომარეობაზე. ამისათვის კი არ კმარა მარტო საწევრო გადასახადების შეტანა, საჭიროა საზოგადოების წევრმა აქტიური და უახლოესი მონაწილეობა მიიღოს თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედის პრაქტიკულ მუშაობაში.

ამხ. იაგნეტინსკის მოხსენების შემდეგ, რაიკომის გაფართოვების შესახებ მოკლე ინფორმაციით გამოვიდა ამხ. რუხაძე, თათბირმა დაადგინა ეთხოვოს თბილისის კომიტეტს რაიკომის გაფართოვების დროს მხედველობაში მიიღოს ორგანიზაციის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მომენტი.

დასასრულ, თათბირმა მოისმინა მოხსენება უჯრედთა ბიუროების გადარჩევის შესახებ.

ნ. ფ.

## ვემზადოთ გამოცდებისათვის

თბილისის ორგანიზაციაში უკვე დამთავრდა ნორმალური პოლიტ-წრეების მეცადინეობა.

პოლიტ-წრის თვითეულმა მსმენელმა ამ დღეებში უნდა გადაათვალიეროს სამოსწავლო პერიოდში განვლილი მასალა, რომ მომზადებული შეხვდეს გამოცდებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დარჩება იმავე წრეში, რომელშიაც მეცადინეობდა მიმდინარე წელს.

ზოგიერთ მუშას ისეთი წარმოდგენა აქვს გამომცდელ კომისიაზე, თითქოს სამსჯავროს წინაშე უნდებოდეს გასვლა, ასეთი ყალბი შეხედულება აუცილებლად უნდა განვდევნოთ პოლიტ-წრეების მსმენელთა მეხსიერებიდან.

რაიკომი იმისათვის კი არ ნიშნავს კომისიებს, რომ მსმენელებს „ტყავი გააძრონ", არამედ კომისიის ვალდებულებას შეადგენს წრის მუშაობის, მისი ავისა და კარგის შეფასება და აგრეთვე იმის გაგება, თუ რა შეითვისა თვითეულმა მსმენელმა სამოსწავლო პერიოდის განმავლობაში.

მაშასადამე გამოცდის დროის არავითარ შიშს არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

გ. ტუხაშვილი.

## ლათინური ამერიკის პროფკავშირთა დელეგაცია თბილისში

24 აპრილს, ღამით თბილისში ჩამოვიდა ლათინური ამერიკის პროფკავშირთა დელეგაცია, რომელშიაც შედის არგენტინის, კუბის, პერუს, ჩილის და მექსიკის პროფესიონალურ პროფკავშირების წარმომადგენლები. დელეგაციაში შედის აგრეთვე პორტუგალიის პროფკავშირის წარმომადგენელი.

დელეგაცია შესდგება 13 წევრისაგან, რომელთაგან 1 ქალია.

დელეგაციას თან ახლავს საკავშირო პროფსაბჭოს რწმუნებული ამხ. შაპირო.

დელეგაციამ უკვე დაათვალიერა საბჭოთა კავშირის მსხვილი სამრეწველო ცენტრები.

გუშინ დელეგაციამ დაათვალიერა რკინის გზის მთავარი სახელოსნოები, პროფესიონალური კავშირები და მუშათა კლუბები.

გუშინვე დელეგაციამ პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგის ამხ. ანთიძის თანხლებით დაათვალიერა ქალაქის სხვადასხვა უბნები და მაუდის ქარხნის საამშენებლო სამუშაოები დიდუბეში.

დღეს დელეგაცია გაემგზავრება ბაქოში. გზაში დელეგაციას განზრახული აქვს შეჩერდეს განჯაში, სადაც დელეგატები დაათვალიერებენ ახლად აგებულ ქარხნებსა და ფაბრიკებს.

## საკურორტო სეზონის წინ

### ავადმყოფ დაზღვეულების სანატორიუმში გაგზავნის წესი

საქ. სოც. დაზღვევის კომიტეტის საექიმო-პროფილაქტიურმა განყოფილებამ შეიმუშავა (ქალ. თბილისისათვის) დაზღვეულების სანატორიუმებში საექიმოდ გაგზავნის გეგმა, რომლის მიხედვით სანატორიუმებსა და კურორტებზე გასაგზავნ ავადმყოფების წინასწარი გადარჩევა იწარმოებს საექიმო დაწესებულებებში შემდეგი წესით:

ფილტვებით დასნეულებულები გადარჩეულები იქნებიან იმ ავადმყოფებიდან, რომლებიც იმყოფებიან ტუბდისპანსერის მეთვალყურეობის ქვეშ არა ნაკლებ ორი თვისა, და ამ ხნის განმავლობაში სისტემატიურად სწარმოებს მათი ჯანმრთელობის გამოკვლევა. ასეთი ავადმყოფები სანატორიუმებსა და კურორტებზე გასაგზავნად უნდა გატარდენ საექიმო-საკონტროლო კომისიაში, რომელიც არსებობს ტუბდისპანსერთან (ბორჯომის ქ. № 10).

გულის, მუცლის, თირკმელების და ღვიძლის სენებით დაავადებულნი, რომელთაც სჭირდებათ ექიმობა ბორჯომში, კისლოვოდსკში და ესენტუკში, უნდა გატარდენ დაზღვევის ლაბორატორიასთან არსებულ საექიმო საკონტროლო კომისიაში—(ლუნაჩარსკის ქ. № 2).

ამ სენებით დაავადებულნი საკონტროლო კომისიაში გატარებამდე, უნდა გატარდენ დაზღვეულთა საექიმო დაწესებულებებთან არსებულ საექიმო კონსულტაციაში, სადაც მათ სათანადო ექიმისაგან მიეცემათ მოწმობა საკონტროლო კომისიაში გასატარებლად.

(ფილტვის და თირკმლების სენით დაავადებულნი წინასწარი ანალიზის გარეშე დაშვებულნი არ იქნებიან საკონტროლო კომისიაში).

საკონტროლო კომისიაში გატარების შემდეგ შედგენილი იქნება სია იმ ავადმყოფების, რომელთაც ნამდვილად ესაჭიროებათ საკურორტო ექიმობა.

შემდეგ სია გადაეგზავნება პროფსაბჭოს კანდიდატების სოციალური მდგომარეობის მიხედვით გადასარჩევად და დასამტკიცებლად: (ავადმყოფებს შედეგების გაგება შეუძლიათ თავიანთ კავშირებში).

ის პირები, რომლებსაც საკონტროლო კომისია იცნობს დროებით შრომის უნარმოკლებულად, მაგრამ სოციალური გადარჩევის შემდეგ, ან სხვა მიზეზების გამო ვერ იქნებიან გაგზავნილი სანატორიუმებში, შეუძლიათ კუთვნილ შვებულების გარდა წავიდენ დამატებითი შვებულებაში თავისი ხარჯით.

მუშა-მოსამსახურეები, რომლებსაც ესაჭიროებათ დასასვენებელ სახლებში გაგზავნა, წარსულ წლის მსგავსად, უნდა გატარდენ დასასვენებელ სახლში გასაგზავნთა გადამრჩევ საექიმო კომისიაში, რომელიც დაარსებულია ცენტრალურ ამბულატორიასთან.

კომისიაში გატარება შეიძლება ყოველდღე საღამოს 5—8 საათამდე.

დასასვენებელ სახლებში გასაგზავნ პირებს უნდა ჰქონდეთ მოწმობა ადგილკომიდან იმის შესახებ, თუ როდის ეკუთვნისთ მათ შვებულება დაწესებულებებიდან.

დასასვენებელ სახლებში მუშა-მოსამსახურეები გაიგზავნებიან 2 კვირით.

იმ პირებს, რომელთაც ესაჭიროებათ წყალტუბოში გაგზავნა, შეუძლიათ გატარდენ, როგორც ტალახის სამკურნალოში, ისე დასასვენებელ სახლებში გამგზავნთა გადამრჩევ კომისიაში. მუშა-მოსამსახურეები წყალტუბოში გაიგზავნებიან, როგორც დასასვენებელ სახლში, ე. ი. წარმოება-დაწესებულებებიდან კუთვნილ შვებულების ანგარიშში ორი კვირით. სამაგიეროდ წყალტუბოში გაგზავნილებს გაეწევათ უფასო საექიმო დახმარება, მიეცემათ ბინა, კვება და უფასო მგზავრობა.

ისე როგორც სანატორიუმებსა და კურორტებზე გასაგზავნთა სია დასასვენებელ სახლებში გასაგზავნ კანდიდატთა სიაც საექიმო კომისიაში გატარების შემდეგ, გადაეგზავნება პროფსაბჭოს, სადაც საბოლოოდ მოხდება დასასვენებელ სახლებში გასაგზავნ მუშა-მოსამსახურეთა სოციალური გადარჩევა.

კურორტებზე და დასასვენებელ სახლებში დაზღვეულთა გაგზავნა იწარმოებს:

არაზინდოში 10—15 მაისიდან, ბორჯომში 15 ივნისიდან, აბასთუმანში—1 ივნისიდან, წაღვერში—1 ივნისიდან, სურამში—1 ივნისიდან, წყალტუბოში—1 ივნისიდან, ქობულეთში—1 ივლისიდან; კისლოვოდსკში და ესენტუკში გაგზავნის დრო ცალკე იქნება გამოცხადებული.

## მედსანშრომის მუშაკთა კონფერენცია

### მეორე და მესამე სხდომა

მეორე სხდომაზე მედსანშრომის მუშაკთა კავშირის საკავშირო ცენტრალურ კომიტეტის მუშაობა—საქმიანობის შესახებ—მოხსენება გააკეთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ზენიუშკინმა.

მომხსენებელმა კონფერენციას გააცნო მედსანშრომის კავშირის მდგომარეობა და აღნიშნა, რომ უკანასკნელი წლის განმავლობაში კავშირის წევრთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. ეხლა საკავშირო მასშტაბით მედსანშრომის კავშირი აერთიანებს 500.000 მეტ წევრს.

ეხება რა სოფლად მუშაობის საკითხს, მომხსენებელი ამბობს, რომ სოფელი ექიმების დიდ ნაკლებობას განიცდის. ბევრი ექიმი არ მიდის სოფელში სამუშაოდ. ამის წინააღმდეგ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სათანადო ზომები და ის ექიმები, რომლებიც საპატიო მიზეზების გარეშე არ მიდიან სოფლებში სამუშაოდ ისჯებიან: მათ ხსნიან შრომის ბირჟის აღრიცხვიდან და ზოგიერთ შემთხვევაში—კავშირიდანაც რიცხავენ.

მომხსენებლის სიტყვით, მედსანშრომის მუშაკთა ხელფასი ხუთი წლის განმავლობაში გაიზრდება 50—60 პროცენტით.

დასასრულ მომხსენებელი ჩერდება საწარმოო-ეკონომიურ საქმიანობაზე, კავშირის წევრთა მუშაობის პირობებზე და სხვა.

მესამე სხდომაზე გამართული კამათი მედსანშრომის მუშაკთა კავშირის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის და კავშირის ცენტრალური გამგეობის მოხსენების გარშემო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატარა ფელეტონი

## ხიქსი ისევ ჩიხში

...საუტგემპტონში გაჩერებულ საბჭოთა გემის „ტოვარიშჩი"-ს კომანდის წინანდებურად აძლევენ ნებართვას დაჰყოს სანაპიროზე კიდევ რამდენიმე კვირა. კონსერვატორმა ხილმა ჰკითხა ხიქსს: რამდენად საჭიროა, რომ რამდენიმე კვირა გავიდეს, ვიდრე ეს გემი მოახერხებდეს ლენინგრადისაკენ წასვლას. ხიქსმა უპასუხა: ინგლისის შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალა-უფლებას არ ემორჩილება რუსეთის ჰავაო. ხიქსის პასუხმა საერთო სიცილი გამოიწვია პალატაში.

(დეპეშებიდან)

რისთვის იწვევს სიცილს
განცხადება ხიქსის?
ხიქსს არ მოსდის გონში,
რომ საუტგემპტონში
იცდის „ტოვარიშჩი",
თითქოს მოხვდა ჩიხში!
ჰგავს იორღა-მავალს,
სდგას და იქექს გავას,
გავა თუ არ გავა?!..
მაგრამ აი, ჩავა
ჩაჰყრობს ცოტა სუსხებს
იქ, საბჭოთა რუსეთს!..
და შეწუხდა ხიქსი
თითონ მოხვდა ჩიხში,
როცა ჰკითხა ხილმა,
(ჩიხში მდგომის ტოლმა),
თუ კვლავ რამდენ კვირას
დაჰყოფს ზღვის ნაპირას
გემი „ტოვარიშჩი"?
გაშრა ნერწყვი პირში!
სუსხმა ჰკრა ჯიონსონს!
მას ურჩი არ მოსწონს!

მორჩილების მინისტრის
ვინ სჯის ენით გვირისტს?
მას სხვა შვენის გეზი:
ჩექმა და ზედ დეზი,
ინგლისური ბოქსი:
„თოქში წინ, ან ჩოქში..."
და თუ ეს არ გავა,
მაგალითად, ჩავა
თუ არ უწყობს ხელებს,
სდგას ის დაახველებს,
თუნდაც ტრიბუნაზე,
ხტება ჭიპუნაზე,
თავს გრძნობს უხერხულად,
თანაც ჯიუტობს ბრძნულად,
დაბნეულის წესით,
გულში, ძმრით და გესლით....
და ჰგავს მაშინ ხიქსი
გაქირ ცხოველს ჩიხში!
მეც, გარწმუნებთ ფიცით,
ეს უფრო მგვრის სიცილს,
ვიდრე პალატაში
მას დაუკრეს ტაში..

ღნისიძე.

# ზაჰესის მუშაობის ერთი წლის თავი

## ზაჰესმა გამოცდა ბრწყინვალედ დაიჭირა

ზაჰესის ფაქტიურ ექსპლოატაციის ერთი წლის თავის შესრულების გამო, ს. მ. უ. ს. თავმჯდომარემ და ზაჰესის საამშენებლო სამუშაოთა ყოფილმა ხელმძღვანელმა ინჟ. ბ. ჟიჟინაძემ ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— 26 აპრილს, შესრულდება სწორედ ერთი წელიწადი, რაც ზაჰესმა დაიწყო ფაქტიურად მუშაობა და თბილისს მიაწოდა პირველი სინათლე. ზაჰესის მუშაობის ეს პირველი წელი უნდა ჩაითვალოს, როგორც სადგურის, ისე მის ამშენებელთა გამოცდის წლად, რომელმაც ჩვენ დაგვარწმუნა, რომ ზაჰესი, როგორც ჰიდრო-ელსადგური და რთული ტეხნიკური ნაგებობა თავის სიმაღლეზე სდგას, და იგი ყოველ მხრივ გამართლებულია ტეხნიკური თვალსაზრისით: მოსალოდნელი იყო, რომ წრევანდელი უჩვეულო ზამთარი და უკანასკნელი დიდი წყალდიდობა საგრძნობ ზიანს მიაყენებ და ზაჰესის ნაგებობას, მაგრამ სინამდვილეში ზაჰესის არც ერთ ნაგებობას არავითარი ზიანი არ უგრძვნია და შესანიშნავად აიტანა ეს გამოცდა. ბუნების მოვლენათა ასეთი სასტიკი გამოცდის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ სადგურის მუშაობას მომავალში არავითარი შეფერხება არ მოელის.

უნდა აღინიშნოს, რომ განვლილი ერთი წლის განმავლობაში ნორმალურ დონეზე არ იყო დაყენებული ჰიდრო-ელსადგურის დატვირთვის საქმე. პირველ ხანებში ზაჰესი დატვირთული იყო მხოლოდ ქალაქის განათებით და კერძო აბონენტებით (ბინების განათება), მიუხედავად იმისა, რომ თავიდანვე გადაწყვეტილი იყო ზაჰესზე გადაგვეყვანა თბილისის ყველა წარმოება-დაწესებულებები,— ეს არ მოხერხდა აღნიშნულ წარმოება—დაწესებულებებისაგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, ექსპლოატაციის წლის პირველ ნახევარში. საქმე იმაშია, რომ საბჭოთა კავშირის ქარხნებმა დროზე ვერ შეასრულეს წინასწარი დაკვეთები, წარმოებების ზაჰესის ენერგიაზე გადასაყვან მოტორების დამზადება. ამით იყო გამოწვეული ელექტრო-ენერგიის მიმღებ მოტორების დადგმის დაგვიანება, ხოლო ამან კი თავის მხრივ, დააგვიანა სადგურის დატვირთვა. წარმოებების გადაყვანა ზაჰესის ენერგიაზე ფაქტიურად იწყება მხოლოდ ამა წლის მარტიდან. შეიძლება ითქვას, რომ ჯერ-ჯერობით ზაჰესის ენერგიაზე სავსებით გადაყვანილია თამბაქოს ქარხნები, პოლიგრაფიული ტრესტის წარმოებათა უმრავლესობა, ლითონტრესტის წარმოებები ნაწილობრივ, ტრამვაი, და თბილისის რკ. გზის სახელოსნოების ერთი ნაწილი. ახლო ხანში დასრულდება 26 კომუნართა სახელობის ქარხნის გადაყვანა ზაჰესის ენერგიაზე და კიდევ რკინის გზის სახელოსნოების დარჩენილი ცეხების გადაყვანა.

სადგურის დატვირთვის მხრივ ჩვენ ასეთი სურათი გვაქვს: ა.-წ. თებერვლიდან სადგურის ყოველდღიური დატვირთვა უდრის 2 მილიონ კილოუატ საათს. საღამოს დატვირთვის მაქსიმუმი აღწევს 6.000 კილოუატს. ეს რიცხვი სხვათა შორის, აღემატება ზაჰესის საამშენებლო გეგმით გათვალისწინებულ დატვირთვის საშუალო რაოდენობას.

როგორც ცნობილია, დიდუბე, უახლოეს წლების განმავლობაში გადაქცეული იქნება მრეწველობის მსხვილ ცენტრად; დიდუბეში ამჟამად სწარმოებს მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნების აგება. 1930 წლისათვის დიდუბეში მუშაობას დაიწყებს ახალი მაუდის ფაბრიკა, რომელიც მოითხოვს იმდენ ენერგიას, რომ ზაჰესის ოთხივე ტურბინა მაქსიმუმამდე იქნება დატვირთული. ეს მოვლენა საქართველოს ს. მ. უ. ს. და სხვა ცენტრალურ ორგანოების წინაშე აყენებს საკითხს ზაჰესთან ერთად მეორე ჰიდრო-ელსადგურის ამუშავების შესახებ. ასეთ ჰიდრო-ელსადგურად ნაგულისხმევი არის რიონის ჰიდრო-ელსადგური, რომელიც საბოლოოდ შეუერთდება ზაჰესის ხაზს, 1931 წელს.

ამჟამად ზაჰესის საშუალო დღიური დატვირთვა უდრის 70.000 კილოუატ საათს, რაც უნდა ჩაითვალოს გასული საექსპლოატაციო წლის დიდ მიღწევად.

## მოსალოდნელია თუ არა ზაჰესის მუშაობის შეფერხება

ზაჰესის საექსპლოატაციო სამმართველოს უფროსმა ინჟ. კაპელერმა ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე—მოსალოდნელია თუ არა ზაჰესის მუშაობის შეფერხება რაიმე გაუთვალისწინებელი მოვლენების გამო,—განაცხადა:

— ტეხნიკურ ლიტერატურაში ხშირია შემთხვევები, როდესაც აღნიშნავენ ამა თუ იმ ჰიდრო-ელსადგურზე მომხდარ კატასტროფებს და სადგურების მუშაობის შეფერხებას. ამას წინედ, მაგალითად, ერთ-ერთი ამერიკული ჟურნალის ცნობით, ამერიკაში რამოდენიმე წლის წინედ აგებულ ჰიდრო-ელსადგურთან ადიდებულმა მდინარემ სრულიად მოგლიჯა და წაიღო სადგურის მთავარი კაშხალი. ჩვენ აშკარად უნდა განვაცხადოთ, რომ განვლილი დროის განმავლობაში მოველოდით სადგურის მუშაობის მეტ შეფერხებას, რადგანაც ეს სრულიად შესაძლებელია, როგორც ტეხნიკური, ისე სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენების გამო, მაგრამ ჩვენმა სადგურმა შესანიშნავად აიტანა ყოველგვარი ბუნებრივი მოვლენები და მუშაობის შეფერხებასაც იშვიათად ჰქონდა ადგილი.

ზამთრის განმავლობაში იყო შემთხვევა, როცა შეფერხდა ზაჰესის მუშაობა, რაც გამოიწვია დიდმა ყინვებმა, მაგრამ ეს მოვლენა სადგურის სამმართველოს მიერ წინასწარვე იყო გათვალისწინებული და მისი ლიკვიდაცია შესაძლებელი გახდა რამოდენიმე დღის განმავლობაში. ამჟამად კი ჩვენ მიღებული გვაქვს ზომები, რომ მომავალი ზამთრისათვის მოვიმარაგოთ ყოველგვარი საჭირო მოწყობილობა ყინვებთან საბრძოლველად. ამ მიზნით შეკითხვა გაეგზავნა ევროპის და საბჭოთა კავშირის ყველა ცნობილ ქარხნებს, რომ მათ წარმოგვიდგინონ იმ მოწყობილობათა დახასიათება, რომელთა გამოყენებაც შეიძლება ყინვებთან საბრძოლველად. აღნიშნული მოწყობილობის ხანგრძლივი გამოცდის შემდეგ ზაჰესის სამმართველოს გადაწყვეტილი აქვს მათი შეძენა, რითაც ზამთრის პერიოდში ზაჰესის შეუწყვეტელი მუშაობა უზრუნველყოფილი იქნება.

მიუხედავად დიდი წყალდიდობისა, ყინვებისა და დიდი თოვლისა, ზაჰესის არც ერთი ნაგებობა არ დაზიანებულა, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ზაჰესის ყველა ნაგებობები მკვიდრად და მტკიცედაა შესრულებული.

# მეაბრეშუმეობის სეზონისათვის

## აბრეშუმის ჭიის მოვლა

### (პრაქტიკული წინადადებანი)

„საქართველოს აბრეშუმს" გადაწყვეტილი აქვს დასავლეთ საქართველოს მაზრებში, სხვადასხვა ალაგას გახსნას საინკუბაციო პუნქტები.( ინკუბატორი არის ისეთი მოწყობილობა, რომლის საშუალებით ერთბაშად და თანაბრად შეიძლება აბრეშუმის ჭიების გამოყვანა რამოდენიმე კოლოფი თესლისა). დანიშნულ პუნქტებიდან გლეხებს მიეცემათ თანაბრად გამოყვანილი ჭიები, რაც დიდ დახმარებას აღმოუჩენს მეაბრეშუმე გლეხობას. ამისთანა თანაბრად გამოყვანილი ჭიებიდან მეაბრეშუმეები მიიღებენ მეტი პარკის მოსავალს.

დასავლეთ საქართველოში მეაბრეშუმეობა თუმცაღა საერთოდ კარგათაა დაყენებული, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევებში მრავალი ნაკლი ახლავს თან, ჭიების გამოყვანაში, კვებაში, შესაფერი საჭიე სახლის უქონლობაში და სხვა. ჭიების გამოყვანის დროს ზოგიერთი მეაბრეშუმეები აბრეშუმის თესლს უდებენ კვერცხებთან კრუხს, ზოგი კი ეზოში მზეზე სარს ასობს, რომ ჩქარა გამოვიდეს. ეს ყოვლად დაუშვებელია. რაც შეეხება კვებას, პირველად გამოსული ჭიები მეორე ასაკშივეც უნდა იკვებებოდეს ახალი ნორჩი ფოთოლით, რომელიც უნდა იყოს თხელი დანით დაჭრილი და არა მაკრატლით, იმიტომ რომ მაკრატლით დაჭრილი ფურცლიდან მეტი წვენი გამოჟონავს, ვიდრე დანით დაჭრილიდან. სასურველია ფოთოლის წვენი ცოტათი მაინც გამოშრეს. ჭიებს ჩაფარა-ლასტებზე უნდა დაეფინოს ქვეშ ქაღალდი და არ უნდა შეიგლისოს ძროხის ფუნით. ჭიები უნდა იკვებებოდეს დღეში 4-6-ჯერ. ფურცელი უნდა დაუეყაროს ცოტ-ცოტა და არა ერთბაშათ ბევრი, როგორც ხშირად იციან მეაბრეშუმეებმა. განსაკუთრებით დიდ კანს რომ იცვლიან ჭიები, მაშინ უნდა ძალიან ფრთხილად მოვლა. დიდი კანის ცვლის შემდეგ ჭიები ისეთი სათუთებია, როგორც თესლიდან ახალ გამოსულები. ფოთოლი ჭიებს ისე ფრთხილად და თხლად უნდა დაეყაროს, რომ ჭიები ყველგან კარგათ მოსჩანდეს; ისე სქლად არ უნდა დაეყაროს, რომ 5-10 წუთს უნდებოდნენ ჭიები ზევით ამოღოღვას. ჩვენში მეაბრეშუმეები ორჯერ კვებავენ დღში ჭიებს—დილა-საღამოს; სქლად უყრიან ფურცელს, ფიქრობენ—პარკებს მალე გააკეთებენო. ეს ფურცელი კი 6-7-ჯერ ყოფნის საკვებად. ერთბაშათ და სქლად დაყრილი ფურცელი ჭიისთვის დამღუპველია, ის ძალზე მიაძღება, გაიბერავს მუცელს, ხოლო მისი კუჭი ვერ მოინელებს ნორმაზე მეტ ფოთოლს, ზომაზე დიდი გაიზრდება, ბოლოდან წყალი მოდის და იქიდან დაჭრილი ნაწილები შესამჩნევი ხდება უიარაღო თვალისთვისაც. ცოტ-ცოტათი და დღეში 4-6 ჯერ ზომიერათ ნაჭამი ჭიები უსათუოდ 35-37 დღეში პარკებს გაიკეთებენ. სქლად და ერთბაშად დაყრილი ფურცლით ნაჭამი ჭიები 35-37 დღის ნაცვლად ცოცხლობენ 50-60 დღესაც. ნორმაზე, ე. ი. 35-37 დღეზე გადაჭარბებული სიცოცხლე ჭიებს გაუჩენს სხვადასხვა დამღუპველ სენს. თხლად და ზომიერად კვება ჭიებისა მეტია სასარგებლო, რომ ჭიები იოლად მოინელებენ საჭმელს და გადაქარშავენ აბრეშუმად. დიდი კანის ცვლის შემდეგ სასურველია, რომ თუთის ფოთოლი პატარა შტოებიანად დაეყაროს ჩაფარე-ლასტებზე ჭიებს თავისუფალ ჰაერისათვის. ჭიები თავიდან ბოლომდე რაც შეიძლება მუდამ უნდა გვყავდეს თხლად ჩაფარა-ლასტებზე და ბუდნა-ნამჯა გამოეცვალოს დარიგებისამებრ.

ფურცლის მოკრეფა უნდა ხდებოდეს დილისით და არა ღამით, იმიტომ რომ მზის სხივებისა ეშინიათ უბრალო თვალით უხილავ მიკრობებს; ეს მიკრობები ფოთოლს გაჰყვებიან თან საჭიე სახლში, რაც გაუჩენს ჭიებს ავათმყოფობას. არაა სასურველი დაძველებული, ფუღუროიანი და სქელი ხავს მოკიდებული თუთის ფურცლით კვება ჭიებისა. ნაწვიმარი და ნამიანი, მით უმეტეს სოველი ფოთოლი არ აჭამოთ ჭიებს, აცალეთ გაშრობა. ჭიები უჭმელად ორი დღე და ღამე უვნებლად იცოცხლებენ. მოკრეფილი ფურცელი პირდაპირ მიწაზე არ უნდა დაყაროთ,—სჯობია ჩაფარა-ლასტებზე დაიყაროს. ნესტიან დღეებში ახალი მოკრეფილი ფურცელი უცბად არ დაუყაროთ, აცალეთ ცოტა გაშრეს. სიცხიან დღეებში შეიძლება ახალი მოკრეფილი ფოთოლი აჭამოთ. შარა გზის ახლო მდებარე თუთის ფურცელი არაა კარგი, მიტომ რომ მასზე მტვერი იქნება მოყრილი და ჭიებს დაღუპავს.

დასავლეთ საქართველოში, (განსაკუთრებით სამეგრელოში) ღუპავს ჭიებს ცხელი ზენა ქარი, როდესაც დაიჭერს მაღალ 20-27 გრადუსის სიცხეს, სწორედ მაშინ ჩვენი ზოგიერთი მეაბრეშუმე მიკეტავს საჭიე სახლის კარებს: „დღეს სიცხეა, კარი არ გაიღება"-ო და წავა სხვაგან, შინ კი ჭიები ეხრაკება სიცხით. სიცხის დროს უნდა მოიქცეს მეაბრეშუმე ასე: წყალი მიწაზე—იატაკზე არ დაასხათ, არამედ ჩაასხით ყოველნაირ ჭურჭლებში (ქვაბი, ტაშტი, გობი, დოქი, ლიტრა და სხვა), რომლებიც უნდა დაიდგას საჭიე სახლში, კარები დაკეტილი უნდა იყოს მუდამ შებინდებამდე. ჭიებს სანთელის საშუალებით მუდამ ცოტ-ცოტა მიეცეს ფოთოლი დღეში 8-10-ჯერ, რომ შეუგრილდეს კანი და კუჭი. (ამისთანა დღეები გამოერევა სეზონში 1—4). თუ ამანაც არ უშველა და სიცხემ არ დაიწია, მაშინ უნდა ეცადოს მეაბრეშუმე საჭიე სახლში შეიტანოს ბევრი ყოველნაირი ხის ფურცლები ტოტებიანად და აგრეთვე ნედლი გვიმბრაც. ჭიებისთვის 18-20 გრადუსზე მეტი სიცხე მავნებელია. ნამჯას-ბუდნას გამოცვლა ზოგიერთ ოჯახებში არა სასურველად ხდება. ბუდნას გამოუცვლიან, ჭიებს გადაიყვანენ, დაუყრიან ფურცელს და მაშინათვე, ჭამის გათავებამდე ცოცხით გამოჰგვიან მოურიდებლად. ბუდნარის ასეთი მტვერით და მყრალი სუნით გაუღენთავენ სახლს, რომ კაცი ვეღარ გაჩერდება შიგ; ასეთი მოქცევა ყოვლად დაუშვებელია. გამოცვლის დროს ნამჯა-ბუდნაზე ფეხის დადგმას უნდა გაუფრთხილდეთ, რომ მტვერი არ დადგეს. როდესაც ჭიები ყველგან ფოთოლს შესჭამენ და ფოთოლის მოძებნა ჩაფარა-ლასტებზე შეუძლებელია, აი სწორედ მაშინ შეიძლება გატანილ იქნეს, ისიც ძალიან ფრთხილად. მერე შეიძლება ხელმეორედ ფურცელი დაუყაროთ, სწორედ მაშინ, როდესაც მტვერი შიგნით საჭიეში დადგება და ყნოსვით ვერ შეამჩნევ ვერავითარ ბუდნა-ნამჯის სუნს. ბუდნის გამოტანის და აგრეთვე დაგვის დროს არასოდეს წყალი არ უნდა მოასხათ იატაკ-მიწაზე, რომ მიკრობები, როდესაც მტვერი ადგება. არ აჰყვეს ზევით, არ დაცვივდეს ჭიების საჭმელ ფოთოლზე და არ ავნოს მათ.

ძველი, ნახმარი ჩაფარა-ლასტი მეორე წელს არ ვარგა. მასში ბევრი მიკრობები ბინადრობს. შეიძლება ჩაფარა-ჩელტის დეზინფექცია-გაწმენდა, მაგრამ ეს ძნელი საქმეა. უნდა გვქონდეს ისეთი ოთახი, საიდანაც გარედ ჰაერი არ გამოვა, მაშინ მართლაც შეიძლება მათი დაწმენდა მიკრობებისაგან. უნდა შეაწყოთ ჩაფარა-ჩელტი უკლისად, შუა ოთახში დააწყვეთ 4 აგური, დადგით ზედ თიხის პირფართო ჭურჭლით 3 გირვანქა დაფხვნილი გოგირდი, დაკეტეთ კარ-ფანჯარა, ბუხარი გატენეთ ჩვარით, რომ ჰაერი არ გამოვიდეს, წაუკიდეთ ცეცხლი გოგირდს, გამოიკეტეთ კარი და გამოდით გარედ, ასე იქონიეთ ერთი დღე და ღამე. (კაცი ამ ასახლში არ უნდა დაწვეს ან შევიდეს, თორემ გამოიგუდება). ერთი დღე-ღამის შემდეგ კარები გააღეთ და ჰაერი გამოასუფთავეთ. მაგრამ ასეთი გაწმენდის მოხდენა ძალიან საფრთხილო და რთული საქმეა.

ხშირად მინახავს, რომ ყანებში სახნავ მიწაზე ეყარა საჩაფარე სიმინდის ღეროები, მოსულა მეყანე, მიწა მოუხნავს, ღეროები აუღია, გადუყრია მოხნილ მიწაზე, ამდენი თრევით საჩაფარე ღეროების ორივე გვერდები გაშავებულა. ეს ყოვლად დაუშვებელია. საჩაფარე ღეროები მოჭრისთანავე უნდა წაიღო სახლში, შეინახო ზევით ნალიაში ან ცარიელ სასიმდე-მალაზაში, სადაც წვიმა არ მოხვდება.

რაც შეეხება ჩაფარეს შელობვას, ზოგან კარგათ არ აკეთებენ, დააწყობენ და მარტო ექვს ალაგზე ბუდის კანით შეკრავენ. ასე შელობილი ჩაფარა არ ვარგა. მარტო ექვს ალაგზე შეკრულ ჩაფარას ღეროები არ ექნება მაგარი. როდესაც ჩაფარეს ექნება სიგრძე-სიგანე ერთი არშინი და მეტიც და აივსება დიდ კანცვლილი ჭიებით, საკვებს ფოთლებიანად, ეს ერთობ მძიმე იქნება, ხელზე აღების დროს ჩაფარა აქეთ-იქეთ ქანაობს, ხშირად სიმძიმის გამო ირღვევა, ჭიები ფოთლებიანად მიწაზე ცვივდება, რასაც დიდი ზარალი მოსდევს. მეაბრეშუმე ვერც კი შეამჩნევს, რომ რამოდენიმე ჭიას ერთი ან ორი ფეხი აქვს დაზიანებული, იქიდან სითხე-წყალი დაიწყებს გამოჟონვას; ასეთი ჭიები გაიხრწნება, დაესევა მიკრობები, გადაედება საჭმელ ფურცელს, ჭიები დაიღუპებიან. ჩაფარე ყოველ ორ-ორი ღეროების დადებაზე უნდა შეილობოს. ამნაირად დამზადებული ჩაფარა სამედოა, ხელიდან რომ გაგვივარდეს, მაინც ჭიები დარჩებიან უვნებელი. ზოგიერთი მეაბრეშუმე ჩელტებს წკნელით ლობავს. ეს ზედმეტი შრომაა და ზარალი. თუ გაქვს 2-3 ცარიელი ზედმეტი ჩაფარა-ლასტები, შეგიძლიათ ჩელტის ნაცვლად იხმაროთ: გადმოიყვანეთ ახალ ჩაფარებზე ფრთხილად ჭიები, პირველი ჩაფარა ბუდნიანად გაიტანეთ გარედ მზეზე, ბუდნა-ნამჯა შორს გადაყარეთ, რომ ჭიებს არ მოხვდეს იმის მტვერი და სუნი, ჩაფარა კარგათ დაბერტყეთ—მზეზე გააშრეთ, გადააბრუნ-გადმოაბრუნეთ, მერე ჩრდილში ცოტა ხანს გააჩერეთ, რომ ცხელზე არ დაყაროთ ჭიები, და ამნაირად მოიხმარეთ ყველა ჩაფარები. მხოლოდ ჩაფარა-ლასტი უნდა გადმოაბრუნოთ მეორე გვერდზე, ერთი მეორეზე მწყობრად უნდა მიაწყოთ ჩელტის მსგავსად. ჩაფარა-ლასტების შელობვის შემდეგ, ღეროების წანაჭერთ წვერები მოაგროვეთ, წაუკიდეთ ცეცხლი და მის ალზე, ფრთხილად, რომ არ მოეკიდოს, ყველა დამზადებული, შელობილი, ჩაფარა-ლასტები, მიაბრუნ-მოაბრუნეთ მიკრობებისაგან და სხვა მავნებლებისაგან გასაწმენდად.

საჭიე სახლი უნდა იყოს სქელ ფიცრიანი, ჭუჭრუტანები არ უნდა ჰქონდეს. დილა-საღამოს ჰაერი უნდა გაიწმინდოს. სახლში თუ არის მოპირდაპირე კარები, ერთ და იმავე დროს არ უნდა იყოს გაღებული, შეგიძლიათ ხან ერთი გააღოთ, ხან მეორე ისლით გადახურული სახლი სჯობია კრამიტით და ყავრით გადახურულ სახლს ჩვენში სამზარეულოში სჯობია ჭიების გამოკვება, ვიდრე იატაკიან ოდაში.

პარკების მოსაყვანად დასავლეთ საქართველოში უმჯობესია გაკეთდეს ძველებური ფაცხა, რომელიც უნდა შეილობოს უბრალო ლობის წნელით, სიმაღლე უნდა ქონდეს სამი არშინი, განი ექვსი ან შვიდი არშინი, სიგრძე კი ცხრა არშინი; გაგლისეთ ფაცხის ოთხივე კედელი შიგნით და გარეთ ბალახნარევი შეზელილი მიწით, გაუკეთეთ კედლებზე ორ-ორი პატარა ფანჯრები, კარი ერთი უნდა გაუკეთოთ და არა ორი; ერთ კუთხეში აგურით, თუ გეშოვებათ, თუ არა და უბრალო მიწით ან სიპი ქვით გაუკეთეთ პატარა ბუხარი. სიცივის დროს ამ ბუხარში შეაგდებთ უბრალო ხის ჯირკს, შეშას და პატარა ცეცხლს აანთებთ. ცეცხლი შეიძლება სრულიადაც არ დაგჭირდეთ, მიტომ რომ ჩვენში სიცხე ღუპავს ჭიებს და არა სიცივე. ზევით სახურავი სჯობია გვიმრის,—სქლად უნდა დაიხუროს. ამისთანა ფაცხას ერთი ღერი ლურსმანიც არ დასჭირდება, ჭიების შესანახად და გამოსაკვებად კი საუკეთესოა და არც სიცივე ავნებს ჭიებს და არც სიცხე. ეს ფაცხა, საჭიე სახლი, ზამთრობით გამოგადგებათ ჩალის და შეშის შესანახად, რაც საჭიროებას მოითხოვს ყოველ მეურნეს ოჯახში.

მეაბრეშუმეებს ჭიებს უღუპავს ჭიანჭველები. ამის საწინააღმდეგო საშუალება წამალი არის, რაც არ აღემატება ორი შაურის საფასურს. იყიდეთ აფთიაქში ეგრედწოდებული ბურა-ბაურიკი, დანაყეთ ქვაზე ქვით—მაგარი დასანაყავია, უნდა დაინაყოს როგორც უმარილი, მას უნდა გაურიოთ იმავე წონის ცალკე დანაყული საჭმელი—შაქარი, უნდა დაუყაროთ ცოტა-ცოტა, სადაც ჭიანჭველები ხშირად მიდი-მოდიან, ჭიანჭველები დაესევა შაქარს და ყველა მოისპობა.

ზოგმა მეაბრეშუმემ უდროოდ იცის ცახიდან პარკების მოკრეფა—მესამე-მეოთხე დღეზე ცახზე ასვლიდან, რაც არ ვარგა; პარკს ფერი არ ექნება, ის არც მაგარი იქნება. ფარდულში რბილი და უფერო პარკები მიიღება მეორე ხარისხად. პარკები უნდა მოიკრიფოს ცახიდან მე-9—10 დღიდან ცახზე ასვლისა.

არის შემთხვევები, როცა სხვადასხვა მიზეზებისა და კარგად მოუვლელობის გამო ჭიების ნაწილი იხოცება ჩაფარა-ჩელტებზე. ამისთანა შემთხვევებში ზოგიერთი მეაბრეშუმე—საქმეს სულ ანებებს თავს და ყველას ერთად გადაყრის ღელე-ხრამში. ასე არ უნდა მოიქცეს მეაბრეშუმე; დახოცილ, ან ავადმყოფ ჭიებს როცა დაინახავს, ისინი მაშინათვე უნდა ააცილოს ჯანსაღებს; სრულიად შეაჩერე კვება ერთი დღე და ღამეში, უცქირე მალ-მალ, დახოცილი და ავადმყოფი ჭიები მოაშორე. ერთი დღე ღამის შემდეგ, რაც გადარჩება ჯანსაღები, ყველა კარგებია და მოუარე. შეიძლება მცირე ოდენი გოგირდის ფხვნილი საჭიე სახლში ავათმყოფ ჭიებთან გააბოლოთ.

მეთესლე მათე ხუბულავა.

# საბჭოთა საქართველო

## დეპეშები

### ებრაელების მიწათმოქმედება

**ახალციხე**, 24 აპრილი. ახალციხეში მშრომელ ებრაელებისაგან შესდგა მიწის დამმუშავებელი შრომის არტელი. არტელს ქალაქს მახლობლად მიეცა 50 დესეტინა სახნავი მიწა. საკრედიტო ამხანაგობისაგან არტელი მიიღებს სესხად 4.000 მანეთს და სასოფლო-სამეურნეო იარაღებს. მიწის დამუშავებას ხელმძღვანელობს სამაზრო აგრონომი. (ადს).

### მერძეობის კურსები

**ცხინვალი**, 24 აპრილი. დაიხურა სამხრეთ-ოსეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ მოწყობილი მერძეობის კურსები. კურსები დაამთავრა 20 კაცმა, რომლებმაც შეისწავლეს ყველის დამზადების საქმე. ამ სეზონში სამხრეთ-ოსეთში გაიხსნება მერძევეთა სამი ახალი არტელი. (ადს).

## წერილები

### მოესპოთ მავნე ზნე-ჩვეულება

(ცაიში, ზუგდიდის მაზრა)

სოფლად ჯერ კიდევ აქვს ადგილი ზოგიერთი უარყოფით მოვლენებს. ამათში პირველ ადგილს იჭერს ქელეხი, რაც ეკონომიურად ანადგურებს გლეხის ოჯახს. გარდაიცვლება თუ არა ვინმე სოფლად, იმ დღიდანვე მოიყრიან თავს მის ირგვლივ ახლო მეზობლებ-ნაცნობები. ღამით იმართება სხვადასხვა სახის გასართობები, როგორიცაა „ყარყუმობაი" და სხვა. ვილას ახსოვს მიცვალებული, ჭირისუფლის მწუხარება. ეს ტირილს კი არა, საზეიმო დღესასწაულს მოგაგონებთ. ამით აიხსნება ახალგაზრდა ქალ-ვაჟის ენერგიული მზადება მიცვალებულის ოჯახში ღამის სათევად. ასეთი მდგომარეობა გასტანს რამოდენიმე დღეს.. ამ ხნის განმავლობაში ხდება „მობილიზაცია" კაცის, ქალის, ნივთების, კარდლების, ღვინის მომარაგება და სხვ. დადგება გამოთხოვების დრო. მოდის მოტირალები სანთლებით. იქვე იმართება სადილი. ერთი სტოლის მეორე სადღეგრძელოს სვამს.

იყო შემთხვევა, სატირალიდან დაბრუნებულმა მთვრალმა მოქალაქემ ჯუმის მდინარეში შეცურდა ცხენით და დაიღრჩვა.

ეს მავნე ადათ-ჩვეულება იძულებით თავზე ეხვევა ღარიბ-ღატაკს, ქვრივ-ობლებს. ისინი ჰყიდიან უკანასკნელ მარჩენალ ძროხას, მოუცილებელ ნივთს, რომ „მოვალეობა" მოიხადონ.

ასეთი სურათი ჯერ კიდევ მრავალ თემებში აიის გავრცელებული. საჭიროა მოწინავე გლეხობამ, თემის ორგანიზაციებმა და ინტელიგენციამ ებრძოლონ ასეთ მავნე ჩვეულებას, აუხსნას, განუმარტონ უვიც გლეხობას ქელეხის დამღუპველობა და ამის ნაცვლად რაიმე საზოგადო დაწესებულებას შესწირონ დანახარჯი თანხის ნაწილი, რითაც გაცილებით მეტ სარგებლობას მივიღებთ.

გურიის გლეხობამ დიდი ხანია მოსპო სანთლით და ქელეხით ტირილი. საჭიროა მივბაძოთ გურიის მაგალითს.

უცნობი.

### საჭიროა ხელმძღვანელობა და თაოსნობა

აბაშის რაიონი, სენაკის მაზრა

საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები სოფლად დღეს გაცხოველებულ აღმშენებლობითი მუშაობას აწარმოებენ. გაუმჯობესება ხდება როგორც სასოფლო მეურნეობის განვითარების საქმეში, ისე კულტურულ დარგშიაც. მაგრამ ამ მუშაობას არ ექნება მკვიდრი ნიადაგი, თუ არ შევეცადეთ სამიმოსვლო გზების გაუმჯობესების საქმეს. ამ წერილში ჩვენ გვსურს შევეხოთ ერთ სათემო და საზოგადო მნიშვნელობის გზის შეკეთება-გაფართოების აუცილებლობას. დაბა აბაშიდან გაყვანილია გზა ბანძაში, ლეხაინდრაოში, მარტვილში და აბაშის ელსადგურამდე ორი მიმართულებით, ერთი სოფელ ონტოფოთ, მეორე სოფ. კადარით. კადარის გზა სჭრის დაახლოებით სამ-ოთხ კილომეტრ მანძილს. ეს გზა აერთიანებს რამოდენიმე თემს და სოფელს. ამ გზით მიმოსვლა შესაძლოა მხოლოდ მშრალ დღეებში, ხოლო ავდრობის დროს მასზე გავლა შეუძლებელია.

ჯერ კიდევ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე იყო ლაპარაკი ამ გზის გაფართოებაზე, მაგრამ საქმის დაწყებას არაფერი ეშველა. ამ რამოდენიმე წლის წინედ გამოყოფილ იქნა საგზაო კომისია, შეადგინეს სათანადო გეგმაც, მაგრამ მუშაობის დაწყებას ვერ ეღირსეთ.

საჭიროა გზის გაფართოება უღელტეხილის პირდაპირ დაახლოებით ხუთი-ექვსი კილომეტრის მანძილზე. გლეხობა არავითარ შრომას არ დაზოგავს ამ დიდი მნიშვნელობის და მისთვის აუცილებელ საქმისათვის, მხოლოდ საჭიროა ხელმძღვანელობა და ინიციატივა სამაზრო და სათემო ხელისუფლების ორგანოების მიერ. გლეხობა მოუთმენლად მოელის მუშაობის დაწყებას და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს სურვილი არ დარჩება უყურადღებოდ.

კენჭი.

### მაინც მოახერხა დარჩენა

აფენის თემი, სიღნაღის მაზრა

ამ თემში არის საბჭოთა აფთიაქი, რომელიც ემსახურება აფენის და ლელიანის თემებს. აფთიაქის გამგეთ ითვლება ყოფილი მეპატრონე ბოკერია. ის ხშირად კეტავს აფთიაქს რამოდენიმე დღით და ზოგჯერ მთელი თვითაც და მიდის თბილისში და სხვაგან თავის პირად საქმეებზე. აფთიაქში ზოგჯერ წამლებს ამზადებს ბოკერიას ცოლი. გლეხები ჩივიან წამლების უვარგისობასა და სიძვირეზე, მიმართავენ ექიმს წამლის შესამოწმებლად.

ამის გამო ორივე თემის გაერთიანებულმა საბჭოს კრებამ რამოდენიმეჯერ დაადგინა მისი მოხსნა, რაიც სისრულეში იქნა მოყვანილი, მაგრამ არ გასულა ერთი თვე, რომ ბოკერია კვლავ დაბრუნდა თავის ადგილზე.

ჩვენ არ ვიცით ეს როგორ მოხდა, მხოლოდ ის კი ცხადია, რომ ბოკერიას აგენტები სოფელ-სოფელ დადიოდენ, შეცდომაში შეჰყავდათ ზოგიერთი გლეხები და ხელს აწერინებდენ ოქმზე ბოკერიას დაბრუნების შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოკერიამ გადაბარებული აფთიაქი ღამით გასტეხა იმ მოტივით, რომ მას ბავში ჰყავდა ავად, როგორც ეს თითონ განაცხადა.

ბოკერიას თავის ადგილზე დაბრუნების შემდეგაც კიდევ ალიძრა საჩივრები მის წინააღმდეგ. რამოდენიმე ხნის წინად მაზრიდან ჩამოვიდა წარმომადგენელი და საბჭოს სხდომაზე დასვეს საკითხი ბოკერიას დარჩენის შესახებ. მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოს ერთ-ერთი წევრი დაჟინებით მოითხოვდა ამ საკითხის ორივე თემის საბჭოს შეერთებულ კრებაზე გადატანას, მაინც მიიღეს საბჭოს დადგენილება ბოკერიას დარჩენის შესახებ სამაზრო წარმომადგენლის დაჟინებით მოთხოვნით, რომ საკითხი არ დასმულიყო ორივე თემის საბჭოს კრებაზე.

ამ დადგენილებით გლეხობა უკმაყოფილოა. ნუთუ მშრომელი მასების უკმაყოფილებას უფრო მეტი ანგარიში არ უნდა გაუწიონ მაზრას ხელისუფლების წარმომადგენლებმა?

მკალი.

### საშეფო მუშაობა

მთავარი ტელეგრაფის და ტელეფონის საშეფო საზოგადოების ბიურო აერთიანებს 300-მდე წევრს, თითქმის 80 პროც. მთელი მუშა-მოსამსახურეებისა. ბიუროს აღებული აქვს მფარველობა სოფელ ახალდაბაზე, (თბილისის მაზრა). ჩვენი საშეფო ორგანიზაცია ენერგიულ მუშაობას აწარმოებს სოფლის კულტურული დონის ასამაღლებლად. საინტერესოა იმის გაცნობა, თუ რა გაკეთდა თვით საშეფო სოფელში. მრავალ წვრილმანების გარდა საშეფო სოფელში გაიხსნა ძირითად მოწაფეთათვის სკოლა. წერა-კითხვის უცოდინართა და მცირე-მცოდნეთათვის სალიკვიდაციო პუნქტები, რამოდენიმე კილომეტრის მანძილიდან მილებით გამოყვანილ იქნა წყალი, საძირკველი ჩაყრილია ახალი სკოლის შენობის ასაგებად. გახსნილია კოოპერატიული პუნქტი, ჩატარებულ იქნა ყველა კამპანიები და დღესასწაულები—განსაკუთრებით გრანდიოზულად ჩატარდა ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავი. აგრეთვე დიდის ენერგიით ჩატარებულ იქნა საგლეხო სესხის კამპანია, სადაც არც ერთი გლეხი არ დარჩენილა, რომელსაც არ შეეძინოს ობლიგაცია. თანახმად საშეფო საზოგადოების თბილისის საბჭოს დადგენილებისა, როგორც ყველგან, ისე ახალ-დაბაშიც ერთ-ერთი ბიუროს წევრი მიმაგრებული იყო ერთი კვირით საგლეხო სესხის კამპანიის ჩასატარებლად.

აგრეთვე გაცხოველებული მუშაობაა ტელეგრაფ-ტელეფონის აქტივთა შორის, იდგმება საღამოები და წარმოდგენები საშეფო საზოგადოების სასარგებლოდ სოფლის კულტურულ დონის აწევის საქმისათვის დახმარების გასაწევად.

ნოე გამსახურდია.

# საწარმოო და ეკონომიურ თათბირების მუშაობა

## რა მატერიალური ნაყოფი გამოიღო თათბირების წინადადებების გატარებამ

გასული წლის დეკემბერში საქართველოს პროფსაბჭოს სატარიფო-საეკონომიო განყოფილებამ კავშირებს დაუგზავნა საქართველოს მუშათა-გლეხთა ინსპექციის ცირკულიარული წერილი საწარ. და ეკონ. თათბირების წინადადებათა გატარებით მიღებულ მატერიალურ მიღწევების აღნუსხვის ადმინისტრაციისათვის დავალების შესახებ.

ეს ცირკულიარი დღემდე არ არის გატარებული და სამეურნეო ორგანოები არავითარ აღრიცხვას არ აწარმოებენ, იმიტომ, რომ კავშირები არ მოითხოვენ ამის გატარებას.

ამის გამო პროფსაბჭოს სატარიფო-საეკონომიო განყოფილებამ წინადადება მისცა კავშირებს მოსთხოვონ ადმინისტრაციას აწარმოონ წინადადებათა განხორციელების ფულადი შედეგების აღნუსხვა.

აღნუსხული უნდა იქნეს ყველა ის წინადადებანი, რომელნიც გატარებული იყო მიმდინარე 1928 წ. პირველ იანვრიდან. აღნუსხვის დროს უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში წლიური ეკონომია, რომელსაც იძლევა საწარ. თათბირის წინადადება.

თუ რომელიმე სამეურნეო ორგანო უარს იტყვის ამ ცირკულიარის შესრულებაზე, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს.

# მუშათა ცხოვრება

### სადგურების მორიგეების დაუდევრობა

არა ერთი წერილი დაბეჭდილა გაზეთებში რკინის გზის სადგურების თანამშრომელთა გულგრილობის შესახებ, მაგრამ სადგურებზე დაუდევრობას ბოლო მაინც არ მოეღო. ადგილებზე, რაიმე შემთხვევის დროს სდგება ოქმი და ამით თავდება ყველაფერი. ხშირად გაზეთშიაც იბეჭდება პასუხი, რომ დამნაშავეს მიეცა გაფრთხილება. ასეთ წინადადებებს და გაფრთხილებებს მათი ყურები შეეჩვია და ამიტომ ადმინისტრაციის შენიშვნებს ისინი ყურადღებას არ აქცევენ.

სადგურის მოხელეების დაუდევრობით აუარებელი მარცხი მომხდარა. მოვიყვანთ რამოდენიმეს:

24 დეკემბერს, თბილისის სადგურიდან გადიოდა საგეზო მატარებელი № 336. წასვლის დროს გვერდიდან მოაგორებდნენ მუშა მატარებლის ვაგონებს. მემანქანე გაგნიძეს, რომ დროზედ არ შეემჩნია და თავის 75.000 ფუთიანი შემადგენლობა უკან არ დაეწია, მოხდებოდა დაჯახება და მატარებელი დაიმსხვრეოდა. 18 თებერვალს, სადგ. სადახლოში ორივე მხრიდან გამოვიდნენ მატარებლები № 522 და № 191. სადგურის მორიგეს ორივე მატარებელი მესამე ლიანდაგზედ მიეღო. მემანქანები დაუპირდაპირდნენ ერთმანეთს და რამდენიმე ნაბიჯზედ ძლივს შეაჩერეს მატარებლები. აქაც ორივე შემადგენლობას მოელოდა დამსხვრევა.

22 მარტს, სადგ. სადახლოში იდგა საგეზო მატარებელი № 154904 ამავე დროს დაკავებულ ლიანდაგზე ღებულობდნენ საგეზო მცირე მატარებელს № 195. მემანქ. კარგინს დროზედ რომ არ მიეღო სათანადო ზომები, ორივე შემადგენლობა სავსებით დაიმსხვრეოდა.

აი ასე, დაუდევრად და დაუფიქრებლად მუშაობენ ზოგიერთი სადგურის მორიგეები, რომლებიც აუარებელ ზარალს აყენებენ რკ. გზას სახელმწ. პოლიტ-სამმართველოს რკ.-გზის განყოფილებამ დროზე უნდა მოუღოს ბოლო ასეთ დაუდევრობას.

შავსოფელელი.

—:—

### ქარხკომის მუშაობა

(კოლოფების ქარხანა)

კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალი"-ს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე. რომელსაც დაესწრო 400-მდე მუშა, ქარხკომის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ქარხკომის თავმჯდომარე მუშა ქალი ამხ. კ. შლიფერი, რომელმაც გააცნო კრებას ქარხკომის მუშაობა. მომხსენებლის სიტყვით ქარხანაში ირიცხება 408 მუშა-მოსამსახურე; ამათში 286 კაცი მბეჭდავთა კავშირის წევრია, 23 სხვა კავშირის და არაკავშირის წევრი კი 99.

საანგარიშო პერიოდში ქარხკომს ჰქონია 12 სხდომა და 10 საერთო კრება, რომელზედაც ირჩეოდა საწარმოო და მუშების ყოფა-ცხოვრების საკითხები; გარდა ამისა ჩატარებული იქნა მუშკოოპის საანგარიშო მოხსენება, ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციის შესახებ მოხსენება. თამბაქოს ტრესტის მუშაობა, კოლხელშეკრულების ახალი პროექტის განხილვა, კავშირის წევრების მიღება და სხვა.

ქარხკომი აერთიანებს: კულტკომისიას, შრომის დაცვის, საწარმოო, კოოპერატიული, მუშათა საკონფლიქტო, სარევიზიო და საშეფო კომისიებს, რომლებშიც ჩაბმული არიან როგორც ქარხკომის წევრები, ისე სხვა მუშებიც.

საწარმოო კომისიამ ჩაატარა კონკურსი საუკეთესო მუშა-მწარმოებლებზე. გარდა ამისა მან განიხილა მუშა-გამომგონებლების პროექტი, რამაც ქარხანას დადებითი შედეგები უკვე მოუტანა.

შემდეგ კრებამ მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება. მოხსენებების და კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ, გაიმართა კამათი. მუშები, დადებითი მხარეების გარდა, აღნიშნავდნენ ნაკლსაც. განსაკუთრებით მუშები ეხებოდნენ იმას, რომ კოლხელშეკრულებას არ არიან მთლიანად გაცნობილი. მუშები აღნიშნავდნენ აგრეთვე მბეჭდავთა კავშირის სუსტ ხელმძღვანელობას ქარხკომისადმი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მბეჭდავთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის წარმომადგენელმა ამხ. ფანცულაიამ და მბეჭდავთა კავშირის ც. კ. წევრმა. უკანასკნელებმა აღნიშნეს სარევიზიო კომისიის სისუსტე.

კრებამ ქარხკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო, მხოლოდ სარევიზიო კომისიის მუშაობა ჩასთვალა სუსტად.

ვანო.

### საწარმოო თათბირი

(წერილი სამტრედიიდან)

სამტრედიის ძაფ-საღებ ქარხნის საწარმოო თათბირის მუშაობა უკანასკნელ ხანებში გამოცოცხლდა. თათბირს აუარებელი მუშები ესწრებიან და წარმოების გასაუმჯობესებელ წინადადებებსაც ხალისიანად აყენებენ. მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე საწარმოო თათბირს ჰქონდა ორი სხდომა, რომელზედაც გაირჩა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები.

უკანასკნელად საწარმოო თათბირის სხდომა შესდგა 29 მარტს. ამ სხდომამ განიხილა ნაწარმოების თვითღირებულებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების საკითხები. თათბირს დაესწრო 150 მუშა. ყველა მათგანი მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა საკითხების განხილვაში და შეჰქონდა ახალი წინადადებები ნაწარმოების ხარისხის ასაწევად და თვითღირებულების დასაკლებად. საერთოდ თათბირზე დამსწრე მუშები დაინტერესებული არიან წარმოების გაჯანსაღებაში და ხელს უწყობენ თათბირის წესიერ და ნაყოფიერ მუშაობას.

ადმინისტრაციაც ყოველთვის ენერგიულ მონაწილეობას ღებულობს საწარმოო თათბირში, და ყოველგვარ საშუალებას ხმარობს თათბირის მიერ წამოყენებულ ღონისძიებების ცხოვრებაში გასატარებლად.

საწარმოო თათბირის უკანასკნელმა სხდომამ შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებებისა ნაწარმოების ხარისხის ასაწევად და საერთოდ წარმოების გასაუმჯობესებლად. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ადმინისტრაცია დააჩქარებს ამ ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებას.

დამსწრე.

—:—

### კავშირშიც ირიცხებიან

ერთი წლის წინად, განათლების კომისარიატმა გაყიდა ავტო-მანქანა, რომელიც შეიძინა ამავე დაწესებულების შოფერებმა, მაღრაძემ და გერმიშაშვილმა. უკანასკნელებმა შეაკეთეს მანქანა და გაუშვეს ბაზარზე საექსპლოატაციოდ. თითონ კი დღემდე განაგრძობენ სამსახურში ყოფნას და კავშირის წევრებადაც ირიცხებიან. საქმე იმაშია, რომ ეს ვაჟბატონები არც სამუშაო იარაღს უფრთხილდებიან. ისინი დაწესებულების გარაჟის კუთვნილ სამუშაო იარაღით აძლევენ რემონტს თავიანთ მანქანას და თითონ ივსებენ ჯიბეს სახელმწიფო ქონებით შეკეთებული მანქანაში აღებული ფულით.

აღსანიშნავია კიდევ ის გარემოება, რომ კომისარიატმა მანქანა ნისიად დაუთმო თავის შოფერებს. ჩვენი აზრით აქ რაღაც კომბინაციას უნდა ჰქონდეს ადგილი.,

როგორც ვიცით განათლების კომისარიატი აპირებს შოფერების შემცირებას. შტატის შემამცირებელმა კომისიამ მხედველობაში უნდა იქონიოს ეს გარემოება და შემცირებაში მოაყოლოს მაღრაძე და გერმიშაშვილი. კომისარიატის მიერ შოფერებზე მანქანის ნისიად გაცემის საქმე კი უნდა გამოარკვიოს სათანადო ორგანომ.

მესამე.

—:—

### მუშკორთა წერილებიდან

**უსუფთაობა საავადმყოფოში. (სამტრედია).** ქ. სამტრედიის საავადმყოფოში დიდ უსუფთაობას აქვს ადგილი. ამას წინად საავადმყოფოში მიიყვანეს ერთი თავგატეხილი ქალი, რომელსაც მეორე დღესაც კი არ ჰქონდა განბანილი სისხლი, რაც ძალიან აწუხებდა ავადმყოფს. თვით შენობაშიც უსუფთაობაა. საავადმყოფოს გამგემ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას.

მოგზაური.

**სახელმწიფო ქონებით სარგებლობს. (სად. გურჯაანი).** სად. გურჯაანის უფროსი ხმარობს რკ. გზის კუთვნილ საწოლს და ქვეშსაგებს, რაც არ არის ნათქვამი რკ. გზის არც ერთ წესდებაში. ამავე დროს სადგურის უფროსს საცხოვრებლად უკავია ორი ოთახი იმ დროს, როდესაც სადგურის სხვა თანამშრომლები უბინაობის გამო გაჭირვებას განიცდიან.

აბი.

**წესრიგი ირღვევა.** ამხ. მიშა ცხაკაიას სახელობის კლუბში, წარმოდგენების დროს ისეთი ხმაური და აურზაურია, რომ შეუძლებელი ხდება წარმოდგენის წაყვანა, 21 აპრილს კლუბში გაიმართა საოჯახო საღამო, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო, მაგრამ დარბაზში ისეთი უწესრიგობა იყო, რომ ნახევარს არც კი ესმოდა რას ამბობდნენ სცენაზე მსახიობები. კავშირმა ყურადღება უნდა მიაქციოს.

გოგია.

# საზაფხულო ექსკურსიები

წელს საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება და ცალკე კავშირები ექსკურსიებს მოაწყობენ როგორც საქართველოს და ამიერ-კავკ. ფარგლებში, ისე რუსეთისა და უკრაინის სამრეწველო ცენტრებში; ექსკურსიები მოეწყობა აგრეთვე ქალაქ-გარეთ.

შორეული ექსკურსიები (საქართველოში, ამიერ-კავკასიაში, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებში) მოეწყობა მუშების საზაფხულო შვებულების დროს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მუშათა დელეგაციების ექსკურსიების გაგზავნას რუსეთისა და უკრაინის სამრეწველო ცენტრებში, რათა ექსკურსიების მონაწილენი გაეცნონ იმ რესპუბლიკების მრეწველობის მდგომარეობასა და მიღწევებს.

ექსკურსანტებისათვის დახმარების გასაწევად საქართველოს პოლიტგანის მთავარ მმართველობის მიერ მოწყობილია რამოდენიმე საექსკურსიო ბაზა, რომლებიც მუშაობას დაიწყებენ 15 ივნისიდან.

ბაზებში ექსკურსიის მონაწილეთ მიეცემა ღამის გასათევი ადგილი 30 კაპ. დღე-ღამეში თითო კაცზე. ყოველ ექსკურსანტს მიეცემა საწოლი ლეიბით და ბალიშებით (თეთრეულის გარდა). საექსკურსიო ბაზა აძლევს ექსკურსანტებს აგრეთვე ხელმძღვანელებს.

პროფორგანიზაციებმა, რომლებსაც სურთ ისარგებლონ საექსკურსიო ბაზების სამსახურით, თავის დროზე უნდა განუცხადონ პოლიტგანის მთავარ მმართველობის ცენტრალურ საექსკურსიო ბიუროს 10 დღით ადრე ექსკურსიების გაგზავნამდე.

რაც შეეხება მასიურ ექსკურსიებს ქალაქგარეთ, წინასწარი მუშაობა მათ მოსამზადებლად დაიწყება 2—3 კვირით ადრე. მასიური ექსკურსიების ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ექსკურსანტების დასვენებისა, კვებისა და გართობის საქმეს. მასიური ექსკურსიების პროგრამაში შეტანილი იქნება საფიზკულტურო თამაშობანი: ბაგირის მიმოჭიმვა, რბენა ტომრებში და სხვა.

## საექსკურსიო-ტურისტულ ბიუროში

საქ. პოლიტგანათლების მთავარ მმართველობასთან არსებულ საექსკურსიო - ტურისტულ ბიუროს გამგემ გ. გომურიძემ ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

საექსკურსიო - ტურისტული ბიურო უკვე შეუდგა ექსკურსიების ჩატარებას თბილისის მიდამოებში. გასულ შაბათს და კვირას ჩატარდა ექსკურსია მარშრუტით: ავჭალა, ზედაზენი, საგურამო და მცხეთა. ზედაზენში გათვალიერებულ იქნა ის ადგილი, სადაც წინად იდგა კერპთაყვანისმცემლობის ძეგლი. დათვალიერებულ იქნა აგრეთვე ძველი ქართული არქიტექტურისა და მხატვრობის ნიმუშები მცხეთაში და საგურამოში. აღნიშნულ ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღო 55 კაცმა.

მორიგი ექსკურსია გაიმართება კვირას, 29 აპრილს შავნაბადაში გეოლოგ რუხაძის ხელმძღვანელობით. გარდა თბილისის მიდამოებისა, ბიურო ექსკურსიების ჩატარებს აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა ადგილებში.

როგორც საბჭოთა კავშირიდან მიღებული დეპეშები გვაუწყებენ, მოკავშირე რესპუბლიკების მიერ მოწყობილ ექსკურსიების უმრავლესობა გაივლის საქართველოზე. ამის გამო საქ. საექსკურსიო - ტურისტული ბიურო შეუდგა მზადებას ექსკურსანტების მისაღებად. გარდა იმ ბაზებისა, რომელიც ბიურომ გახსნა გაზაფხულის დამდეგს, საქართველოს სხვადასხვა ადგილებში ახლო ხანში მოწყობილი იქნება კიდევ 18 ბაზა.

საექსკურსიო ბაზები გაიხსნება საქართველოს სამხედრო გზაზე—გვილეთში, ყაზბეგში, გუდაურში, ფასანაურში, ანანურში, დუშეთში, მცხეთაში, ოსეთის სამხედრო გზაზე: შოვში, ონში, ქუთაისში, თბილისში, ბორჯომში, სვანეთში (მესტიაში), ბათომში, მწვანე კონცხზე, ქობულეთში, სოხუმში და გაგრაში.

ექსკურსიების ჩატარების გაადვილების მიზნით საქ. საექსკურსიო - ტურისტული ბიურო ახლო ხანში გამოსცემს „ტურისტის თანამგზავრს", რომელშიაც მოთავსებული იქნება ექსკურსიების მარშრუტები საქართველოში, მოგზაურობის აღწერის ტეხნიკა და სვლიგეზები. გარდა ამისა ბიუროს განზრახვა აქვს თბილისში მოაწყოს ტურისტული და საექსკურსიო სემინარი, რომელიც მოამზადებს ექსკურსიების ხელმძღვანელებს.

ბიუროს მიერ მოწვეულია სამეცნიერო მუშაკები, რომლებიც ახსნა-განმარტებას მისცემენ ექსკურსანტებს ექსკურსიების დროს.

ყველა იმ მასალას, რომელიც შეგროვილი იქნება ექსკურსიების ჩატარების დროს, ბიურო გამოიყენებს საექსკურსიო—მხარეთმცოდნეობითი მუზეუმისათვის, რომლის გახსნა განზრახულია თბილისში.

# აქციზის გადახდევინების სისტემის გამარტივება

საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციაში მოსმენილი იქნა მოხსენება აქციზების გადახდევინების სისტემის გამოკვლევის შედეგების შესახებ.

საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლები, რომლებიც გამოკვლევას ახდენდნენ, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ საჭიროა: აქციზების გადახდევინების სისტემის ცენტრალიზაცია გავრცელდეს ყველა სახელმწიფო წარმოებებზე, სრულიად გაუქმდეს სააქციზო წიგნები, სააქციზო ზედამხედველობა შეიცვალოს პერიოდული რევიზიებით, გადასვლა ცენტრალიზებულ სისტემაზე დაიწყოს პირველ ოქტომბრიდან. თუ მხედველობაში იქნება მიღებული, რომ ახალი სისტემა გავრცელდება 500-ზე მეტ წარმოებაზე, მომავალი წლისათვის მიღებული იქნება 50-ზე მეტი მილიონიანი ხელფასის ეკონომია და გაუქმდება 70-დე თანამდებობა სააქციზო სამსახურში.

გამოკვლევამ დაადასტურა აგრეთვე, რომ საჭიროა შეიცვალოს სისტემა აქციზის მოხსნისა და აქციზის და საბაჟო გადასახადის დაბრუნებისა იმ საექსპორტო საქონელზე, რომელზეც აქციზია დაწესებული, რადგან არსებული სისტემა ბევრ ფორმალობასთანაა დაკავშირებული, როგორც საექსპორტო ორგანიზაციების, ისე ფინორგანოების მხრივ. მაგალითად, საჭიროა არის ცნობილი გაუქმდეს ყველა სააქციზო დოკუმენტი და სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით სააქციზო და საბაჟო გადასახადების ანგარიშების გასწორება მოხდეს წლის დამლევს იმ წარმოებათა წლიური ანგარიშების მიხედვით, რომლებიც გეგმით ექსპორტს აწარმოებენ.

ამ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, გამომკვლევთა აზრით საჭიროა აგრეთვე შეიცვალოს აქციზის გადახდევინების ტეხნიკაც და ამის გამო გამარტივდეს კონტროლიც სახაზინო აპარატის მხრივ. ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს ბანდეროლების დაკვრა პაპიროსებზე, რასაც შეუძლია დიდი ეკონომია მისცეს მრეწველობას.

აქციზის გადახდევინების სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით, ფინსახკომმა მინიმუმამდე უნდა შეამციროს ფორმალობანი, რომლებიც დაკავშირებულია არაპირდაპირი ინსპექციის კონტროლთან და შემოიღოს ახალი მეთოდები უკანასკნელის მუშაობაში სახელმწიფო და კოოპერატიულ წარმოებების მიმართ—საჭიროა გაუქმდეს მუდმივი მეთვალყურეობა იმ პროდუქტებზე, რომელზედაც აქციზია დაწესებული და სხვ.

საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ მოიწონა აქციზების გადახდევინების სისტემისა და ტეხნიკის გამომკვლევ ჯგუფის მუშაობა. კოლეგიამ მიიღო ცნობად წინადადება სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოსა და ფინსახკომის შეთანხმების შესახებ იმ საკითხზე, რომ აქციზების აღრიცხვის და გადახდევინების ცენტრალიზებული სისტემა გავრცელდეს ყველა სახელმწიფო წარმოებებზე. საკავშირო ფინსახკომმა არა უგვიანეს მიმდინარე წლის პირველი ივნისისა საკავშირო სახკომსაბჭოში უნდა შეიტანოს სათანადო კანონპროექტი.

კოლეგიამ დაადგინა საკავშირო სახკომსაბჭოში შეიტანოს წინადადება გაუქმდეს ბანდეროლის დაკვრა პაპიროსებზე, რომლებიც რბილ კოლოფებშია ჩალაგებული. თამბაქოს მრეწველობის ყრილობამდე ბიუროს წინადადება მიეცა საკავშირო სახკომსაბჭოში და ფინსახკომში შეიტანოს წინადადება ბანდეროლის დაკვრის გაუქმების შესახებ მაგარ კოლოფებში ჩალაგებულ პაპიროსებზე იმ პირობით, რომ დაცული იქნება მომხმარებლის ინტერესები და სათანადოთ იქნება დაკლებული პროდუქციის ფასი.

# წყალდიდობა საქართველოში

## თბილისში

გუშინ დღისით პეტრიწის მოედანზე წყალმა იმდენათ დაიკლო, რომ მიმოსვლისათვის საჭირო აღარ იყო ნავები.

წყალმა დაიკლო აგრეთვე რიყის უბანში, ორთაჭალის და ნავთლუღის ბაღებშიც.

წყალდიდობის მხრივ საფრთხილო ადგილებში საგუშაგოები არ მოხსნილა.

წყალდიდობასთან მებრძოლი საგანგებო კომისია ბორჯომთან დაკავშირებულთ რადიოთი და ამრიგათ ცნობები, ბორჯომში მდინარეების ადიდების შესახებ ,დაუყოვნებლივ მოდის თბილისში.

ერთ-ერთი შესახვევი რიყეზე

### ზარალი წყალდიდობისაგან

წყალდიდობასთან მებრძოლ რესპუბლიკანურ კომისიის ცნობებით, უკანასკნელმა წყალდიდობამ მოსპო და გაანადგურა ორთაჭალის და ნავთლუღის ბაღები და ბოსტნები. ზარალი უდრის დაახლოებით 20.000 მანეთს.

წყალმა წალეკა აგრეთვე კარლ მარქსის ხიდთან მდებარე ხე-ტყის ქარხნის ფარდული.



სახლი, რომელიც დასცალეს წყალდიდობის გამო

წყლის მიერ წალეკილია დაახლოებით 10.000 მანეთის ხე-ტყის მასალა.

წყალდიდობისაგან გამოწვეულ ზარალის გამორკვევა გრძელდება.

### დამატებითი დახმარებები

წყალდიდობასთან მებრძოლმა ცენტრალურმა საგანგებო კომისიამ გაანაწილა ზუგდიდის ახალ-სენაკის, გორის, ქუთაისის, ლეჩხუმის და ახალქალაქის მაზრებს შორის დამატებით 10.000 მანეთი წყალდიდობასთან ბრძოლის სამუშაოების საწარმოებლად.

ამასთანავე საგანგებო კომისიამ დაადგინა გაიგზავნონ მაზრებში წყალდიდობასთან ბრძოლის რწმუნებულები ინჟ. ა. ჟაფარიძე, ქიზიმა და კანდელაკი.

## მდგომარეობა გზატკეცილებზე

საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს ბორჯომიდან იტყობინებენ, რომ მტკვარი ადიდებულია სამი მეტრით. მდინარემ გადალახა ნაპირები და გადავიდა ბორჯომ-ახალციხის გზატკეცილზე. წალეკილია: პირველი, მე-9, მე-10, მე-13 და მე-14 კილომეტრები. ამ ადგილებზე სდგას წყალი. მიმოსვლა გზაზე შეწყვეტილია.

ბორჯომ - ახალქალაქის გზატკეცილზე წყლით დაფარულია: მე-10, მე-13, მე-16, მე-20 და მე-23 კილომეტრები. წყლის სიღრმე ამ ადგილებში უდრის 1-ნახევარ მეტრს.

მრავალ ადგილას გზას გამოთხრილი აქვს ძირი. მინაძეების ხიდის მიწის კონუსი ინგრევა. დამბა გადავლილია წყალით. მოძრაობა ამ გზაზედაც შეწყვეტილია.

ბორჯომ-აბასთუმნის გზა გაფუჭებულია მდ. აბასთუმნის ადიდების გამო. ყველაზე მეტად წალეკილია გზა მე-74 და მე-75 კილომეტრებზე, მე-77—79 კილომეტრი წყალქვეშაა, ზოგიერთ ადგილებში წალეკილია გზის გასამაგრებელი ქვის კედლები. მოძრაობა აქაც შეწყვეტილია.

ქუთაისიდან იტყობინებიან, რომ მდ. რიონმა გაანგრია სად. რიონის ახლო მდებარე ფაჩხისა და ქვის დამბები. წყალი გადავიდა ქუთაის-ბაღდადის გზატკეცილზე და დაფარა იგი რკინის გზის გადასასვლელიდან—მდ. ყვირილის ბოგამდე ორი კილომეტრის მანძილზე. ამ მანძილზე დამდგარი წყლის სიღრმე ერთი მეტრს უდრის.

მიმოსვლა გზაზე შეწყვეტილია.

დანარჩენ გზებიდან ცნობები არ არის მიღებული.

## ადგილებზე

### მტკვრის დონე

ბორჯომიდან იტყობინებიან, რომ იქ მტკვრის დონემ 24 აპრილს მოიმატა 20 სანტიმეტრით და მიაღწია 300 სანტიმეტრს.

### დეპეშა ქუთაისიდან

წყალდიდობასთან მებრძოლი ქუთაისის სამაზრო სამეული დამატებით იტყობინება, რომ სოფელი სარბევი უშუალო საფრთხეშია და საჭირო არის სასწრაფო ზომების მიღება მოსახლეობის გადასარჩენად. წყალდიდობასთან ბრძოლაში სოფელ სარბევთან დაინტერესებულია აგრეთვე რკინის გზის სამმართველო, ვინაიდან აღნიშნულ რაიონში რკინის გზასაც მოელის საფრთხე.

სად. რიონთან საჭიროდაა ცნობილი გაგრძელებულ იქნეს არსებული ჯებირი 80 საჟენით, რომ წყალი გადაგდებულ იქნას მარჯვენა ნაპირისაკენ.

### ჯებირის წალეკვა

გორიდან, წყალდიდობასთან მებრძოლ ცენტრალურ საგანგებო კომისიას დეპეშით ატყობინებენ, რომ 24 აპრილს ადიდებულმა მტკვარმა გაგლიჯა და წაიღო სოფელ მეტეხთან ახლად აგებული ხიდის მახლობლად გაკეთებული ბეტონის ჯებირი, მიღებულია სასწრაფო ზომები.

### მიმოსვლის შეწყვეტა

ახალციხიდან იტყობინებიან: 24 აპრილს ღამით მტკვარში წყლის დონემ აიწია 280 სანტიმეტრამდე. ახალციხე-აბასთუმანს შორის მდინარემ მოიტაცა ორი ხიდი, რის გამო მიმოსვლა აბასთუმანთან შეფერხებულია. ახალციხე მოწყვეტილია აგრეთვე ახალქალაქსაც, სადაც გზა დაზიანებულია და მიმოსვლის აღდგენა ჯერ-ჯერობით შეუძლებელი ხდება.

წყალდიდობასთან საბრძოლველად გარდა ადგილობრივი მოსახლეობისა გამოწვეული არიან წითელი არმიის ნაწილებიც.

# ქრონიკა

### ამხ. შ. ელიავას დაბრუნება

მოსკოვიდან დაბრუნდა და თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. შალვა ელიავა. (ადს).

### 2 მაისი უქმე დღეა

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით, 2 მაისი გამოცხადებულია უქმე დღედ (ინტერნაციონალის დღე). ამავე დადგენილებით, გაუქმებულია 2 ივლისის დასასვენებელი დღე.

### დარბაზობა სპარსეთის საკონსულოში

25 აპრილს რიზახან პეხლევის კორონაციის დღის გამო სპარსეთის გენერალური კონსული თბილისში ბ. მირზა-ალი-ხან ზახირი ინახულეს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ამიერკავკასიაში ამხ. კარკლინმა, „ზაკგოსტორგის" გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ივანიშვილმა, ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ სავაჭრო პალატის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. შირვანსკიმ, ყველა უცხოელმა კონსულებმა, სპარსული კოლონიის წარმომადგენლებმა და სხვა. (ადს).

### მიწა-ტყის მუშაკთა მეშვიდე ყრილობა.

მეცხრე სხდომაზე დამთავრდა კამათი შრომის დაცვის და სოციალური დაზღვევის შესახებ გაკეთებულ მოხსენებათა გარშემო.

გუშინ 10 საათიდან სამამდე მუშაობდენ კომისიები.

კომისიების მიერ შემუშავებულია რეზოლიუციები მოსმენილ მოხსენებათა გარშემო.

დღევანდელ სხდომაზე მოხდება მიწა-ტყის მუშაკთა საკავშირო ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევა, რის შემდეგ ყრილობა დაიხურება.

### ქართული წიგნის 300 წლის თავი

ქართული წიგნის 300 წლის თავის აღსანიშნავად სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა შეუდგა წინასწარ სამზადის. განზრახულია ბიბლიოთეკასთან მოეწყოს სპეციალური განყოფილება, სადაც თავმოყრილი იქნება დღემდე ქართულ ენაზე დაბეჭდილი წიგნების თითო ეკზემპლიარი.

### ბავშვთა დახმარების სამდღიური

საქ. ცაკთან არსებულ უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისიას ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლის ფონდის გასაძლიერებლად შესწირეს: პოლონეთის საკონსულომ—30 მანეთი, სახალხო მამულების ტრესტმა—550 მანეთი, საქ. სახ. ვაჭრობამ—300 მ., სახმედვაჭრობამ—200 მ., აბრეშუმის ტრესტმა—200 მ.

### შეღავათიანი ბილეთების გარშემო

თბილისში საგასტროლოდ ჩამოსული თეატრები, საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასთან შეუთანხმებლად, თავიანთი წარმოდგენების ბილეთებს 20-40 %-ით დაკლებულ ფასებში ავრცელებენ მუშა-მოსამსახურეებს შორის მაშინ, როცა პროფკავშირის წევრები ყველა თეატრებში 50 %-იანი შეღავათით სარგებლობენ. ამის გამო საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებამ წინადადება მისცა ყველა საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებს, ადგილკომებს და კულტკომისიებს შეაჩერონ ბილეთების კოლექტიური შეძენა მანამ, სანამ, დადებული არ იქნება მტკიცე ხელშეკრულება საგასტროლოდ ჩამოსულ თეატრებთან.

### სტუდენტები პრაქტიკაზე

ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტთა გაგზავნა პრაქტიკაზე დაიწყება 1 მაისიდან. წელს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილებში პრაქტიკაზე გაიგზავნება 229 სტუდენტი.

ლენინის სახ. პოლიტ. ინსტიტუტს წელს დაამთავრებს 20 კაცი, მათ შორის: 6—საამშენებლო ფაკულტეტს, 6—გიდრო-ელექტროტეხნიკურ ფაკულტეტს და 8—სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტს. კურსდამთავრებულები სტაჟის მისაღებათ გაიგზავნებიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში.

### ცემენტის ქარხნის სამუშაოები

დღეს, დილით სოფ. კასპში ცემენტის ქარხნის ასაგებ სამუშაოების დასათვალიერებლათ და ადგილობრივ მუშათა საცხოვრებელ ბინების ასაგებ ადგილების გამოსამიჯნავად მიემგზავრება საუწყებათაშორისო კომისია ამხ. ვ. ავაქოვის თავმჯდომარეობით.

კომისიის შედიან ახალმშენებათა სამმართველოს, შრომის კომისარიატის, ს. მ. უ. ს. და ამშენებელ მუშათა კავშირის წარმომადგენლები,

### მარკები საწევრო გადასახადისათვის

საქ. თავდაცვა-ავიაქიმმა ადგილებზე დასაგზავნათ მიიღო მარკები, რომლებიც მიეცემა ავიაქიმის წევრებს საწევრო გადასახადის შეტანის დროს.

### ექსკურსიის ხელმძღვანელთა თათბირი.

პროფსაბჭოს კულტგანყოფილება დღეს, დილის 11 საათზე იწვევს ექსკურსიის ხელმძღვანელთა თათბირს. განსახილველია შემდეგი საკითხები: საგაზაფხულო და ზაფხულის საექსკურსიო მუშაობის გეგმა; ექსკურსიების ორგანიზატორთა მოსამზადებელ კურსების სემინარის შესახებ და ექსკურსიებისათვის სათანადო კონსპექტებისა და ფურცლების შემუშავება.

თათბირი შესდგება მუშათა სასახლეში, ოთახი № 14.

### ფეიქართა ექსკურსია ბაქოში

შაბათს, 28 აპრილს, ბაქოში მიემგზავრება საქართველოს ფეიქართა კავშირის ექსკურსია 55 კაცის შემადგენლობით. ექსკურსანტები გაეცნობიან ბაქოს წარმოებებს, განსაკუთრებით კი ნავთის სარეწაოების მუშაობას. ექსკურსია ბაქოში დარჩება 3—4 დღე.

### თბილისის აღმასკომში

დღეს, საღამოს 6 ს. თბ. საბჭოს წითელ დარბაზში რიგს გარეშე მოწვეულია საბჭოს საფინანსო-სამრეწველო სექციის სხდომა, რომელზედაც განხილული იქნება თბ. აღმასკომის 1927—28 წლის ბიუჯეტი.

◆ **უპატრონო ბავშვთა დამხმარე საზ-ბას** თბ. აღმასკომმა კოჯორში გადასცა ერთი აგარაკი, რომელშიაც მოთავსებული იქნება ავადმყოფი უპატრონო ბავშვები.

◆ **ახალი დარაბები.** ავლაბარში ახალი დარაბების ასაგებათ თბ. აღმასკომმა გადასდო 40 ათასი მანეთი.

◆ **მეცხვარეობა.** თბილისის მაზრაში მეცხვარეობის საქმის გასაუმჯობესებლად აღმასკომმა გამოყო ცალკე კომისია.

◆ **„თემქას" სამონტაჟო სახელოსნოს** გასაფართოებლად ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებას გადაეცა 13.000 მან.

### სახ. უნივერსიტეტში

◆ **სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას,** გორში გარდაცვლილ ექიმ ვაშაკიძის ხსოვნის აღსანიშნავად,—მისმა ოჯახმა შესწირა განსვენებულის ბიბლიოთეკა, რომელიც 500 წიგნისაგან შესდგება.

◆ **ექსკურსია.** სახ. უნ. არსებული პედაგოგიური წრე, დღეს აწყობს ექსკურსიას პედაგოგიურ მუზეუმში.

◆ **დღეს, საღამოს 7 ს. სახ. უნ.** პედაგოგიურ წრის მორიგ საჯარო სხდომაზე ამხ. მარიამ ორახელაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „კულტურული რევოლიუცია და სახ. განათლების ამოცანები".

◆ **სოციგიენის აუდიტორიაში** (ლუნაჩარსკის ქ. 12), დღეს საღამოს 8 ს. შესდგება თბ. სახ. უნივერ. უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის საერთო კრება.

### სხვადასხვა

— **საქართველოს პროფსაბჭოს პროფისტბიურო** (მუშათა პროფესიონალური მოძრაობის ისტორიის შემსწავლელი ცენტრ. კომისია) სთხოვს იმ მოქალაქეს, რომელსაც აქვს 1906—7 წლებში არსებულ პროფკავშირების ცენტრალური ბიუროს ორგანო ჟურნ. „ახალი დროება"-სა და „ახალი ქვეყანა"-ს ნომრები—მოგვყიდოს ან ასლა გვათხოვოს ასეთები (მისამართი თბილისი, საქართველოს პროფსაბჭო, ოთახი № 12).

### „ტეხნიკა და ცხოვრება„ № 3

გამოვიდა ჟურნ. „ტეხნიკა და ცხოვრებას" მე-3 ნომერი შემდეგი შინაარსით: ინჟ. ა. მუსხელიშვილი—ზაჰესის დატვირთვა. ინჟ. ნ. გვარამაძე—თაღიან ხიდების დაავადების მიზეზები და მათი მკურნალობა, ინჟ. ი. უიფშიძე,—ტყვარჩელის ქვანახშირის მნიშვნელობა, ინჟ. დ. ბერეკაშვილი,—ხის ქიმიური დამუშავება. ინჟ. ა. უდალოვი,—ტეხნიკისა და მრეწველობის როლი ქვეყნის საქმეში. ინჟ. გ. ხუნდაძე,—საქართველოს სამეცნიერო-ტეხნიკური ელექტროფიკაციის ხელშემწყობ საზოგადოების დაარსებისათვის. ინჟ. ვ. კაკაბაძე,—ჩვენი აღმშენებლობა და ინჟინერ-ტეხნიკოსთა როლი ამ აღმშენებლობაში, ინჟ. ვ. კაკაბაძე,—ნიკო ნიკოლაძე( ნეკროლოგი), ინჟ. ბ. ჭიჭინაძე,—პროფესორი-ინჟინერი ა. ა. ვასილიევი (ნეკროლოგი), ტეხნიკის ინფორმაცია, ადგილობრივი ინფორმაცია, პროფესიონალური ცხოვრება, ბიბლიოგრაფია, კითხვა-პასუხი, ტერმინოლოგია,

# ხელოვნება

## მოსკოვის კამერული თეატრის გასტროლები

### ოსტროვსკი. „ქარიშხალი" (Гроза)

რუსულ თეატრებში რევოლიუცია დაიწყო ფორმალისტურ - ტეხნიკური სისტემის ძირეული რეფორმით; ამ რეფორმის ზოგადი მიზანი თეატრიდან ფსიქოლოგიზმის განდევნით განისაზღვრებოდა: ფსიქოლოგიზმი ახასიათებდა არა მარტო აქტიორის მოძრაობის სისტემას, მის სიტყვას, მის ბგერითი მონტაჟს, არამედ მთელ თეატრალურ ატმოსფეროსაც: „ფსიქოლოგიზმი" შეიჭრა თვით სცენის დეკორატიულ მორთულებაშიაც. ამ გარემოებამ ყოველი დადგმები „ინტიმიურ ნატურალიზმის" ხაზებში ჩამალა და მით აქტიორის მხატვრული ემოციები ფოტოგრაფიულ ნატურალიზმის პრინციპებს დაუმორჩილა. ამ ფაქტში თეატრის რეფორმატორებმა თეატრის კრიზისი დაინახეს, რისთვისაც მთავარი იერიში ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ მიმართეს. ფსიქოლოგიზმის განდევნა მათ (მეიერხოლდი, ეიზენშტეინი პროლეტკულტში, ტაიროვი, ს. რადლოვი და სხვ.) აქტიორის „გარეგანი ტეხნიკის" ახალი ორგანიზაციით და ტრადიციული ორ განზომილებიან დეკორაციების უკუგდებით განიზრახეს. ამ ფორმალისტურ რევოლიუციაში სავსებით დავიწყებულ იქნა ახალი დრამატურგიის პრობლემები, რის გამოც თეატრები მიუახლოვდნენ „წმინდა" ესთეტიზმის საზღვრებს. ამ დროს გაისმა ლოზუნგი: „უკან ოსტროვსკისაკენ"; ეს ლოზუნგი უფრო ალლეგორიას შეიცავდა, ვინემ კონკრეტ მოთხოვნას ოსტროვსკის აღდგენის შესახებ რუსულ სცენაზე: ოსტროვსკი ამ შემთხვევაში გამსახიერება იყო თემატიკის, რომელსაც ეგზომ საჭიროებდა რეფორმაქმნილი თეატრები. ამის და მიუხედავად კონკრეტულად ოსტროვსკით იბრუნა პირი „თანადროულობისაკენ" ყველა იმ თეატრებმა, რომლებიც ესთეტიზმის წინააღმდეგობაში გაიხლართო. („ტყე" — მეიერხოლდთან, „ქარიშხალი" ტაიროვთან) და შინაარს დაცლილი აქტიორის „გარეგან ტეხნიკაში" შლიდა თავის მხატვრულ შემოქმედებას. ყველაზე მწვავეთ დრამატურგიული თემატიკის საკითხები იდგა მოსკოვის საკამერო თეატრის წინაშე, რადგანაც სწორეთ ყველაზე ძლიერათ ფორმალისტური გადახრა ამ თეატრმა გამოამჟღავნა. კამერული თეატრის ხელმძღვანელმა ა. ტაიროვმა შექმნა მთელი სისტემა აქტიორის გარეგანი და შინაგანი ტეხნიკისა, მან ახალ პრინციპზე ააგო სცენიური მოედანი, სულ სხვა დანიშნულება მისცა სცენის ყველა ბუტაფორულ აქსესუარებს და სრულიად მოუსპო თეატრის მაყურებელი დარბაზის ემოციონალური დაპყრობის ფუნქციები. აქ არის ფორმალიზმის ისეთი აპოგეა, რომ ამ მხრივ ტაიროვის თეატრმა პირდაპირ გაბედული რეკორდი აიღო. მაგრამ აქვეა უდიდესი საფრთხე თეატრისათვის, ვინაიდან რევოლიუცია თეატრისაგან მოითხოვს მაყურებლის ემოციონალურ ორგანიზაციას და აკისრებს მას გარკვეულ საზოგადოებრივ ფუნქციებს. ამით აიხსნება, რომ კამერულმა თეატრმა დასდგა ოსტროვსკის „ქარიშხალი", რომლითაც თეატრის ცხოვრებაში იწყება სრულიად ახალი პერიოდი. „ქარიშხალის" დადგმაში მოცემულია ცდა სპექტაკლის მონუმენტალურათ აგებისა. აქ ყურადღებას იპყრობს სცენიური მოედნის თავისებური გაკეთება: სცენა შეიცავს დაზგების ორ სართულიან წყობას, რომელიც არ წარმოადგენს არც სიმბოლოს რაიმე რეალობისას, არც განზოგადოებულ რეალობას, და არც აგრეთვე სტილიზაციაქმნილ სინამდვილეს; აქ მხოლოდ უბრალო ორგანიზაციაა დაზგების, რომელიც ტაიროვმა გამოიყენა აქტიორული მასალის თავისუფლათ მოძრაობისათვის. სინათლის შესაფერი მონტაჟი კი ჰქმნის გარკვეულ ილიუზიებს ქარიშხლისას, მთვარიანი ღამის და სხ., ასე რომ სინათლის ეფექტებით დაზგებს ეძლევა გარკვეული აზრი.

„ქარიშხალში" ორი საწყისია: მეშჩანური კულაკობა (კაბანიხა, დიკოი), თავისი გულშემზარავი ტრადიციებით და ახალგაზრდა გულუბრყვილო რუსი ქალის მელანქოლიური სიწმინდე (კატერინა). დაჯახება ამ ორი საწყისის ნამდვილი ქარიშხალია, რომელიც უქადის ერთ-ერთ მხარეს ფიზიკურ დაღუპვას — ტაიროვმა განაზოგადა ეს პერსონაჟები: კაბანიხა ეს მსოფლიო ნიღაბია ბნელი შემაძრწუნებელი ტრადიციების, დიკოი ასეთივე ფიგურაა თავაგდებულ „გამძღარ" კულაკის, ხოლო კატერინაში მოცემულია განსახიერება ღრმა მელანქოლის, როგორც მკაფიო გამოხატულება იმ წინააღმდეგობის, რომელსაც განიცდის შეყვარებული კატია: ერთ და იმავე დროს ბრმა, ფატალური მორჩილება ტრადიციებისა და ამავე ტრადიციების წინააღმდეგ ბორისის თავდავიწყებითი შეყვარება. ა. კოონენმა იშვიათის გულწრფელობით და ნამდვილის მხატვრული ბუნებრიობით შესძლო კატიას ასეთი სულისკვეთების გადმოშლა. კატიამ სძლია ამ წინააღმდეგობას და დაამარცხა ეს შავი ტრადიციები ვოლგაში თავის დახრჩობით. ფინალური სცენა კატერინასი ნამდვილ ტრაღედიას წარმოადგენდა და კოონენმა ამ ტრაგიულ ფინალში თავისი ძლიერი მხატვრული ემოციებით თვალსაჩინოთ ცხადჰყო, თუ რაოდენ დიდია მისი შემოქმედებითი მიღწევები ტრაგედიის განცდის სფეროში. კარგია მსახიობი არკადინი კულაკ დიკოის როლში, კაბანიხას ნიღაბიც მხატვრული სიმართლით არის მოცემული. განზოგადოების მეთოდი მოითხოვდა ყოფითი დეტალების განდევნას, და მართლაც სიახლე ტაიროვის გაგებაში ის არის, რომ ოსტროვსკი ყოფითი მწერლისაგან მან აქცია, ადამიანის გულისა და სულის უდიდეს მცოდნეთ. ფსიქოლოგიზმმა სძლია ჟანრი დაყოფა, და ამას მიაღწია ტაიროვმა ნიღაბების განზოგადოების მეთოდით. სპექტაკლის მონუმენტალობას თითქოს ხელს უნდა უწყობდეს ხალხური მელოდიები, მაგრამ ზოგ მომენტებში მას არ აქვს მხატვრული გამართლება, არ აქვს იმისათვის, რომ ამ ასრულებაში ხალხური მელოდიების სიწმინდე ბოლომდის არ არის დაცული.

თავისი ფორმალური მიღწევების ემოციონალური შინაარსით დატვირთვა კამერულმა თეატრმა „ქარიშხალით" სცადა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ცდა მარცხით დამთავრდა: თანამედროვე მაყურებელს არაფერს ეუბნება ტრაგედია სიყვარულის ნიადაგზე, თუნდაც ზოგადი ფონი ამ ტრაგედიის ყოფა-ცხოვრების წინააღმდეგობაც იყვეს. ამ გზით ემოციონალური ორგანიზაცია ახალი მაყურებლისა ფუჭი ოცნებაა. ახალ ადამიანს ახალი განცდა და ახალი ემოციები სჭირია; ეს განცდები არ უნდა შემოფარგლოს მხოლოდ ინტიმიური სფეროთი: ახალ ემოციაში უნდა იყვეს მოცემული ახალი ეპოქა თავისი „რომანტიული" და სოციალური სიმშვენიერით. კამერულმა თეატრმა უნდა გამოასწოროს თავისი იდეოლოგიური ხაზი, თუ მას სურს შეინარჩუნოს მხატვრული სიცოცხლე და შემოქმედებათი უნარიანობა.

**შ. დ—ვა.**

## ხელოვნების ქრონიკა

### მცირე თეატრის გასტროლები

19 მაისიდან 4 ივნისამდე სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება მოსკოვის სახელმწიფო აკადემიურ მცირე თეატრის მსახიობთა ანსამბლის გასტროლები. დასში შედიან სახელმწიფო აკადემიურ თეატრების დამსახურებული არტისტები: ა. ა. იაბლოჩკინა, ვ. ნ. რიჟოვი, ე. დ. ტურჩანინოვი, პ. მ. სადოვსკი, ს. ვ. აიდაროვი, სტეფან კუზნეცოვი, ი. ა. რიჟოვი, ს. ა. გოლოვინი, მ. მ. კლიმოვი და არტისტები: ე. ნ. გოგოლევა, მ. ა. პერესლენი, ლ. ფ. ალექსანდროვა, რ. რ. რეიზენ, ვ. ნ: ორლოვა, ო. მ. ნიჩკე, ს. ს. აგრონოვიჩი, მ. მ. კალიკი, ა. ა. ნეპომნიაშჩაია, ლ. ა. ბაკულინა, ვ. ნ. აკსენოვი, ი. ფ. კრასოვსკი, ი. ფ. ხკურტოვა, ნ. ნ. მუზილი, ნ. ნ. შამინი, ნ. ი. რიჟოვი, ა. ი. რჟანოვი, ნ: ა. კოკინი, ვ. ფ. ვილ, ვ. ვ. კრასავინი, ნ. ი. ივანოვი და სხვები.

რეპერტუარი შესდგება შემდეგი პიესებიდან: ერთი სისულელე ბრძენსაც მოუვა, კრეჩინსკის ქორწინება, უდანაშაულოდ დასჯილნი, ლიუბოვ იაროვაია, იდიოტი, შემოსავლიანი ადგილი, ოკეანეს გაღმა, რევიზორი, განათლების ნაყოფი, ტყე, ცოცხალ ადგილზე, ვაი ჭკუისაგან, ჰიქა წყალი, სიმართლე კარგია, მაგრამ ბედნიერება უკეთესია.

◆ მოსკოვის კამერულ თეატრის მთავარი რეჟისორი ტაიროვი ორშაბათს, 30 აპრილს, ოპერის თეატრში წაიკითხავს საჯარო ლექციას თეატრზე.

### ნეჟდანოვას კონცერტები

რესპუბლიკის სახალხო არტისტის ა. ვ. ნეჟდანოვას, მოსკოვის დიდი თეატრის დირიჟორ მაკოვსკის და დამსახურებული მსახიობის ნ. გოლოვანოვის სიმფონიური კონცერტები, რომლებიც დანიშნული იყო 21 და 22 აპრილისათვის გადადებულია 15, 16, და 17 მაისისათვის. კონცერტები შესდგება ოპერის თეატრში. კონცერტების პროგრამაში შედის არიები და ნაწყვეტები ოპერებიდან, რომანსები, იტალიის ძველ კომპოზიტორების და თანამედროვე კომპოზიტორების ნაწარმოებები.

კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე თბილისის საუკეთესო არტისტული ძალები.

— კომკავშირელ მწერალთა წრეში. კომკავშირელ მწერალთა წრის სხდომაზე, რომელიც შესდგა 22 აპრილს, არჩეული იქნა წრის ახალი ბიურო, რომელშიაც შედიან: დ. რონდელი, ვ. ლუარსამიძე, ალ. სულავა, ილ. ხოშტარია, ს. წვერავა, დ. ვოლსკი და გ. კაჭახიძე.

— „პოეზიის დღე". 5 მაისს სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის კავშირი გამოუშვებს პოეზიის დღისა და ბეჭდვითი სიტყვის აღსანიშნავად სპეციალურ გაზეთს „პოეზიის დღე"-ს მასალები წარმოდგენილ უნდა იქნას პირველ მაისამდე „ქართულ მწერლობის" რედაქციის სახელზე ხელოვნების სასახლეში.

◆ სათეატრო თათბირის გადადება. სათეატრო თათბირი, რომელიც უნდა შემდგარიყო გუშინ, გადადებულია 7 მაისისათვის.

# რკინის გზებზე

### ბრძოლა მატარებლების დაგვიანებასთან

უკანასკნელ ორი დღის განმავლობაში სადგურებზე სახალხო მატარებლების დაკავებისათვის საყვედური გამოეცხადათ შემდეგ სადგურების უფროსის თანაშემწეებს: არავიაშვილს—აგარა; აბესაძეს—ყარაია; ალიევს—ნავთლუღი; ალექსეენკოვს—ლიკა და ასკეროვს.

ხაშურის დეპოს მემანქანეს მიხაილოვს და თბილისის გუნდის ბარგის დამრიგებელს—ქუთათელაძეს გამოეცხადა საყვედური გაფრთხილებით.

საყვედური გამოეცხადა აგრეთვე მემანქანეებს—განჯის დეპოში— რუხაძე, თბილისის—ლავრენტაშვილს, დომბროვსკს და მის თანაშემწეს გულაძეს, ბაქოში—ლიაპინს და სამტრედიის—ტოროზაძეს. ასევე დაისაჯნენ ელექტრომონტაჟების მონტიორი—ივანოვი, ვაგონების შინჯავი ლავრენტაშვილი და ბარგის მწონავი სად. თბილისში ფირცხალავა.

### ახალი სადგური

კომერციული ოპერაციების საწარმოებლად ამ მოკლე ხანში გაიხსნება სადგ. არაზდაიანი (სამხრეთ უბანზე).

### დაჯახება

უკანასკნელ ხანებში კვლავ გახშირდა მატარებლების საქონელზე დაჯახების შემთხვევები. უკანასკნელ დღეებში ადგილი ჰქონდა ორ ასეთ შემთხვევას, რამაც გამოიწვია მოძრავ შემადგენლობათა დაზიანება და მატარებლების მოძრაობის შეფერხება.

ასეთი შემთხვევები ხშირი იყო ამიერ-კავკ. რკ. გზებზე; ეს აიხსნება იმით, რომ რკინის გზის ახლო მცხოვრები მოქალაქეები უყურადღებოთ უშვებდენ თავის საქონელს, რომელის ხეტიალობდნენ რკინის გზის ხაზზე.

ამას თავის დროზე მიექცია ყურადღება გზის გამგეობამ; მიღებულ ზომებით რკინის გზის ხაზი განთავისუფლებულ იქნა მოხეტიალე საქონლისაგან.

როგორც ირკვევა, ეხლა კვლავ მეორდება წინანდელი ისტორია; ამის გამო ამიერ-კავკ. რკ. გზების გამგეობა მიაქცევს რა ამ გარემოებას ადგილობრივ სამაზრო და სათემო აღმასკომების ყურადღებას, მოუწოდებს მათ მიიღონ შესაფერი ზომები, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი მარცხი და, როგორც რკინის გზის, ისე გლეხობის ზარალი.

# სასამართლო

### ცოლის მოკვლა

ჩვენს მკითხველებს ამას წინად გავაცანით გარემოება, რამაც მოქ. გიორგი ღვინიაშვილი მიიყვანა ცოლის მოკვლამდე.

ღვინიაშვილი—ახოვანი, წარმოსადეგი ახალგაზრდა,—გუშინ გაასამართლა თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. ლეკვეიშვილის თავმჯდომარეობით.

— მე უზომოდ მიყვარდა ჩემი ცოლი ანა. უმისოდ ვერ წარმომედგინა ცხოვრება. ამიტომაც იყო, რომ სოფელ ჯუმანში მისი ხასიათის გასასწორებლად გავყიდე ყველაფერი და თბილისში გადმოვსახლდი. აქ დიდის ვაი-ვაგლახით მე-7-ე უბნის მილიციაში მოვეწყვე სამსახურში და ვფიქრობდი კარგი პირობები შემექმნა ოჯახის ასაღორძინებლად,—მოუთხრობს ღვინიაშვილი სასამართლოს.

გამომეტყველება ბრალდებულს ისეთი აქვს, რომ ეჭვს ვერ შეიტანთ მის გულწრფელობაში.

— მაგრამ ამაო გახდა ყოველივე, განაგრძობს ბრალდებული. ჩემს ცოლს სხვებზე ეჭირა თვალი. ათასგვარი ხმები მომდიოდა მისი ცუდი ყოფა-ქცევის შესახებ. მეც ხშირად ჩემი თვალით დავრწმუნებულვარ, რომ ცოლი მღალატობდა. იმდენად მიყვარდა ის, რომ მე ოდესმე ლაპარაკი არ ჩამომიგდია განშორებაზე. ვეუბნებოდი მხოლოდ, რომ შეეცვალა ზნე და მე არ შევეწუხებინე. ასეთი ლაპარაკის დროს, მას ყოველთვის გული მისდიოდა და უშვერ სიტყვებს მესროდა.

...უკანასკნელად, ე. ი. უბედური შემთხვევის დღეს ჩვენ ლაპარაკი გვქონდა ჩვეულებრივ ყოფა-ქცევის გამოცვლის შესახებ. ცოლმა უეცრად კატეგორიულად გამომიცხადა, რომ ის ჩემთან აღარ იცხოვრებს. მე ავენთე, ამოვიღე დანა, რომელიც შეძენილი მქონდა თავის დასაცავად ჩემი ცოლის „კავალერებისაგან" და მოვკალი...

..მე მაშინვე წავედი კომისარიატში და ვაცნობე ხელისუფლებას ყველაფერი. მე ვგრძნობ თავს დამნაშავედ".

ბრალდებული ჯდება და ოფლს იწმენდავს.

სასამართლოს განაჩენით გიორგი ღვინიაშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, რაც ამნისტიით განახევრდა. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ მსჯავრდადებულს მძიმე პირობებში უხდებოდა ცხოვრება ცუდი ყოფა-ქცევის ცოლთან და აგრეთვე ის, რომ პირველად არის პასუხისგებაში. ამიტომ დარჩენილი 4 წელი დაყვანილ იქნა ორ წლამდე.

—:—

### „ჩქეფი"

თითქმის ერთი წელიწადია, რაც თბილისის და საერთოდ საქართველოს ბაზარზე გამოდის შუშხუნა ღვინო „ჩქეფი".

„ჩქეფს" უშვებს კოოპერატიული საწარმოო არტელი „კახ-იმერი". ღვინის დამუშავება სწარმოებს სპეციალისტების ხელმძღვანელობით და ამიტომაც კარგი ხარისხის გამო „ჩქეფმა" მალე დაიპყრო ბაზარი.

ბევრს, ალბად გემოიც გაუსინჯავს ამ ღვინის, მაგრამ, ალბად, ბევრი არ დაჰკვირვებია ეტიკეტს, ანუ ბოთლზე დაკრულ სავაჭრო ნიშანს.

ამიერიდან კი ვურჩევთ იმათ, ვინც „ჩქეფის" მუშტარია, ძალიან დაუკვირდენ ეტიკეტს, თორემ ყალბი „ჩქეფი" შერჩებათ ხელში.

მოგეხსენებათ, რომ ზოგი კაცის გული ზედმეტად ხარბია.

სწორედ ამ სიხარბემ არ მოასვენა მოქ. ქ. არაბიძე (კერძო მწარმოებელია). ერთ დროს „კახ-იმერი"-ს ფირმით თვითონ არაბიძე ვაჭრობდა კომპანიონებთან ერთად.

მაგრამ რაკი ფირმამ ვერ იხეირა, თავი გაანება და ამის შემდეგ სათანადოთ ჩამოყალიბებულ ხელშეკრულების ფირმა „კახ-იმერი" გადავიდა კოოპერატიულ საწარმოო არტელის ხელში.

ზემოდასახელებულმა არტელმა, როგორც მოგახსენეთ, კარგა დააყენა საქმე, მიიპყრო ბაზრის ყურადღება თავისი „ჩქეფით".

ქ. არაბიძე გულზე სკდებოდა, რომ ასეთი კარგი „ბედი" ეწვია მის ყოფილ ფირმას. თვითონ კი ცარიელ-ტარიელი დასეირნობდა.

ქ. არაბიძემ გადასწყვიტა შურისძიება. იშოვა კომპანიონები და დაარსა საზოგადოება, რომელსაც დაარქვა დაახლოვებით იგივე სახელი, მხოლოდ შებრუნებით: „იმერ-კახი" (არტელის სახელწოდებაა „კახ-იმერი").

— საზოგადოება დავაარსე, მაგრამ რა გამოუშვა ისეთი, რომ თვალები დაუბრმავო „კახ-იმერს",—ფიქრობს არაბიძე.

არაბიძემ გამოიგონა კარგი ხერხი. მანაც გამოუშვა „ჩქეფი"-ს სახელწოდებით ღვინო.

უნდა ნახოთ არაბიძის „ჩქეფის" ეტიკეტი! ისეთივე ფერადები, ისეთივე ასოები, ისეთივე ჩუქურთმები ასოებზე. განსხვავება ის არის მხოლოდ, რომ სიტყვა „ჩქეფი"-ს ზემოდან პატარა ასოებით (რომ ვერავინ შეამჩნიოს!) აწერია სიტყვა „იმერ."

ღვინის ხარისხზე ჩვენ არაფერს ვიტყვით, რადგან ეს ღვინის სპეცების საქმეა, მხოლოდ ასე, თვალ და ხელს შუა, ფირმის ეტიკეტის მითვისება ვის გაუგონია!

ეს ამბავი ეცნობა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს. უკანასკნელმა გასცა განკარგულება ახალ გამოჩეკილი „იმერ. ჩქეფის" პატრონის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

საქმე გადაეცა 1 უბნის სახალხო სასამართლოს.

**ზერ.**

# შემთხვევები

### მეეზოვის დაჭრა

გუშინ, დილით, ოგანეზ აზაბეგის ძე გალოიანცმა და ვარტენ ავეტისძე არუთინოვმა დანით მსუბუქად დასჭრეს თამარის ქუჩის საგუშაგოზე მდგომი მეეზოვე—ალი დროები. გალოიანცი და არუთინოვი დაპატიმრებულია.

### შენობის ჩამონგრევა

გუშინ, დილით, ჩამოინგრა მნათობის ქუჩაზე (№ 2), მდებარე ერთსართულიანი სახლის კერი. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

—:—

გუშინ, დილით ჩამოინგრა რიყის ქუჩაზე (№ 57), მდებარე შენობის სახურავი, მდგმურები დაღუპვას გადაარჩინეს.

სახლი დიდი ხნის აშენებულია და ეკუთვნის კერძო პირს.

### ტრამვაის ქვეშ

გუშინწინ, ავჭალის მოედანზე, ქუჩაზე გადასვლის დროს ტრამვაის ვაგონის ქვეშ მოჰყვა 6 წლის ანა ექსელდბიანცი. ვატმანმა შავერდოვმა დროზე დაამუხრუჭა ვაგონი და ბავშვი უვნებლად გადარჩა.

### ქურდობა

გუშინ, დილით, გაქურდეს ქ. ხაჩატუროვის ბინა (ურიცკის ქ., 34), წაიღეს 300 მანეთის ტანსაცმელი;—გაქურდეს ა.-კ. საგზაო-სატრანსპორტო კოოპერატივის ფარდული (საბჭოს ქ., 131), წაიღეს 80 მანეთი და სხვადასხვა ნივთები;—გარდა ამისა, გუშინ ქალაქში ადგილი ჰქონდა წვრილი ქურდობის 6 შემთხვევას. დაპატიმრებულია 3 ქურდი.

### თავის დაჭრა

გუშინწინ, დილით, კონსტანტინე ლოლაძემ (მცხოვ. ქართულ ქ., 39), სიმთვრალის დროს რევოლვერის ტყვიით დაიჭრა თავი. ლოლაძე გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

### თვითმკვლელობა

გუშინწინ, რევოლვერის ტყვიით თავი დაიჭრა ვერა კონსტანტინეს ასულმა ფხაკაძემ (მცხ. ორჯონიკიძის ქ., 12), ფხაკაძეს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში. საავადმყოფოში მიყვანისას ფხაკაძის ქალი გარდაიცვალა.

### დაჭრა

გუშინწინ, საღამოს, ვიღაც ბოროტმოქმედმა აზიზბეკოვის ქუჩაზე მძიმედ დასჭრა ალმას სუკიასის ასული გამბაროვი, რომელიც იქვე გარდაიცვალა. ეჭვით დაპატიმრებულია მოკლულის ყოფილი ქმარი—აკოფ ხემერჯიანი.

### ქურდების დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ ქურდობისათვის დააპატიმრა იაკობ ტიხონისძე პროხოროვი და გლებ ივანესძე დიმმანი.

### ხანძარი

გუშინწინ, ღამით, ცეცხლი გაუჩნდა ბელგის ქ., 3, მდებარე დარაბას. სახქალაქო გამოიწვიეს ცეცხლის მქრობელი რაზმი, რომელმაც ხანძარი ჩააქრო 15 წუთის განმავლობაში. ზარალი უდრის 200 მანეთს.

# ქუთაისი

### ავიაქიმის სასარგებლო ლატარია

ერთ კვირაზე მეტია, ქუთაისის ქუჩებში, ფილაქნებზე, ავიაქიმის სასარგებლოდ გამართულია სლატარიო მაგიდები.

### უპატრონო ბავშვთა სამდღიური

22 აპრილიდან ქუთაისში გაიმართა ბავშთა უპატრონობასთან მებრძოლი სამდღიური. კარგ ამინდმა ხელი შეუწყო სამდღიურის ნაყოფიერად ჩატარებას.

### ალმშენებლობის მოწესრიგება

აღმასკომმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება ქალაქში საამშენებლო წესების დაცვის შესახებ. სავალდებულო დადგენილებაში ბევრი ისეთი მუხლია შეტანილი, რომელიც დიდად შეუწყობს ხელს ქალაქის კეთილმოწყობას.

### ხანძარი წყალტუბოში

17 აპრილს წყალტუბოში ხანძარმა გაანადგურა საკუროროტო სამმართველოს ერთი საწყობი. ზარალი 500 მანეთს აღემატება.

### მუშკოოპის წევრთა ახალი რეგისტრაცია

18 აპრილიდან ქუთაისში დაიწყო ადგილობრივი მუშკოოპის „კოოპერაციის"-ს წევრთა ახალი რეგისტრაცია.

### მუშკოოპის ახალი თავმჯდომარე.

ქუთაისის მუშკოოპის „კოოპერაცია"-ს გამგეობის თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. ალექსანდრე ქუთათელაძე (ხონის მუშკოოპის გამგეობის თავმჯდომარე), ნაცვლად ამხ. პლატონ ქუთათელაძისა, რომელიც გადაყვანილ იქნა ცეკავშირის გამგეობის წევრად.

### სესხი შორაპნის აღმასკომს

საქართველოს კომუნალური ბანკის ქუთაისის განყოფილებიდან შორაპნის სამაზრო აღმასკომს მიეცა სესხად ელექტრო-სადგურის და სამთავრებლად 5.000 მანეთი.

# აბრეშუმის პარკი

მიმდინარე წელს აბრეშუმის პარკის დამზადების მოწესრიგების მიზნით, „სოფლის კავშირმა" ქუთაისში 21 აპრილს ჩაატარა „საქართველოს აბრეშუმი"-ს, სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების და მთლიან სამომხმარებლო კოოპერაციის წარმომადგენელთა თათბირი.

თათბირის დადგენილებით, წელს საქართველოში დარიგებული იქნება აბრეშუმის თესლი არა უმეტეს ასი ათასი კოლოფისა, რათა თუთის არსებული რაოდენობით შესაძლებელი გახდეს აბრეშუმის ჭიის ჯეროვნად გამოკვება. გეგმის მიხედვით განზრახულია 130.000 ფუთი ნედლი პარკის დამზადება. იმ პუნქტებში, სადაც „საქართველოს აბრეშუმს" აქვს მექანიკური სახმობები და აბრეშუმის ქარხნები, პარკის დამზადებას აწარმოებს „საქართველოს აბრეშუმი". მხოლოდ დანარჩენ პუნქტებში დამზადებას ჩაატარებს „სოფლის კავშირი", რომელსაც საქართველოს აბრეშუმთან დადებული აქვს სათანადო ხელშეკრულება. „სოფლის კავშირი" აბრეშუმის პარკის დამზადებას ჩაატარებს სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების საშუალებით, ხოლო, სადაც ასეთი არ მოიპოვება—სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით. იმ ადგილებში, სადაც არ არის ეს ორგანიზაციები, პარკის დამზადების საქმეში გამოყენებული იქნება სამომხმარებლო კოოპერაციის აპარატი.

მეაბრეშუმეებს თესლი მიეცემათ კოლოფი 2 მანეთი და 50 კაპ., მხოლოდ თესლის საფასური გამოექვითებათ პარკის ჩაბარების დროს. პარკის მთელი ღირებულება მეაბრეშუმეებს მიეცემათ ნაღდად პარკის ჩაბარებისთანავე. მეაბრეშუმე-მეურნეთა ფართო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მეაბრეშუმეობის რაიონები სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ მომარაგებული იქნება ფართლის საკმაო რაოდენობით.

წელს რიგდება მხოლოდ შემოწმებული თესლი.

# ა.-კ. სას.-სამ. ბანკში

### 63.000 მანეთი ღარიბების კოოპერატიულად შეკავშირებისათვის

ამ.-კავკ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობამ შესცვალა წინად მიღებული 1926—27 წლის მოგების განაწილების პროექტი.

ახალი განაწილების მიხედვით მოგების საერთო თანხიდან 63.000 მანეთი გადარიცხულია ღარიბ გლეხობის კოოპერატიულად შეკავშირების ფონდში.

მიმდინარე საგაზაფხულო თესვის კამპანიის პერიოდში ღარიბების კოოპერაციაში გაერთიანების მიზნით, ამ.-კავკ. სასოფ.-სამეურნეო ბანკის გამგეობამ საჭიროდ სცნო აღნიშნულ თანხის (63.000 მანეთის) დაუყოვნებლივ განაწილება ამ.-კავკასიის ცალკე რესპუბლიკებს შორის ისეთ ანგარიშით, რომ საქართველოს მიეცეს თანხის 50 პროცენტი, აზერბეიჯანს—30 პროც. და სომხეთს—20 პროცენტი.

ამასთანავე რესპუბლიკანურ სასოფ.-სამეურნეო ბანკებს დაევალა მათთვის გადადებულ თანხებიდან გამოჰყონ ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ოლქებისათვის თანხები ღარიბების კოოპერატიულად შეკავშირებისათვის.

### 39.000 მანეთი აჭარისტანის საბჭოთა მეურნეობებისათვის

ამ.-კავკ. სასოფ.-სამეურნეო ბანკმა მიმდინარე წელში აჭარისტანის საბჭოთა მეურნეობებისათვის თანხების მისაწოდებლად საქართველოს სასოფ.-სამეურნეო ბანკს გაუხსნა 39.000 მანეთის კრედიტი.

# ვაჭრობის დროის განსაზღვრა

სავაჭრო წარმოებებში მუშაობის და ვაჭრობის დროის განსაზღვრის მიზნით, საქართველოს შრომის სახ. კომისარიატში შესდგა ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის, პროფ. კავშირების, კოოპერატიულ ორგანიზაციების, შინამრეწველ ხელოსანთა კავშირის და თბილისის აღმასკომის წარმომადგენელთა თათბირი.

თათბირის დადგენილებით, პირველი ჯგუფის საწყობებში (მანუფაქტურის, გალანტერიის, რკინეულობის, წიგნის, საკანცელარიო ნივთების, ბავშვთა სათამაშოების, საფთიაქო საქონლის ღვინის, დამზადებულ ტანისამოსის, მზა ფეხსაცმელების, ჭურჭლეულობის, თამბაქოს, საკომისიო და საიუველირო) ვაჭრობა როგორც ბითუმად აგრეთვე ცალობით იწარმოებს ზამთრობით—დილის 8 საათიდან საღამოს 5 საათამდე, ხოლო ზაფხულობით—დილის 8 საათიდან საღამოს 4 საათამდე.

რესტორანებში, კაფე-საკონდიტროებში, ყვავილებით და გამაგრილებელი წყლით სავაჭროებში და საბილიარდოებში ვაჭრობა იწარმოებს ზაფხულობით დილის 8 საათიდან ღამის 11 საათამდე.

სასადილოებში ,სჩაიებში, ხაშით სავაჭროებში, ხმელი ხილით, გასტრონომიულ და საბაკალეო სავაჭროებში ზაფხულობით ვაჭრობა იწარმოებს დილის 8 საათიდან ღამის 11 საათამდე.

რძის ნაწარმოების, თევზეულობის, ხორცის, მწვანილის, ბოსტნეულის სავაჭროებში და ალაფებში ვაჭრობას აწარმოებენ ზამთრობით დილის 7 საათიდან საღამოს 5 საათამდე. ყველა სავაჭროებში მტკიცედ იქნება დაცული დაქირავებულ მომუშავეთა ნორმალური სამუშაო დღე.

დადგენილება ძალაში შევა ამ მოკლე ხანში.

# ფიზკულტურა

### ფოთში

ფოთი, 24 აპრილი. შესდგა შეჯიბრი ლენინგრადის ფეხბურთელთა გუნდს „დინამოსა" და ფოთის გუნდებს—„დინამო—ბ" და „დინამო—ა" შორის. დინამო „ბ"-სთან შეჯიბრი დამთავრდა ლენინგრადელების სასარგებლოთ 1:5; დინამო „ა"-სთან შეჯიბრი დამთავრდა ფრედ 2:2. (ადს).

# რადიო-გადაცემა

### ხუთშაბათი, 26 აპრილი

დღეს რადიო-მუშაკთა დასასვენებელი დღეა, გადაცემა არ იქნება.

### პარასკევი, 27 აპრილი

27 აპრილს თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორიგე ამბები—გამოცხადება—რუსულ ენაზე.

მუშათა უნივერსიტეტების ამოცანები და მიზნები—მოხსენება ქართულ ენაზე.

მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე—თურქულ ენაზე.

აზერბეიჯანის გასაბჭოების 8 წლის თავი—მოხსენება თურქულ ენაზე.

მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები—რუსულ ენაზე.

მ. გორკის ნაწერების მხატვრული კითხვა—რუსულ ენაზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები.

კონცერტი.

ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

# შრომის ბირჟაში

### მოთხოვნილება მუშა- ხელზე

დღეს, 26 აპრილს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევართ: **რკინისგზელთა მეშვიდე სექციიდან:** მიხეილ ქერიძიშვილი, დავით პოლოსოვი, კონსტანტინე გორბკოვი, გაბრიელ ლარიონოვი, ოგანეს ხატისოვი, ნიკოლოზ მარტინენკო, პავლე მედვედევი და პავლე ჩევარდოვი; **გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან:** თამარ მირიანაშვილი; თ. სოგორაშვილი, ქეთევან ლოლობერიძე, ნინო ავალიშვილი და ნადეჟდა სამოლევსკაია; **მედმუშაკთა სექციიდან:** თამარ წულაია, იოსებ პეტრიაშვილი, ნიკოლოზ სონღულაშვილი; **მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან:** დავით ჯმუხაძე, ბაგრატ პოლოსოვი, კნიაზ ასლანიანცი, ოგანეს ვოსკანიანი და მხითარ ასრიიანცი.

### ბრძოლა უმუშევრობასთან

თბილისის შრომის ბირჟასთან დაარსებულია 19 შრომის კოლექტივი, რომლებიც რამოდენიმე ათას უმუშევარს აერთიანებენ. 1927 წლის პირველ ოქტომბრიდან ა. წ. მარტამდე კოლექტივებში მომუშავეებს—შრომის ხელფასის სახით მიეცა 93.330 მანეთი.

# 1927 წ. 10 პროცენტიანი სესხის ტირაჟი

### 1.000 მან. მოგებანი

| ობლ. | სერ. | ობლ. | სერ. | ობლ. | სერ. |
|---|---|---|---|---|---|
| 010088 | 12 | 030539 | 10 | 053597 | 15 |
| 013281 | 02 | 030616 | 14 | 053737 | 04 |
| 016491 | 11 | 039661 | 19 | 071790 | 20 |
| 021045 | 11 | 039929 | 13 | 095418 | 12 |
| 026272 | 09 | 046850 | 18 | 112196 | 18 |
| 027042 | 16 |  |  |  |  |
| ობლ. | სერ. | ობლ. | სერ. | ობლ. | სერ. |
| 120437 | 19 | 142044 | 08 | 154713 | 12 |
| 122983 | 11 | 145868 | 19 | 167553 | 19 |
| 131432 | 19 | 152702 | 20 | 168621 | 20 |
| 140075 | 06 | 153539 | 04 | 180210 | 06 |
| 140680 | 18 | 154607 | 04 | 195937 | 14 |

### 5.000 მან. მოგებანი

| ობლ. | სერ. | ობლ. | სერ. | ობლ. | სერ. |
|---|---|---|---|---|---|
| 003511 | 09 | 024042 | 02 | 060948 | 06 |
| 008048 | 05 | 026850 | 04 | 062296 | 02 |
| 100622 | 19 | 162291 | 18 | 193406 | 05 |
| 111233 | 05 |  |  |  |  |

### 10.000 მან. მოგებანი

| ობლ. | სერ. | ობლ. | სერ. | ობლ. | სერ. |
|---|---|---|---|---|---|
| 918796 | 13 | 022616 | 17 | 037391 | 08 |
| 060326 | 01 | 095278 | 08 |  |  |

### 25.000 მან. მოგებანი

ობლ.—083743, სერია—04; ობლ.—186455 სერ.—02.

### 50.000 მან. მოგებანი

ობლიგ.—163038, სერია—16.

# ოფიც. განყოფილება

## დადგენილება

### საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

### წვრილი და შინამრეწველურ-ხელოსნური მრეწველობის გამოკვლევის შესახებ

ამიერ-კავკ. ს.ფ.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „წვრილი და შინამრეწველურ ხელოსნური მრეწველობის გამოკვლევის შესახებ" ამა წლის მარტის 15-ს თარიღითა და მე-20 №-რით გამოცემული დადგენილების მე-8 მუხლის განსავითარებლად, საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს ს.ს.რ. წვრილი და შინამრეწველურ-ხელოსნური მრეწველობის მდგომარეობის ყოველმხრივი შესწავლისათვის მოხდეს მიმდინარე წელს საქართველოს ს.ს.რ. ტერიტორიაზე ერთდროული სტატისტიკურ-ეკონომიური გამოკვლევა წვრილი და შინამრეწველურ-ხელოსნური მრეწველობისა:

2. გამოკვლევის სრული, პროგრამულ-ორგანიზაციული ხელმძღვანელობა დაეკისროს საქართველოს ს.ს.რ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

3. ყველა შინამრეწველი და ხელოსანი, აგრეთვე წვრილი სამრეწველო საწარმო მოვალეა მიაწოდოს ამიერ-კავკასიის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ და საქართველოს ს.ს.რ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ უფლებამოსილ პირთ ყველა, გამოკვლევის პროგრამით გათვალისწინებული ცნობა.

4. უფლება მიეცეს საქართველოს ს.ს.რ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მიიწვიოს ხოლმე გამოკვლევისათვის სამუშაოდ სახელმწიფო დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სამსახურში მყოფი თანამშრომელნი-სპეციალისტნი მრეწველობის სხვადასხვა დარგისა, რაზედაც საქართველოს ს.ს.რ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო სათანადო ორგანიზაციას უნდა შეუთანხმდეს.

5. მიენდოს საქართველოს ს.ს.რ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს განსაზღვროს მრეწველობის გამოკვლევის დრო და ვადები.

6. ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, აგრეთვე კერძო პირმა ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანოებს აღნიშნული გამოკვლევის განხორციელების საქმეში.

7. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს ევალებათ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ იმ პირთ, რომელთაც სოფლად მოუხდებათ მუშაობა, როგორც ღამის გასატარებლად უფასო ბინის მიცემით, ისე ზიდვის საშუალებათა შოვნის გაადვილებით.

8. ამ დადგენილებაში აღნიშნულ მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის დამნაშავე მიცემულ იქნება კანონიერ პასუხისგებაში.

9. მიენდოს აფხაზეთის ს.ს.რ.-სა და აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოებს გამოსცენ სათანადო დადგენილებანი ამა დადგენილების განსავითარებლად.

**ხელს აწ. საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: ს. ჯუღელი.**

**საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი: პ. მეგრელიშვილი.**

1928 წ. აპრილის 25
თბილისი—სასახლე.

—:—

## დადგენილება № 5

### საქართველოს ს.ს.რ. შრომის სახალხო კომისარიატისა

1928 წ. აპრილის 25

### „მაისის 2-ს უქმე დღეთ გამოცხადების შესახებ"

ს.ს.რ. კავშირის ცენტრ. აღმასრ. კომიტ. პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად და საქართველოს ს.ს.ს.რ. შრ. სახალხო კომ. მიერ 1927 წლის ნოემბრის 11-ს თარიღით და 18-№-ით „1928 წლის უქმე და დასვენების განსაკუთრებული დღეების შესახებ" გამოცემულ დადგენილების შესაცვლელად,—შრომის სახალხო კომ. საქ. პროფ. კავშირის საბჭოსთან შეთანხმებით ადგენს:

1) გაუქმდეს 2 ივლისის თარიღით დაწესებული განსაკუთრებული დასასვენებელი დღე და

2. გამოკვლევის სრული, პროგრამულ-ორგა მაისი—ინტერნაციონალის დღე.

**შრომსახკომის მოადგილე: ჭელიძე**

**შრომის დაცვის გან. გამგე ელბაქიანი.**

**შეთანხმებულია: ს.პ.კ.ს. ხატ. საქ. განყოფილების გამგე: ხვედელიძე.**

# წერილები რედაქციის მიმართ

ამით ვაცხადებ, რომ ვშორდები „ნაპოსტოველების" უმცირესობას და დღეიდან არაფერი საერთო არ მექნება ამ ჯგუფთან. საქ. პროლ. მწერ. მეორე ყრილობის დადგენილებებს ვემორჩილები და საკავშირო პროლეტარულ მწერ. ყრილობაზე დაუჭერ მხარს დელეგაციის უმრავლესობას. ქიქოძის ყოველ გამოსვლაზე პასუხს არ ვაგებ. აგრეთვე ქიქოძის წერილს, დაბეჭდილს „პეჩატ ი რევოლიუცია"-ში, ვთვლი დაუშვებელ მოვლენად პროლ. მწერალთა მიმართ. ვემიჯნები ამ წერილს. (რომელზედაც არის ჩემი ხელის მოწერა) რადგან არ ვიზიარებ იქ გამოთქმულ დემაგოგიურ დებულებებს.

**ჭ. კალაძე.**

—:—

რამოდენიმე ხნის განმავლობაში სხვადასხვა წმინდა ორგანიზაციული ხასიათის საკითხებში მე ვიმყოფებოდი პროლეტმწერალთა ასოციაციის ოპოზიციაში; ამასთანავე კერძო საუბარში, კომფრაქციის და ასოციაციის გამგეობის სხდომებზე მე ვაცხადებდი, რომ არავითარი პრინციპიალური უთანხმოება „ვაპპ"-ის პოზიციასთან არ მქონია. აქედანვე გამომდინარეობს ის დასკვნაც, რომ ე. წ. ნაპოსტოველთა უმცირესობასთან როგორც მე, ისე უმცირესობაში მყოფ სხვა ამხანაგებსაც არაფერი საერთო არ გვქონია.

ასოციაციის გამგეობის კომფრაქციის ამ სხდომის შემდეგ, რომელმაც შეიტანა ზოგიერთი ცვლილებები გამგეობის პრეზიდიუმისა და რედკოლეგიის შემადგენლობაში (შეყვანილ იქნენ ახალი წევრები და სხ.), მე თავი დავანებე ყოველგვარ ოპოზიციონურ ბრძოლას და დავიწყე აქტიური მუშაობა ასოციაციაში. საჭიროდ მიმაჩნია აგრეთვე განვაცხადო, რომ მე არასოდეს არ თანაუგრძნობდი ნაპოსტოველთა უმცირესობას და სავსებით ვიზიარებ „ვაპპ"-ის პოლიტიკურ და ლიტერატურულ პოზიციას. აქედანვე გამომდინარეობს ისიც, რომ მე ვეთანხმები საქართველოს პროლეტარულ მწერალთა მეორე ყრილობის დადგენილებებს და ხაზს.

ამასთანავე ვაცხადებ, რომ მე ვხსნი, როგორც ჩემ ხელმოწერას, ისე პასუხისმგებლობასაც ქიქოძის იმ წერილის გამო, რომელიც მოთავსებული იყო ჟურნალ № 3 „პეჩატ ი რევოლიუციაში" და ამ წერილს ვსთვლი დაუშვებელ გამოსვლად „ვაპპ"-ის წინააღმდეგ.

**პ. სამსონიძე.**

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

**დღეს, 26 აპრილს, საღამოს სრულ 6 საათზე** საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში შესდგება საქ. კ. პ. (ბ) **თბილისის კომიტეტის საკვალიფიკაციო კომისიის მორიგი სხდომა,** რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: მარკმანი (საქ. პროფსაბჭო), ერმოვი, სერგო მეგრელიძე (საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისია), ბელელაძე (საქ. კ. პ. (ბ) თბილ. ორგან. მეორე რაიკომი), ერისთავი (მუშკოოპი), ბაქანიძე (თბილისის აღმასკომი), გაბისონია (მუშკოოპი), მახალდიანი (მუშკოოპის კომუჯრედის მდივანი), გიორგი ჩიხლაძე და დუდაევი (მუშკოოპი).

—:—

**დღეს, 26 აპრილს, საღამოს 6 საათზე რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში** მოწვეულია საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი, რაიკომის და სარევიზიო კომისიის წევრ-კანდიდატების, უჯრედების ბიუროს წევრ-კანდიდატებისა და პარტორგანიზატორების მონაწილეობით.

—:—

**სახ. უნივერსიტეტის ყოფ. ახალგაზრდათა მარქსისტთა ბიურო** წინადადებას აძლევს ამხ. გოგუცა გვაზავას, მარიამ ლორთქიფანიძეს, მიხეილ ჩხატარაშვილს, დომენტი მენაბდეს და აგრეთვე ბიუროს ყველა წევრებს გამოცხადდენ ბიუროში დღეს, 26 აპრილს, დღის სრულ 2 საათზე.

—:—

**დღეს, 26 აპრილს, საღამოს სრულ 6 საათზე საქ. რემედასის ცეკას ბინაზე** (ლენინის ქუჩა, 29), შესდგება საქ. რემედასის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

პრეზიდიუმის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

—:—

**სახ. უნივერსიტეტის ახ. ლ. კ. კ. ბიურო** კოლექტივი იტყობინება სახ. უნივერსიტეტის კომკავშირის წევრ-კანდიდატთა საყურადღებოთ, რომ ისინი ვალდებული არიან კვირას, 29 აპრილს, დილის სრულ 9 საათზე გამოცხადდენ საბურთალოში—არტილერიის ყაზარმებში. გამოცხადება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

**დღეს, 26 აპრილს, საღამოს სრულ 6 საათზე** შესდგება სახ. უნივერსიტეტის სოციალურ ეკონომიურ ფაკულტეტის პირველ და მეორე კურსთან არსებულ ახ. ლ. კ. კ. უჯრედის კრება. წევრ-კანდიდატების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

**დღეს, 26 აპრილს, დილის 12 საათზე** მოწვეულია უნივერსიტეტის ახ. ლ. კ. კ. ბიურო კოლექტივის სხდომა. დასწრება სავალდებულოა ყველა ამხანაგებისათვის.სხდომაზე აგრეთვე უნდა გამოცხადდენ ის ამხანაგები, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში გადასარიცხავად ან კომკავშირში მისაღებად.

**საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საკონფლიქტო კომისია** წინადადებას აძლევს ქვემოდ-დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს, 26 აპრილს, საღამოს 5 საათზე საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საკონფლიქტო კომისიის სხდომაზე:

ვლადიმერ ჯიქია, რუვინ კირშენბაუმი, იოსებ ჯაბადარი, ვილიამ პარადოვი, დიმიდე კვანტალიანი, (მეორე რაიონიდან), ვლადიმერ მეგრელიშვილი, ლევ მირზოევი (მესამე რაიონიდან); ქრისტეფორე კაჩარიანი, რაფიელ მირზაბეკოვი (მე-4-ხე რაიონიდან); ბენიამენ მეხუზლა (ავჭალიდან); ვლადიმერ ხელიძე (რკ. გზის მუშფაკი); მიხეილ ჟუკოვი (პირველი რაიონიდან); ვასილი სალუქვაძე (სახ. უნივერსიტეტი).

—:—

საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საკონფლიქტო კომისია სთხოვს აგრეთვე ამხ. მგელაძეს (საქ. ცაკთან არსებულ ბავშვთა დამხმარე კომ.) და შავლახოვს (ქიმიური ტეხნიკ.) გამოცხადდენ აღნიშნულ სხდომაზე.

—:—

**დღეს, 26 აპრილს, საღამოს 6 საათზე ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტის შენობაში** მოწვეულია სვერდლოვის სახელობის კომუნისტურ უნივერსიტეტის მსმენელთა მეცადინეობა.

დასწრება სავალდებულოა.

—:—

**შაბათს, 28 აპრილს, საღამოს 6 საათზე** მუშათა ცენტრ. კლუბის შენობაში (პლეხანოვის პროსპ.), შესდგება ყველა ნაბეჭდ და კედლის გაზეთების **მუშკორთა საერთო-საქალაქო** კრება.

დღის წესრიგშია: მოხსენება კომუჯრედების ბიუროს ხელახალ არჩევნებში მუშკორებისა და პრესის მონაწილეობის შესახებ.

კრებაზე მოწვეული არიან ყველანი, როგორც კომპარტიისა და კომკავშირის წევრ-კანდიდატები, აგრეთვე უპარტიონიც.

—:—

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი** იტყობინება, რომ დღეს, 26 აპრილს, საღამოს სრულ 5 საათზე შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მიმღები კომისიის სხდომა. სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: საკო სარუხანოვი, კონსტანტინე ბეგიაშვილი, აბრამ მამულაშვილი, სიმონ ბურდული, გიორგი ივანიძე, არშაკ სააკოვი, ბაგრამ ნასიბოვი, აგრაფინე წულაძე, გიორგი დალაქიშვილი, მ. მოგმანიშვილი, აგაპი ზურაბიანი, ლილია კაჭარავა, გიორგი ენუქიძე, მესროპ შაინოვი, რაფიელ ბაჰიაშვილი, რანუმ ბარხუდაროვი; ივანე სალარიშვილი, ვლადიმერ კოხაძე, ნიკოლოზ ფოლაძე, ვიქტორია ეგოიანი, სილა ბისტრო გეორხელიძე, ერასტი თაქთაქიშვილი, სედრაკ მურადოვი, აკაკი ფოჩხუა, აპოლონ ჯორბენაძე, გასან ასკერ-ოღლი, ეკატერინე ლეკიშვილი, ვლადიმერ კუქლამაზაშვილი, ბარბალე გალდაევა, ალექსანდრე კუჯიევი და გიორგი გალუსტოვი.

---

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის ცენტრალური პარტიული სკოლის კურსანტები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ამავე სკოლის მეორე კურსის კურსანტი ძველი კომკავშირელის ამხ.

**ანტონ ანდრიას-ძე ჭანტურიას**

ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული 1—1 № 2198

---

შვილები: აკაკი, ერასტი, ყარამან, ბეგლარ, სევერიანე და ალექსანდრე ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებს, რომ ძვირფასი და დაუვიწყარი დედის

**ქრისტინე ფალავას-შავდიას ასულის**

ხსოვნის აღსანიშნავად კვირას, 29 აპრილს, განსვენებულის საფლავზე სოფ. ნახუნაოში გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი 2193

---

დამწუხრებულნი შვილები: ტასო, სვიმონ, ნიკოლოზ, ალექსანდრე და გრიგოლ ფიცხელაურები, რძლები: თამარი, ნინო, შვილიშვილი ოსიკო და დარია, ძმა ალექსანდრე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხუთშაბათს, 26 აპრილს, დილის 10 საათზე კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის უსაყვარლესი

**ნატალია ლევან მთვარელიშვილის ასულ ფიცხელაურისა**

ხსოვნის აღსანიშნავად. 2196

---

ღრმად დამწუხრებულნი ძმა გიორგი მიხეილის-ძე ორდენიძე, მეუღლე ანნა ნიკოლოზის ასული, მამა მიხეილი, დედა ბარბარე, ძმები იასონი და სოლომონი, რძალი თიკო, დები: ივლიტა და მარიამ ორდენიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ ა. წ. 23 აპრილს, დილის 9 საათზე, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**ელენე მიხეილის ასული ორდენიძე-დუშურაშვილისა**

დაკრძალვა მოხდება დღეს, 26 აპრილს, დღის 4 საათზედ, ვერის ახალ სასაფლაოზედ, გამოსვენება საკუთარ ბინიდან—ფეოდოსიევის ქუჩა № 44. 2187

---

სახკინმრეწვის თეატრები

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
ოდეონი
პროლეტარი ავლაბარი

სეზონის საუკეთესო კომედია **ნამდვილი მამაკაცი** მთავარ როლში კარმენ ბონი
კომიკური ფილმი **მოსამსახურე ყველაფრისათვის** ბეტი ბალფურის მონაწილეობით
რევოლიუციონური ფილმი **ოქტომბერი** სცენარი და დადგმა ეიზენშტეინის და ალექსანდროვის
ტარზანი სურათში **„ბუქონის ნაპირთა საიდუმლოება"** 3 და 4 სერია
უკანასკნელად თბილისში **ვარიეტე**
უკანასკნელად თბილისში **ნიშანი ზორო** დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით

ანონსი: მალე მხატვრული სურათი „ხაზანა" საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები. 0—20

**კინო-არფასტო დღეს და ყოველდღე**
უცხოეთის ახალი ორიგინალური კომიკური ფილმი
27 წლ. გამოშვება
**მოსამსახურე ყველაფრისათვის**
მთავარ როლში ბეტი ბალფურ
1-ლი სეანსის დასაწყისი საღამოს 7 საათზე. ნ. 1010

**მათემატიკის მასწავლებელი**
ამზადებს სამხედრო აკადემიაში. უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელ გამოცდებისათვის დ 9 წლედის მოწმობაზე, და ასწორებს სუსტ მოწაფეებსაც. აქვე რუსული ენის და არითმეტიკის გაკვეთილები თვითგანეით. პლეხანოვის ქუჩა № 25. (შესავალი ჩერნიშევის ქ. № 5) მიღება 9—12 2—6 ს. 3—3

**ექიმი ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—11

**იყიდება სახლი**
ქალ. ოზურგეთში, ალმასკომის ქუჩაზე სადგურის ახლო, ხუთი თვალი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება ქ. ოზურგეთში ილიკო გოგელიასთან და პოლიკარპე ინწკირველთან.
2—1 ნ. 745

ა. წ. აპრილის 22-ს შესდგა კახელ მევენახეთა და მეღვინეთა ამხ-ბა ,,კავშირთ-კავშირი"-ს რწმუნებულთა საგანგებო ყრილობა, რომელმაც დაადგინა ხსენებულ
**ამხ-ბა ,,კავშირთ-კავშირ"-ს ლიკვიდაცია ექნეს**
ამავე ყრილობაზე იქნა ამორჩეული სალიკვიდაციო კომისია, რომელიც აუწყებს ხსენებულ ამხ-ბის კრედიტორებს წარმოუდგინონ თავის პრეტენზია ლიკვიდკომს 11 მაისამდე ა. წ. ამის შემდეგ მიღებული პრეტენზიები განხილული არ იქნება.
**მისამართი: სად. მუკუზანი.**
2195 **ლიკვიდკომი.**

**რიონის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა სამმართველო**
აცხადებს ა. წ. 15 მაისს. 14 საათზე ქ. ქუთაისში
**შერეულ შეჯიბრს**
სადერივაციო არხის ამოთხრის დაყრილის მოწყობის მიწის სამუშაოებზე პალოზ. 41 პალ. 75-მდე და პალ. 75 პალ. 86-მდე.
საორიენტაციო რაოდენობა მუშაობისა: ამოთხრება დაახლოვებით 36.000 კუბ. მეტრი და ყრილი დაახლოვებით 190.000 კუბ. მეტრი.
სამუშაოს დაახლოვებითი ღირებულება 650.000 მ.
სამუშაოთა შესრულების ვადა 16 თვე.
დაწვრილებითი წერილობითი კონდიციების განხილვა აღნიშნულ სამუშაოებზე შეიძლება სამუშაოთა სამმართველოში ქ. ქუთაისში ყოველდღე 10—13 საათამდე.
იმ ორგანიზაციებს და პირებს, რომელთაც სურთ მიიღონ ეს სამუშაო, შემოაქვთ ამის შესახებ განცხადება დაწესებულ ნიმუშის ბლანკზე, დაბეჭდილ კონვერტში წარწერით: ,,რიონჰესის მთავარ ინჟენერს 15 მაისის შეჯიბრისათვის".
იმ პირებმა და დაწესებულებებმა, რომელნიც არ არიან განთავისუფლებული საწინდარისაგან, შეჯიბრის დაწყებამდე სამუშაოთა სამმართველოს სალაროში უნდა შეიტანონ საწინდარი მათ მიერ შენაძლევ სამუშაოთა ღირებულების 10 პროც. რაოდენობით.
ნ. 997 2—2 **მთავარი ინჟენერი მელიქ-ფაშაევი.**

**დაკარგვა:** სამხედრო საარიცხო ბარათი მელიტონ ნაკაიძეს სახელზე, ჩ. გ. 2194

**დაკარგვა:** საწევრო წიგნაკი № 98732 გრიგოლ გეგეჭკორის სახელზე, ჩ. გ. 2186

**დაკარგვა:** საოჯახო პასპორტი კარაპეტ ფინჯოიანის სახელზე, ჩ. გ. 2188

**დაკარგვა:** სამხედრო საარიცხო ბარათი № 959 თეოფანე დანელიას სახელზე, ჩ. გ. 2194

**მინოგრაფია**
**СТЕКЛОГРАФИЯ**
**სახელმწიფო დაწესებულებათა საყურადღებოდ**
ამით ცხადდება, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ნებართვით (№ კ 47001, 7 მარტს 1928 წ.) ვამზადებ მინოგრაფიისთვის საჭირო მასალას ... ლალი ხარისხის **რეაქტივებს** რომლებიც დაეთმობათ მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე მინოგრაფებს ოფიციალურ მოთხოვნის წარმოდგენისათანავე
მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის პრ. № 34.
**რძისა და კეფირის ლაბორატორიაში**

**მიხეილ გედევანიშვილის**
სახელობის
**სამკურნალო**
საწოლებით
**ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი**
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

**ქ. ქუთაისი**
**ექ. თ. ვ. აპოფშვილი**
შინაგანი სნეულება—სპეციალ. ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოსა აფთიაქის გვერდით) ავადმ. მიღება დილ. 11—1, საღ. 4—6 საათ. 25—9

ექიმი
**ი. ა. ტერ-იოვაკიმოვი**
ავადმყოფების მიღება **ფსიქოტერაპიის** დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.
საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)ერესის ქ. კუთხე.

კბილის ექიმი
**დ. ს. რიჟინაშვილი**
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

ექიმი
**ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") ირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8

ექიმი
**ქ. ს. ფონ-ირტელი**
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

**დაკარგვა:** პასპორტი სონა თუმანიანის სახელზე, ჩ. გ. 2189

**დაკარგვა:** მეტრიკული ამონაწერი № 1343 ასლან კლიმიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2194

**დაკარგვა:** პარტ-საკანდიდატო ბარათი № 17330 ენუქი ივანეს-ძე თოფურიას სახელზე, ჩ. გ. 2197

**დაკარგვა:** კომკავშირის წევრობის მანდატი № 51141 დათიკო ვაშაყმაძეს სახელზე, ჩ. გ. 2190

**დაკარგვა:** პარტ-საკანდიდატო ბარათი № 12820 ლავრენტი სტეფანეს-ძე ჩიტაიას სახელზე, ჩ. გ. 2190

**დაკარგვა:** პასპორტი და მოწმობა მიცემულ სოხუმის მილიციის მიერ № 3390 ფატიმა ფასატის ასულისა ქეჩ-კიზის სახელზე, ჩ. გ 2192

**დაკარგვა:** სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფორმა № 4 ამბროსი სიმონის-ძე ცხოიძეს სახელზე, ჩ. გ. 2191

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 6ა